საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 იანვარი **ორშაბათი** 2012
№017 (13623) ფასი 80 თეთრი

# ზურაბ ზვიადაური ბრუნდება!

ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოს შარშან ტირილით დაემშვიდობა, წლეულს კი ზუსტად იმავე დარბაზში ბრუნდება - 28-29 იანვარს ზვიადაური თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიოს თასზე იასპარეზებს

10



ევროპული ფეხბურთის უქმეები

## პრემიერლიგის გიჟური [illegible]

ესპანეთში [illegible] გრძელდება, იტალიაში **ბებერი ქალბატონის** დროა

5-9






2

## გამიტან, გაგიტან

ქართველმა ბიჭებმა ბელარუსი მასპინძლები ბოლო წუთზე გაამწარეს



11

## გაგამარუ სეზონის პირველი ბაშოს ვიცე-ჩემპიონია!

U17

# მასპინძლებს თრილერში ვაჯობეთ

**ბელარუსი-საქართველო 3:4**

0:1 ჯიქია (23), 1:1 რასადკინი (30. პენ.), 2:1 კორზუნი (32), 2:2 ჯიქია (54), 2:3 ახვლედიანი (62), 3:3 რასადკინი (71), 3:4 მესხი (80)

საქართველო: ადამია, კაკაბაძე, მელიქიძე (41. ცინცაძე), ნ. ჭანტურია, სამხარაძე, ჭეჭელაშვილი, გოროზია, ახვლედიანი (71. მაჭავარიანი), პაპუნაშვილი (41. მესხი), წილოსანი, დ. ჯიქია (67. დარციმელია).

*მწვრთნელი: ვ. მაისურაძე*

ბელარუსი: ფრანცკევიჩი, ნაზარენკო, გორბაჩიკი, მოროზოვი, კაბორდა, კორზუნი, მილევსკი (27. იაროცკი), კაპლენკო (54. ჟურნევიჩი), ვოდიანოვიჩი (77. მეტლიცკი), კუჩეროვი (58. აზერსკი), რასადკინი.

*მწვრთნელი: მ. მარხელი*

გაფრთხილება: მილევსკი, კაპლენკო – მელიქიძე, ცინცაძე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირი წარმატებით დაიწყო – მასპინძელთა გუნდი დრამატულ ბრძოლაში 4:3 დაამარცხა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმი ბელარუსებმა მოიგეს, შესვენების შემდეგ კი **ვასილ მაისურაძის** გუნდი უფრო შედეგიანად ათამაშდა და გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთზე გაიტანა.

ეს ტურის ცენტრალური მატჩი იყო, რომელსაც წინ ტურნირის გახსნის ცერემონიალი უძღოდა. მანეჟში თამაშს მაყურებელიც მრავლად დაესწრო. დამსწრეთა შორის ბელარუსში მცხოვრები ქართველი ქომაგებიც ბევრნი იყვნენ, რომლებიც საქართველოს ნაკრებს ენერგიულად ამხნევებდნენ.

*„ძალიან რთული მატჩი იყო. თამაშის სადავეები ჩვენ გვეჭირა და, წესით, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, თუმცა უკანა ხაზში დაშვებული უაზრო შეცდომების გამო გავუშვით ის ბურთები, რამაც ამ თამაშის მოგება სათუო გაგვიხადა. მიუხედავად ამისა, ბიჭების მადლობელი ვარ იმ ბრძოლისუნარიანობისა და*



*შეუპოვრობისთვის, რაც გამოავლინეს და რისი წყალობითაც შევძელით სამი ქულის მოპოვება“,* - განაცხადა მატჩის შემდეგ ვასილ მაისურაძემ.

ჩვენს ჯგუფში ბელგიის ნაკრებმა ლატვია 4:0 გაანადგურა. დღეს თბილისის დროით 16 საათსა და 40 წუთზე ჩვენები ბელგიელებს შეხვდებიან და ჯგუფის გამარჯვებულის ბედიც აქ გაირკვევა. შეგახსენებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას მხოლოდ ჯგუფების პირველადგილოსნები აგრძელებენ, რომლებიც ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

მეორე ჯგუფში რუსეთმა ფინეთს 4:0 სძლია, უკრაინამ კი ლიტვა 2:1 დაამარცხა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფოტოები: www.gff.ge

დინამო



# გარსია საიმედო კონტურებს ხედავს

**თბილისის „დინამოს“ ესპანური შეკრების კატალონიური ნაწილი დასრულდა. 10 ბარსელონური დღის განმავლობაში გუნდმა ორჯერად ვარჯიშებთან ერთად 3 ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. რამდენიმე ფეხბურთელმა პირველად მოირგო „დინამოს“ მაისურა. მიმდინარეობს იმ საძირკვლის ჩაყრა, რომელმაც თავი სეზონის განახლებისას უნდა იჩინოს. შეკრების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელ ალექს გარსიას ვესაუბრეთ.**

*- ამ ეტაპისთვის დასახული მიზნები შევასრულეთ, ვითამაშეთ დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრებიც. კარგია, რომ ამინდმაც ხელი შეგვიწყო. ამით მზადების პირველი ფაზა დავასრულეთ. დავიმატეთ ძალიან კარგი ფეხბურთელები, რომელთაც უცხოურ ლიგებში თამაშის გამოცდილება აქვთ. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა. ამხანაგურ თამაშებში მათ ნახეს, რა სისტემით ვთამაშობთ. კონკრეტულად გერაუს რაც შეეხება, მას ქართველი გულშემატკივარი ნაკლებად იცნობს, ამიტომ გეტყვით, რომ იგი დაცვითი ფუნქციების ნახევარმცველია. ამ პოზიციაზე მხოლოდ კვეკვესკირი გვყავდა, ჩვენ კი გვსურდა, ყველა პოზიციაზე ორი მოთამაშე გვყოლოდა, რათა კონკურენციის ხარისხი გაზრდილიყო. ვფიქრობ, ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული და დაბალანსებული გუნდი გვყავს, სუსტი ადგილები შევსებულია. თუმცა, თუ ამა თუ იმ პოზიციაზე უფრო ძლიერი ფეხბურთელის მოყვანის შესაძლებლობა გაჩნდა, ამაზე უარს არ ვიტყვით. ვცდილობთ, ახალწვეულებს ჩვენს სათამაშო სისტემაში ადგილი მივუჩინოთ. უკვე რეალურად გამოჩნდა ნახევარდაცვის და შეტევის გაძლიერების კონტურები. მიუხედავად იმისა, რომ მარბელიაში უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი თამაშები გველის, შედეგს მაინც არ ექნება პრიორიტეტული მნიშვნელობა. კმაყოფილი ვარ ბიჭებით და მათი მონდომებით.*

www.fcdinamo.ge

# მარბელია კრაკოვიათი იწყება

თბილისის "დინამოს" ესპანური შეკრება დასკვნით ფაზაში შედის – დღეს **ალექს გარსიას** გუნდი „მარბელიას თასის“ ერთ-ერთ გათამაშებაში, Football Impact Cup 2012-ში ჩაერთვება, სადაც მისი პირველი მეტოქე პოლონური "კრაკოვია" იქნება. დღევანდელი მეტოქის შესახებ მცირე ინფორმაციას მოგაწვდით.

"კრაკოვიას" ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის – კრაკოვული კლუბი 1906 წელს დაარსდა, თუმცა ბოლო ათწლეულებში ღირებულს ვერაფერს მიაღწია. "კრაკოვია" პოლონეთის 5-გზის ჩემპიონია, თუმცაღა ეს ტიტული უკანასკნელად შორეულ 1948 წელს მოიპოვა.

დიდად წარმატებულად "დინამოს" მოწინააღმდეგეს საქმეები ვერც მიმდინარე სეზონში მისდის – პოლონეთის 16-გუნდიან ექსტრაკლასაში "კრაკოვია" ბოლოსწინა ადგილზეა და გააფთრებით იბრძვის ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად. ცოტა ხნის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ უკრაინელი მთავარი მწვრთნელი **იური შატალოვი** დაითხოვა, მისი შემცვლელის, **დარიუშ პასიეკას** ხელმძღვანელობით კი გუნდი ოდნავ უკეთ თამაშობს. "კრაკოვიას" გამორჩეული და საყოველთაოდ ცნობილი ფეხბურთელები, ფაქტობრივად, არ ჰყავს.

"დინამო" "კრაკოვიას" არასდროს შეხვედრია, პოლონურ კლუბებთან კი ევროთასებზე დადებით შედეგებს აღწევდა. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა 1982 წელს თასების მფლობელთა თასიდან ვარშავის "ლეგია" გააგდო, 2004-ში კი "დინამომ" კრაკოვიას თანაქალაქელის, გაცილებით ტიტულოვანი "ვისლას" ძლევით უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში შეაღწია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამოელები დასვენების დღეს ბარსელონის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლოს ესტუმრნენ. ეს ადგილი კატალონიაში ქართული კულტურის კერას წარმოადგენს. სამრევლოსთან [illegible] და ცეკვის ანსამბლი, ვაჟთა და გოგონათა ანსამბლები და საკვირაო სკოლა ფუნქციონირებს. დამშვიდობებისას არქიმანდრიტმა [illegible] დალოცა და წარმატებები უსურვა გუნდს.









ფოტოები: www.fcdinamo.ge

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## დილა



ლადო ბურდული

# მამუკა ჯულელი საქმეს შეუდგა

### გენდირექტორს ევროპის ჩემპიონის დამატება სურს

**გორის "დილა" მოსამზადებლად თურქეთში მიემგზავრება. თემურ მახარაძე ანთალიაში შემდეგ ფეხბურთელებს წაიყვანს:**

მეკარეები: **მირზა მერლანი, ბექა შეყრილაძე**

მცველები: **კახა ალადაშვილი, ილია ლომიძე, გიორგი ქარქუზაშვილი, შოთა კაშია, გიორგი ახვლედიანი, დავით მეგრელიშვილი, ვალტერ ხორგუაშვილი.**

ნახევარმცველები: **გიგა ბექვაია, ირაკლი ლექვთაძე, ნოდარ ნოზაძე, ლადო ჯოჯუა, რომან ახალკაცი, გიორგი ხუბუა, რეზო ჯიქია, ნიკა სადაღაშვილი, ბესიკ დეკანოიძე, გოჩა ხოჯავა, ლევან მდივნიშვილი.**

თავდამსხმელები: **რეზო ბარაბაძე, გიორგი ილურიძე, დავით ჩაგელიშვილი.**

თურქეთში არ მიემგზავრება ოთხი აფრიკელი მოთამაშე, რომლებიც "დილაში" ისინჯებოდნენ – მახარაძემ ოთხივეს წითელი ხაზი გადაუსვა. გუნდში აღარ არიან **გიორგი ჭაავა** და **ლადო ბურდული**, რომლებიც გორში ემზადებოდნენ. ტრავმის გამო შეკრებას დააკლდებიან ცენტრალური მცველი **ლექსო ინწკირველი** და ნახევარმცველები, **რომან გოგინაშვილი** და **პავლე ხორგუაშვილი**. გაურკვეველია "ვოლგას" მცველ **ლაშა სალუქვაძის** ამბავიც, რომლის დავას ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასთან" დღეს, 23 იანვარს რუსეთის საფეხბურთო კავშირი განიხილავს. ქართველ მცველს კონტრაქტის განყვეტის იმედი აქვს, ისევე, როგორც **გოგიტა გოგუას** და **გოჩა ხოჯავას**. თუ ყველაფერი ლაშას სასარგებლოდ გადაწყდა, შესაძლოა, "დილას" თურქეთში შეუერთდეს.

"დილას" მალე ოფიციალურად დაემატება ხოჯავა და 26 წლის შემტევი ნახევარმცველი გუნდს ანთალიაში გაჰყვება. **კახა ალადაშვილი** კი უკვე გუნდის წევრია - მიუხედავად იმისა, რომ მას "ზესტაფონთან" კონტრაქტი ჰქონდა, გუნდის პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** ფეხბურთელის სურვილი გაითვალისწინა, კეთილი ნება გამოავლინა და კახას კონტრაქტი გაუწყვიტა. მასთან გორელებმა ნახევარწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს.

გუნდს შეუერთდა საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში ნათამაშები **რევაზ ბარაბაძე** – 23 წლის თავდამსხმელი თურქეთში ფორმის აღდგენასა და "დილას" ძირითადში მოხვედრას შეეცდება.

ბოლოს კი ყველაზე საინტერესო ამბავი: **მამუკა ჯულელს**, რომელიც "დილას" გენერალურ დირექტორად დაინიშნა, კიევის "დინამო 2"-იდან 19-წლამდელებში ევროპის ჩემპიონის **თემურ ფარცვანიას** ჩამოყვანა სურს.

თუმცა ეს ჯერ სურვილია და ძნელი სათქმელია, მოხერხდება თუ არა უკრაინელებისა და თავად პერსპექტიული მოთამაშის დათანხმება.

გარდა ამისა, გორელებს სთავაზობდნენ "სტიაუასა" და რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელს **ნიკოლაუ დიკას** და მაკედონიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრს **ილია სტეფანოვსკის**, რომელიც ბოლოს დროს ჩეხეთში თამაშობდა, მაგრამ გორელებმა მათ ჩამოყვანაზე უარი თქვეს.

დღეს "დილა" სამედიცინო შემოწმებას გაივლის, 24 იანვარს, გამთენიისას კი გუნდი თურქეთში გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ვიტ ჯორჯია

# თამაში ერთი, ქულა 4

### ვიტელებმა ბენდელა მოგებით დაიწყეს

**დილა-ვიტ ჯორჯია 0:3**

**0:1 ზაქრაძე (3), 0:2 ვასაძე (44), 0:3 ჩიმაკაძე (58)**

**ვიტ ჯორჯია: ძაძამია (46. რეჭია), - ხურცილავა (71. გეთიაშვილი), ადამაძე (81. კალანდია), კასრაძე, ღანიაშვილი (76. ჯავაშვილი), - გურამ გურეშიძე (84. ლობჟანიძე), ვასაძე (46. დავლაშელიძე), - კორიფაძე (65. ჯოლოხავა), გიორგი გურეშიძე (46. ჯაყელი), ზაქრაძე (56. ჯულელი), - ჩიმაკაძე (61. კუხალეიშვილი).**

ეს შეხვედრა 21 იანვარს "ბენდელას თასის" ეგიდით ჩატარდა "ავაზას" სპორტკომპლექსში. გორის "დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** ძირითადი შემადგენლობა არ გამოიყვანა, რადგან გორელები წინა დღეს რუსთავში "მეტალურგს" შეხვდნენ. მოედანზე "დილას" დუბლები გავიდნენ, "ვიტ ჯორჯიამ" კი ძირითადი შემადგენლობით ითამაშა. ცხადია, შედეგიც ამან განაპირობა.

"ვიტ ჯორჯიას" პრესსამსახურის ცნობით, თამაში ვეტერინართა უპირატესობით მიმდინარეობდა. უკვე მე-3 წუთზე **ბექა ზაქრაძემ** თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 44-ე წუთზე **გიორგი ვასაძემ** სხვაობა ორამდე გაზარდა. მეორე ტაიმში **ბესიკ ჩიმაკაძემ** მესამეც გაიტანა და შეხვედრაც ასე დასრულდა - 3:0. 88-ე წუთზე **გიგა ჯულელს** ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა - ბურთი მეკარემ მოიგერია.

ვინაიდან მატჩი "ბენდელას თასის" ეგიდით ჩატარდა, ტურნირის რეგლამენტით, „ვიტ ჯორჯიამ" 4 ქულა მოიპოვა, რადგან მეტოქე 3 ბურთის სხვაობით დაამარცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ტორპედო

# ფერენცვაროშს ბრაშოვი ჩაანაცვლებს

ქუთაისის "ტორპედო" თურქეთში, ანთალიაში აგრძელებს სეზონისთვის მზადებას. რიონისპირელებს იქ პირველი ამხანაგური მატჩი 25 იანვარს უნგრულ "ფერენცვაროშთან" უნდა ეთამაშათ, მაგრამ განრიგში ცვლილების მოუწევთ – უნგრელების ნაცვლად რუმინულ "ბრაშოვს" გაეჯიბრებიან.

ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგია" და ზაქათალის "სიმურგი" – ანთალიაში სხვათა გარდა ეს გუნდებიც ემზადებიან და შესაძლოა, "ტორპედომ" რომელიმე მათგანთანაც ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ გეგმის მიხედვით "ტორპედო" 28 იანვარს პოლონურ "კორონას" უნდა შეხვდეს, 1 თებერვალს კი — ჩეხურ "ზანიკს".

**დავით თავართქილაძე**

## ამბები

# გურია: სამიდან სამი მოგება პლუს მიქაბერიძე

ლანჩხუთის „გურია" სეზონის განახლებისთვის მზადებას ლანჩხუთში განაგრძობს, მაგრამ თოვლმა ვარჯიში შეუძლებელი გახადა და წვრთნა რამდენიმე დღით შეაჩერა. თუმცა **გიგლა იმნაძის** შეგირდებს დრო უქმად არ დაუკარგავთ - სამ დღეში ორი საკონტროლო მატჩი გამართეს. ჯერ გრიგოლეთში ფოთის „კოლხეთს" ეპაექრნენ და მეზობლები **ტარიელ კუკულაძისა** და ახალწვეულ **ლაშა ჯანგიძის** გოლებით 2:0 დაამარცხეს, შაბათს კი „გურია" ზუგდიდში „ბაიას" ესტუმრა და ამჯერადაც მოიგო - 2:1 (გოლები: **გიგა კვერენჩხილაძე, რევაზ კუკულაძე**). ლანჩხუთელებს სამი მოგებული ტესტ-მატჩი დაუგროვდათ - პირველში ოზურგეთის „მერცხალი" 4:1 დაამარცხეს.



არდალიონ მიქაბერიძე

როგორც გიგლა იმნაძემ გვითხრა, კლუბში სასელექციო სამუშაოები მიმდინარეობს და სწორედ საკონტროლო მატჩების შემდეგ შეარჩევენ იმ ბირთვს, რომლითაც „გურია" პირველი ლიგის გათამაშებას დაასრულებს და ასევე იასპარეზებს საუმაღლესლიგო პლეი ოფში, სადაც თამაშის უფლება კლუბმა ვადამდე გაინაღდა. თუმცა რამდენიმე გამოცდილი მობურთალის დამატებასაც აპირებენ, მათთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჯერ გასარკვევია, ვისით გაძლიერდება „გურია". ამ ეტაპზე ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ლანჩხუთელთა ღირსებას დაიცავს **არდალიონ მიქაბერიძე**. „გურიას" მეკარის პრობლემა ჰქონდა და ამიტომ მოლაპარაკებას რამდენიმე გოლკიპერთან აწარმოებდა - საბოლოოდ, როგორც ჩანს, გურულებმა არჩევანი „ვიტ ჯორჯიას" ყოფილ კიპერზე შეაჩერეს.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას „გურია" 25 იანვარს გრიგოლეთში გამართავს ბათუმის „დინამოსთან".

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

# ქართველი მწვრთნელები ესპანეთში

დღეს, გამთენიისას, ქართველ მწვრთნელთა ჯგუფი მადრიდში გაემგზავრა. დელეგაციას მწვრთნელთა განათლების პროგრამის ხელმძღვანელი **გაიოზ დარსაძე** თავკაცობს. ესპანეთში ახალგაზრდებთან მომუშავე მწვრთნელები, **ვალერი გაგუა, რამაზ სოლოლაშვილი, რამაზ სვანაძე, მამუკა ჩაჩუა, ჯესი სურმავა, ზაზა ინიაშვილი, აკაკი კვერნაძე** და **ალექსანდრე ბურნაძე** 4-დღიან სწავლებას გაივლიან.

სემინარის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვთნელთა განათლების მენეჯერ **ვარლამ დარსაძეს** ვესაუბრეთ: *"ახალგაზრდა სპეციალისტები ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ლას როსასში" ისწავლიან. ეს ღონისძიება უეფას მიერ არის ორგანიზებული. სწავლების თემა მასობრივი ფეხბურთი იქნება,"* - გვითხრა ვარლამ დარსაძემ, რომლის თქმით, ასეთ პროექტებს ინტენსიური სახე ექნება და საზღვარგარეთ კვლავ გაიგზავნებიან ის სპეციალისტები, რომლებიც ახალგაზრდებთან და ბავშვებთან მუშაობენ.

*"რა თქმა უნდა, განვაგრძობთ სხვადასხვა კატეგორიის ლიცენზიების კურსების ჩატარებასაც და ვეცდებით, უფრო მეტ ლიცენზირებულ მწვრთნელს მივცეთ ბავშვებთან მუშაობის საშუალება. საჭიროა, დროდადრო შევკრიბოთ ისინი და მივაწოდოთ ინფორმაცია თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციებზე"*, - ამბობს მწვრთნელთა განათლების მენეჯერი.

ქართული დელეგაცია სამშობლოში 28 იანვარს დაბრუნდება.

**მაგდა კლდიაშვილი**

## სპარტაკი

# მელქაძეც ბრუნდება!

დიდთოვლობამ რამდენიმე ქართულ გუნდს სერიოზული პრობლემა შეუქმნა: საქართველოს შავიზღვისპირეთში წინასწარ დაგეგმილ სპარინგმატჩებიც გადაიდო და ზოგს კი, სულაც შეკრება ჩაეშალა. ასე მაგალითად, ცხინვალის „სპარტაკი" 18 იანვარს ურეკში გაემგზავრა, მაგრამ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი სწორედ დიდთოვლობის გამო ორი დღის მერე უკან გამობრუნდა და მეორე ეტაპისათვის მზადებას საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ახალ სტადიონზე „ბენდელაზე" გააგრძელებს; შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის შემდეგ „სპარტაკში" სერიოზული ცვლილებები მოხდა: სხვადასხვა გუნდებში გააგრძელებენ კარიერას **რევაზ ჯიქია, ზვიად მეტრეველი, კობა შალამბერიძე, ბესიკ დეკანოიძე, ბოიომო ფრიდოლინი, გიორგი ციმაკურიძე, გაგა თიბილაშვილი**; ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ, თავდაპირველად, „სპარტაკში" ახალგაზრდა მოთამაშეები გამოჩნდნენ — „დინამოს" დუბლებიდან **გიორგი ნადირაძე, კონსტანტინე გაბაშვილი, ლევან ჩაფიძე** და **მიხეილ ჯიშკარიანი** გადმოიყვანეს. დღესდღეობით კი „სპარტაკში" რამდენიმე პოტენციურ ახალწვეულს აკვირდებიან: **სერგი ორბელაძეს, ლევან ჭაფოძეს, გუგა მიქაძეს, გიორგი გველესიანსა** და **თორნიკე ლოლაძეს**. ამათგან, ყველაზე გამოცდილი 29 წლის სერგი ორბელაძეა, საქართველოში რამდენიმე გუნდში („ლოკომოტივი", „დინამო", „სიონი", „მეტალურგი") რომ უთამაშია. არანაკლებ გამოცდილია „სპარტაკის" კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეული: 32 წლის **ლევან მელქაძემ** გარკვეული პაუზის მერე კვლავ გადაწყვიტა აქტიური კარიერის გაგრძელება.

2004-05 წლებში მელქაძე საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა და საუკეთესო ბომბარდირიც (31 მატჩში 27 გოლი გაიტანა). იმ პერიოდში მელქაძე თბილისის „დინამოში" ასპარეზობდა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. „დინამოს" გარდა მელქაძეს სხვადასხვა დროს უთამაშია: თბილისის თსუ-ში,



ლევან მელქაძე

„თბილისში", „ვიტ ჯორჯიაში", „ზესტაფონსა" და „სიონში". ბომბარდირული თვისებებით დაჯილდოებულ ფეხბურთელს უცხოური კარიერა სამწუხაროდ ვერ აეწყო: ლევან მელქაძე იტალიურ „სიენაში", ნორვეგიულ „ვალერენგასა" და ყაზახურ „შახტიორში" ასპარეზობდა. 2001-04 წლებში ლევან მელქაძემ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 5 მატჩი ჩაატარა.

**გია ტუხაშვილი**

## კოლხეთი

# ზღვისპირული საკონტროლო

გუშინ ფოთის "კოლხეთი" პირველლიგელ ბათუმის "დინამოს" გაეჯიბრა და 3:1 მოუგო. შეხვედრის გამართვა გრიგოლეთში იყო ნავარაუდევი, თუმცა ქარმა ფოთის მთავარი სტადიონის სათადარიგო მოედანი ისე გამოაშრო, რომ მატჩის ჩატარება შესაძლებელი გახდა.

35-ე წუთზე **ბექა ტუღუშმა** ფოთელები დააწინაურა, ოც წუთში ბათუმელმა **ნიკა დიასამიძემ** ანგარიში გაათანაბრა, 61-ეზე "კოლხეთი" ისევ დაწინაურდა **ილია პავლიაშვილის** გოლით, წერტილი კი მე-80 წუთზე **ლევან წურწუმიამ** დასვა.

"კოლხეთი" პირველ ტაიმში: **ნადირაშვილი – ქორჩილავა, ლომაშვილი, ცხვიტარია, კილასონია – გოგონაია, გვალია, გულუა, ჭკადუა (პავლიაშვილი 30) – ციცხვაია (ხუბუტია 30), ნიქარიშვილი (ტუღუში 30).**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **გაბუნია, ხატიაშვილი, ფოფხაძე, ცხადაია, ქებაძე, წურწუმია, პ. დათუნაიშვილი, დეისაძე, ლორია, რუსია.**

ფოთელთა რიგებში არ უთამაშია კამერუნელ მცველ **ბოიომო ფრიდოლინის** – ის ტრავმირებულია.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას "კოლხეთი" ისევ პირველლიგელთან, ოზურგეთის "მერცხალთან" გამართავს 24 იანვარს ფოთში.

**დავით თავართქილაძე**

## ზესტაფონი

# ამ საქმეშიც მოწინავე

### პირველი ფან-შოპი საქართველოში

"ზესტაფონი" პირველი ქართული კლუბია, რომელსაც საკლუბო ატრიბუტიკის მაღაზია ექნება. თითქოსდა ელემენტარული საერთაშორისო ნორმა დღემდე საქართველოში არავის დაუკმაყოფილებია და იმედია, "ზესტაფონის" მაგალითს ჩვენი სხვა კლუბებიც მიბაძავენ.

მაღაზია ზესტაფონში, **დავით აბაშიძის** სახელობის სტადიონის შენობაში გაიხსნა და იქ "ზესტაფონის" ქომაგებს საყვარელი კლუბის სიმბოლიკით დამშვენებული უამრავი ნივთის შეძენა შეეძლებათ – იყიდება მაისურები, კაშნეები, ზურგჩანთები, ქუდები, ჭიქები, სანთებელები და სხვადასხვა სუვენირი.

უახლოეს მომავალში "ზესტაფონი" ფან-შოპის გახსნას თბილისშიც გეგმავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლეგიონი

# დაუშვილი თავის სტიქიაშია

## ქართველის სიხისტემ მეტოქეები ააწუწუნა



ბუბა დაუშვილი

ლვოვის "კარპატის" ახალ მთავარ მწვრთნელად "ოლექსანდრიას" ყოფილი დამრიგებელი **ვლადიმერ შარანი** დანიშნეს. სწორედ მის ხელში გამოჩნდა **დავით თარგამაძე** და გულშემატკივრებისა და სპეციალისტების ყურადღებაც დაიმსახურა.

შარანის დანიშვნამდე კი "კარპატიში" დროებით მთავარ მწვრთნელად მუშაობდა **პაველ კუჩეროვი**, რომელთანაც დაიწყო ვარჯიში "ზესტაფონიდან" ლვოვურ კლუბში გადასულმა **მურთაზ დაუშვილმა**. გუნდი ახლა ტრუსკავეცში ემზადება სეზონისთვის, პირველი საკონტროლო შეხვედრა კიევის "ობოლონთან" გამართა და 5:0 გაიმარჯვა.

*"ქართველმა ლეგიონერმა თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა – ის ორთაბრძოლებში თავიდანვე ჩაერთო და მოწინააღმდეგეს ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდა. მართალია, მსაჯი წესების დარღვევას არ აფიქსირებდა, მაგრამ მეტოქეები მუდმივად უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ქართველის ხისტი თამაშის გამო. მეტიც, მათ დაუშვილს ფეხებში მირტყმა დაუწყეს, რის გამოც "კარპატის" ექიმებს მოედანზე შესვლა მოუხდათ. დაუშვილი ასე თუ გააგრძელებს, ჩვენს მეტოქეებს თამაშის ცენტრიდან წარმართვის სურვილი გაუქრებათ. იგრძნობოდა, რომ ქართველმა იოლად გამონახა საერთო ენა არტიომ ფედეცკისთან, რომელიც ასევე ხისტი მოთამაშეა. დაუშვილი ელოდებოდა ფედეცკის ფლანგურ გარღვევებს, რის შემდეგაც პასებით ამარაგებდა"* - წერს "კარპატის" ოფიციალური ვებგვერდი.

*"მურთაზ დაუშვილი უკვე ჩვენი მოთამაშეა და ეს ძალიან მახარებს. ის კარგი საყრდენია, მშვენიერი მონაცემები აქვს და მობილურია. მურთაზი უნარიანად თამაშობს ართმევაზე, შეუძლია ზონის გაკონტროლება. გარდა ამისა, ტექნიკურია, კარგად აწვდის პასს. ჩანს, რომ ხასიათიც მტკიცე აქვს და ვარჯიშებზეც კარგად მუშაობს. ამიტომ მიმაჩნია, რომ მას შეუძლია პროგრესირება და გუნდს გამოადგება,"* – ამბობს „კარპატის" მწვრთნელი.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)

# ევროპა ვერაფრით გავაკვირვეთ

ევროპის რამდენიმე ლიგაში კვლავ შესვენებაა, მაგრამ არაერთ ქვეყანაში ჩემპიონატები განახლდა და ჩვენც ქართულ ლეგიონზე უფრო ვრცელი ინფორმაციის მოწოდება შეგვიძლია. სხვა საქმეა, რომ ჩვენს თანამემამულეებს ევროპაში განსაკუთრებული არაფერი უქნიათ – თუ, რასაკვირველია, იმ ფაქტს არ გავითვალისწინებთ, რომ მათი ნაწილი საკუთარი კლუბების ძირითად შემადგენლობაში ადგილს ინარჩუნებს.

"ჯენოა" გასვლაზე "პალერმოსთან" 3:5 დამარცხდა, თუმცა **კახა კალაძეს** ტრავმის გამო კვლავ არ უთამაშია. გენუელები ცხრილში მე-10 პოზიციაზე არიან.

სერია B-ში "ემპოლიმ" შინ "პესკარასთან" 0:2 წააგო. მასპინძელთა რიგებში **ლევან მჭედლიძემ** შეუცვლელად ითამაშა, **ირაკლი შეყილაძე** კი 18-კაციან განაცხადში არ იყო.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგა 3 თებერვალს განახლდება, სამაგიეროდ, დაიწყო პირველი ბუნდესლიგის მეორე წრე. **ლევან კობიაშვილის** "ჰერტა" ნიურნბერგში 0:2 დამარცხდა და მე-13 ადგილამდე დაქვეითდა. ვეტერანმა ქართველმა, რომელსაც კონკურენტები არ აკლია, ბერლინელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ზამთრის პაუზის შემდეგაც შეინარჩუნა და "ჰერტას" დაცვის მარცხენა ფლანგზე 90 წუთი ითამაშა. "შპორტალმა" მისი თამაში 4-იანით შეაფასა.

"ვიტესი" საკუთარ მოედანზე "ნეიმეგენთან" 0:1 დამარცხდა, თუმცა ამაში ქართველებს ბრალი საერთოდ არ მიუძღვით. იშვიათი ამბავი მოხდა – მოედანზე არნემელთა სამი ქართველიდან ერთიც არ ყოფილა. მოგეხსენებათ, **გურამ კაშია** ტრავმირებულია, **გიორგი ჭანტურია** განაცხადში საერთოდ არ ყოფილა, **ვაკო ყაზაიშვილი** კი სათადარიგოობას დასჯერდა. "ვიტესი" ერედივიზიეში მე-7 ადგილზეა.

**შოთა არველაძის** "ქაისერისფორი" სტამბოლში "ფენერბაჰჩესთან" 0:4 განადგურდა და მე-11 ადგილამდე დაეშვა. პირველი ტაიმი "ქაისერიმ" მინიმალურად დათმო, შესვენების შემდეგ კი ფავორიტმა საკუთარი სტატუსი შთამბეჭდავად დაამტკიცა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ ხიზანიშვილმა**, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა.

სამაგიეროდ, თურქული სუპერლიგის გასული ტური წარმატებული გამოდგა **აკაკი ხუბუტიას** "სამსუნსფორისთვის", რომელმაც საკუთარ მოედანზე "ორდუსფორს" 2:0 სძლია. ქართველი მცველი 65-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, როცა მის გუნდს მეორე გოლი ჯერ არ გაეტანა. ხუბუტიამ ყვითელი ბარათი მიიღო, "სამსუნი" კი, გამარჯვების მიუხედავად, ბოლოსწინა, მე-17 პოზიციაზე დარჩა.

საბერძნეთის სუპერლიგაში დარჩენილმა ერთადერთმა ქართველმა წარმატებით ითამაშა. **გიორგი შაშიაშვილის** "ერგოტელისმა" შინ ათენის აეკ-თან 1:1-ს მიაღწია, ქართველმა უკანახაზელმა კი 90 წუთი ითამაშა.

საფრანგეთის თასის მეთექვსმეტედფინალში "ბასტიამ" სტუმრად 1:3 წააგო "ვალანსიენთან". "ბასტიას" ძირითადში იყო **ამირან სანაია**, რომელიც 62-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით კვირკველიამ** ფამაგუსტის "ანორთოსისის" შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა. მისმა ახალმა გუნდმა სტუმრად ლიდერ "ომონიას" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო (1:0) და ქულებით გაუთანაბრდა. კვირკველია თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო, "ანორთოსისმა" კი გამარჯვების გოლი 83-ეზე გაიტანა. "ანორთოსისი" "ომონიას" მხოლოდ გატანილ-მიღებული ბურთების სხვაობითღა ჩამორჩება.

ის ქართველი ლეგიონერები, რომელთა კლუბებსაც ჯერ ოფიციალური ტურნირები არ დასწყებიათ, ამხანაგურ მატჩებში მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი შაშიაშვილი

სადაურსა სად...

# ქართველების გაწვევა უკრაინის ნაკრებებში

უკრაინის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ბოლო დროს ბევრი ქართველი მიიწვიეს. მაგალითად, შარშან 19-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი გახდა **თემურ ფარცვანია**, რომელიც ამჟამად უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში "თანამეგობრობის თასზე" თამაშობს – 20 წლის ზუგდიდელი ნაკრების ძირითადის მოთამაშეა და ყვითელ-ლურჯი ფორმით უკვე ცხრა ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. კიევის "დინამოს" ახალგაზრდული გუნდის ცენტრალურმა მცველმა შაბათს ყირგიზეთის ნაკრებთან მოგებასა (4:0) და გუნდის მეოთხედფინალში გასვლაში თავისი წილი დაიდო.

ცოტა ხნის წინ კი შევიტყვეთ, რომ უკრაინის 18-წლამდელთა გუნდის წევრია **ამბროსი ჩაჩუა**. 1994 წელს დაბადებული ჩაჩუა ლვოვის "კარპატის" დუბლების ცენტრალური ნახევარმცველია და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება.

უკრაინელებმა რუსეთში ვალენტინ გრანატკინის ხსოვნის ტურნირზე ითამაშეს და მე-7 ადგილს დასჯერდნენ. ჩაჩუა მუდამ ძირითადში იყო.

ქართველი ფეხბურთელი ალმოვაჩინეთ უკრაინის 16-წლამდელთა ნაკრებშიც (1996 წელს დაბადებულები), რომელიც თურქეთის ქალაქ მანისში „ეგეოსის ზღვის თასის" გათამაშებაში მონაწილეობდა. **ალექსანდრ გოლოვკოს** განვრთნილებმა პირველ შეხვედრაში ფრანგებთან 3:3 ითამაშეს, მერე ბერძნებთან 1:2 დამარცხდნენ, 20 იანვარს კი ბელგიელებს 2:2 დაუზავდნენ და მესამე ადგილისთვის ბრძოლა ველარ განაგრძეს. ბელგიელებთან უკრაინელთა მეორე გოლი **ბექა ვაჩიბერაძემ** გაიტანა.

ბექა ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელის, **ზაზა ვაჩიბერაძის** შვილია. ის ცენტრალური ნახევარმცველია და მამამისივით ცაციაა. ბავშვობაში საფეხბურთო სკოლა "ოლიმპში" **შოთა ჭეიშვილთან** ვარჯიშობდა, ბოლო ექვსი წელი კი უკრაინაშია, ოდესის "ჩერნომორეცის" საფეხბურთო სკოლაში. სთავაზობდნენ დონეცკის "შახტარისა" და "დნიპროს" 19-წლამდელთა გუნდებში გადასვლას, მაგრამ, ზაზას თქმით, სხვაგან გადასვლა ოდესელებთან მორალურად გაუმართლებელი იქნებოდა. 15 წლის ბიჭი "ჩერნომორეცის" 17-წლამდელთა გუნდში ჩაირიცხა და ამ ასაკის ბავშვთა უკრაინის ჩემპიონატში ჩატარებულ 40 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა.

ბექა უკრაინის ნაკრებში გასული წლის ნოემბერში მიიწვიეს და შვეიცარიასთან ორ საკონტროლო შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ათამაშეს. როგორც ჩანს, თავი გამოიჩინა, „ეგეოსის ზღვის თასის" გათამაშებაშიც სამივე შეხვედრა ძირითადში ჩაატარა და



უკრაინელები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

თუმცა ასე არ ფიქრობენ თავად ფეხბურთელი და მამამისი. უკრაინელებისადმი მადლიერებისა და პატივისცემის მიუხედავად, ზაზა ვაჩიბერაძემ შარშან შვილი საქართველოს ნაკრებში გასინჯვაზე ჩამოიყვანა, რადგან სურს, რომ ბექამ საქართველოსთვის ითამაშოს. თუმცა მაშინ ბექა ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდა და უკრაინაში დაბრუნდა.

უცხოეთში მოთამაშე უცნობი ქართველების თემას მოსკოვის "სპარტაკის" დუბლშემადგენლობაში ჩარიცხული ქართველით განვაგრძობთ: შარშან რუსების სახალხო გუნდში 1994 წელს დაბადებული **თემურ ბუკია** გამოჩნდა. 175 სმ სიმაღლის გარემარბი სოჭში დაიბადა, რამენსკოეს "სატურნის" გაზრდილია, 2010 წლის დეკემბერში, გუნდის დაშლის შემდეგ, "სპარტაკში" გასინჯეს და მალე 3-წლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს.

თუმცა შარშანდელი სეზონი ბუკიამ "სპარტაკის" 19-წლამდელთა გუნდში გაატარა. ის რუსეთის მოქალაქეა და თანამშრომლობს იმ სამენეჯერო კომპანიასთან, რომლის კლიენტები არიან **ირაკლი ჭეჟია** ("სპარტაკი 2"), **ირაკლი ლოგუა** ("ფაკელი") და **მიხეილ გორელიშვილი** ("რუბინი 2").



ამბროსი ჩაჩუა

**მერაბ მამულაშვილი**

## ესპანიოლი–გრანადა 3:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - გალანი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი, ბაენა - ვეისი (87. კ. ალფონსო), ვერდიუ (77. კ. გომესი), რომარიკი - ტიევი (64. რუი ფონტე).

**გრანადა (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - ნიომი (77. ხარა), მაინსი, ბ. გომესი, სიკეირა - ფ. რიკო, მ. რიკო - უჩე (77. იგჰალო), აბელი (53. ხაიმე), ბენიტესი - ხეიხო.

**გოლები:** 1:0 ბაენა (26), 2:0 ვერდიუ (45-პენ), 3:0 რუი ფონტე (80)

**გაფრთხილება:** ბაენა - ნიომი, ხაიმე, ხარა

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 16-14 (8-6); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 33 000

## რასინგი–ხეტაფე 1:2

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო, სისმა - დიოპი, კოლსა (46. ციოლისი) - არანა (65. კენედი), ადრიანი, აკოსტა - სტუანი (52. სამპერიო).

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა, კატა დიასი, რაფა (16. ლოპო), მასილელა - ბარადა (78. დ. კასტრო), მიჩელი, კასკერო, გავილანი (61. პედრო ლეონი) - გუისა, მიკუ.

**გოლები:** 1:0 სტუანი (13), 1:1 გავილანი (25), 1:2 მიკუ (83)

**გაფრთხილება:** ტორეხონი - მიჩელი, პედრო ლეონი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 18-15 (8-5); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 14 000

## რეალ სოსიედადი–ატლეტიკო 0:4

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა (72. იფრანი), დემიდოვი, მ. გონსალესი, კადამურო (57. ჩაბი პრიეტო) - ელუსტონდო, არანბურუ - ველა, ზურუტუზა, გრიზმანი - აგირეჩე (84. ხ. ლორენტე).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი (67. ასუნსაო), გაბი - დიეგო (79. კოკე), ადრიან ლოპესი, არდა თურანი (86. დომინგესი) - ფალკაო.

**გოლები:** 0:1 ფალკაო (3-პენ), 0:2 ადრიან ლოპესი (46), 0:3 ფალკაო (82), 0:4 ფალკაო (90)

**გაფრთხილება:** დემიდოვი, არანბურუ, ზუბიკარაი (სათ. სკამზე), გონსალესი - მირანდა, სუარესი, გაბი, ფილიპე ლუიში, ხუანფრანი, დიეგო, ფალკაო

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 7-24; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 16-15 (1-9); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 28 000

## ბეტისი–სევილია 1:1

**ბეტისი (4-4-2):** კასტრო - ისიდორო, კანიასი, დორადო, ნაჩო - ხუანმა (69. სევილია), ბენატი (83. მოლინა), ირინეი, მონტერო (59. პოსუელო) - რ. კასტრო, სანტა კრუსი.

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე, სპაჰიჩი, ფასიო, ფ. ნავარო - მედელი, ტროხოვსკი (59. რაკიტიჩი) - ხესუს ნავასი, რეიესი, ლუნა (71. კასერესი) - ნეგრედო (82. ჰიროში).

**გოლები:** 1:0 ბენატი (26), 1:1 ნეგრედო (41)

**გაფრთხილება:** ირინო, ისიდორო, ბენატი, ნაჩო, კასტრო - ფასიო

**გაძევება:** ფასიო (69)

**კუთხური:** 8-10; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-15 (2-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 50 000

## ოსასუნა–ვალენსია 1:1

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, სერხიო, ფლანიო, სატრუსტეგი (86. ტიმორი) - პუნიალი, ნეკუნამი (78. ლოლო) - სეხუდო, რ. გარსია, ლამა (67. ნინო) - ლეკიჩი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, დეალბერტი, ალბა - ალბელდა, ტ. კოსტა - ფეგული (88. ბრუნო), ბანეგა (56. ადურისი), ჟონასი (56. ბერნატი) - სოლდადო.

**გოლები:** 0:1 სოლდადო (85), 1:1 ლოლო (92)

**გაფრთხილება:** ბერტრანი, სეხუდო, ნეკუნამი - ალბა, ფეგული

**გაძევება:** ალბელდა (91)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 9-6 (5-1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 17 500

## რაიო ვალეკანო–მალიორკა 0:1

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** დანი - ტიტო, არიბასი, ლაბაკა (79. პერეა), კასადო - ფუეგო, მოვილია (65. დელიბაშიჩი) - პიტი (72. რაიკო), მიჩუ, ტრაშორასი - ტამუდო.

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ჩიკო, ნუნიეში, რამისი, პ. კასერესი - პერეირა, მარტი (52. პინა), ტისონე, გ. კასტრო (80. ნსუე) - ვიქტორი, ოგუნჯიმი (65. ალფარო).

**გოლი:** 0:1 რამისი (56)

**გაფრთხილება:** ტრაშორასი - ჩიკო, ტისონე, მარტი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 9-17; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 12-16 (4-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 12 000

## მალაგა–ბარსელონა 1:4

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, მონრეალი - კამაჩო, მარესკა (59. რონდონი) - კასორლა (78. რესიო), ისკო, ელიზეუ - ვან ნისტელროი (59. სება ფერნანდესი).

**ბარსელონა (4-3-3-):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, აბიდალი - ტ. ალკანტარა, ბუსკეტსი, ინიესტა (72. პედრო) - სანჩესი (63. კვენკა), მესი, ადრიანო (66. ჯონათან დოს სანტოსი).

**გოლები:** 0:1 მესი (32), 0:2 სანჩესი (47), 0:3 მესი (50), 0:4 მესი (80), 1:4 რონდონი (85)

**გაფრთხილება:** კამაჩო

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 9-15 (6-12); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 29 000

## ლევანტე–სარაგოსა 0:0

**ლევანტე (4-3-3):** მუნუა - ვენტა, კაბრალი, ნანო, დელ ორნო - ხ. ტორესი (78. რაფა ხორდა), ფარინოსი, იბორა - ელ ჟარი, კონე (81. როხერი), რ. სუარესი (61. იგონი).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ლანსარო, დ. სილვა, პარედესი, ობრადოვიჩი - დუიმოვიჩი (64. არანდა), აპონიო - ლუის გარსია, რუბენ მიკაელი (84. სუკულინი), ლაფიტა (76. ხუან კარლოსი) - პოშტიგა.

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 6-7 (0-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 10 000

## რეალი–ბილბაო 4:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო - გრანერო (72. დიარა), ჩაბი ალონსო - იოზილი, კაკა (78. კალეხონი), რონალდო - ბენზემა (67. იგუაინი).

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, სან ხოსე, ამორებიეტა (60. ი. გომესი) - ანდერი, იტურასპე, დე მარკოსი - სუსაეტა (67. ი. პერესი), ფ. ლორენტე (60. ტოკერო), მუნიაინი.

**გოლები:** 0:1 ფ. ლორენტე (12), 1:1 მარსელო (24), 2:1 რონალდო (46-პენ), 3:1 რონალდო (65), 4:1 კალეხონი (85)

**გაფრთხილება:** რამოსი, არბელოა, რონალდო - იტურასპე, დე მარკოსი

**გაძევება:** დე მარკოსი (66)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 13-7; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 23-13 (10-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 75 000

### დღეს

ვილიარეალი-სპორტინგი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 19 | 16 | 1 | 2 | 67-18 | 49 |
| 2. ბარსელონა | 19 | 13 | 5 | 1 | 59-12 | 44 |
| 3. ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29-20 | 35 |
| 4. ლევანტე | 19 | 9 | 4 | 6 | 25-22 | 31 |
| 5. ესპანიოლი | 19 | 8 | 4 | 7 | 21-21 | 28 |
| 6. ოსასუნა | 19 | 6 | 9 | 4 | 22-31 | 27 |
| 7. ბილბაო | 19 | 6 | 8 | 5 | 27-23 | 26 |
| 8. ატლეტიკო | 19 | 7 | 5 | 7 | 30-27 | 26 |
| 9. სევილია | 19 | 6 | 8 | 5 | 20-20 | 26 |
| 10. მალაგა | 19 | 7 | 4 | 8 | 22-28 | 25 |
| 11. ხეტაფე | 19 | 6 | 6 | 7 | 20-25 | 24 |
| 12. ბეტისი | 19 | 7 | 2 | 10 | 22-27 | 23 |
| 13. ვალეკანო | 19 | 6 | 4 | 9 | 21-28 | 22 |
| 14. მალიორკა | 19 | 5 | 7 | 7 | 17-24 | 22 |
| 15. სოსიედადი | 19 | 5 | 6 | 8 | 17-27 | 21 |
| 16. რასინგი | 19 | 4 | 8 | 7 | 15-23 | 20 |
| 17. გრანადა | 19 | 5 | 4 | 10 | 12-26 | 19 |
| 18. სპორტინგი | 18 | 5 | 3 | 10 | 18-30 | 18 |
| 19. ვილიარეალი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-28 | 16 |
| 20. სარაგოსა | 19 | 2 | 6 | 11 | 14-33 | 12 |

**ბომბარდირები:** 23 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია).

## სეგუნდა დივიზიონი. XXI ტური

**ალკოიანო-ალმერია 2:2**

გოლები: 0:1 ულოა (9), 1:1 გატო (58), 1:2 გოიტომი (62), 2:2 ველინგტონ სილვა (85)

**დეპორტივო-ვილიარეალი II 1:0**

გოლი: 1:0 ლეჟონი (77 ს.კ.)

გაძევება: კიკო (51. ვილიარეალი)

**ხირონა-მურსია 1:1**

გოლები: 1:0 ხ. კასტრო (12), 1:1 მოლინერო (34)

**ხიმნასტიკი-ელჩე 1:0**

გოლი: 1:0 ალვარო რეი (26)

გაძევება: მაირატა (89)

**გვადალახარა-ვალიადოლიდი 0:3**

გოლები: 0:1 ო. გონსალესი (35), 0:2 ხოფრე (47), 0:3 ალემანი (60-პენ)

გაძევება: სორია (66. გვადალახარა)

**ალკორკონი-ნუმანსია 2:2**

გოლები: 1:0 მონტანიესი (3), 2:0 მიგელესი (45), 2:1 ხუანხო (49), 2:2 ხუანხო (72)

**საბადელი-ლას პალმასი 1:1**

გოლები: 1:0 ხუანპე (13 ს.კ.), 1:1 ხუანპე (90)

გაძევება: დ. გონსალესი (81. ლას პალმასი)

**ერკულესი-უესკა 2:0**

გოლები: 1:0 სამუელი (61), 2:0 ტოტე (88)

**კარტახენა-უელვა 3:1**

გოლები: 1:0 კოლანტესი (35), 2:0 რაიმონდი (64), 3:0 კოლანტესი (71), 3:1 რაიმონდი (74 ს.კ.)

**კორდობა-სელტა 0:0**

**ბარსელონა II-ხერესი 2:0**

გოლები: 1:0 ტელო (39), 2:0 როდრი (58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 21 | 13 | 3 | 5 | 34-23 | 42 |
| 2. ვალიადოლიდი | 21 | 10 | 9 | 2 | 33-18 | 39 |
| 3. ერკულესი | 21 | 12 | 3 | 6 | 24-16 | 39 |
| 4. ელჩე | 21 | 11 | 4 | 6 | 37-21 | 37 |
| 5. სელტა | 21 | 11 | 4 | 6 | 35-19 | 37 |
| 6. ალმერია | 21 | 9 | 9 | 3 | 34-21 | 36 |
| 7. კორდობა | 21 | 9 | 7 | 5 | 21-15 | 34 |
| 8. მურსია | 21 | 9 | 6 | 6 | 28-25 | 33 |
| 9. ნუმანსია | 21 | 7 | 9 | 5 | 26-23 | 30 |
| 10. ლას პალმასი | 21 | 7 | 7 | 7 | 27-26 | 28 |
| 11. ალკორკონი | 21 | 7 | 7 | 7 | 23-23 | 28 |
| 12. ბარსელონა II | 21 | 7 | 6 | 8 | 32-30 | 27 |
| 13. უელვა | 21 | 7 | 5 | 9 | 26-25 | 26 |
| 14. გვადალახარა | 21 | 7 | 5 | 9 | 22-35 | 26 |
| 15. საბადელი | 21 | 6 | 7 | 8 | 25-39 | 25 |
| 16. ხერესი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-28 | 23 |
| 17. ალკოიანო | 21 | 5 | 8 | 8 | 23-32 | 23 |
| 18. კარტახენა | 21 | 4 | 8 | 9 | 14-24 | 20 |
| 19. ვილიარეალი II | 21 | 4 | 7 | 10 | 27-36 | 19 |
| 20. უესკა | 21 | 4 | 6 | 11 | 22-34 | 18 |
| 21. ხირონა | 21 | 3 | 8 | 10 | 23-35 | 17 |
| 22. ხიმნასტიკი | 21 | 3 | 7 | 11 | 17-27 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 - ულოა (ალმერია); 10 - კამაჩო (უესკა), ხოსელუ (ვილიარეალი); 9 - ანხელი (ელჩე).

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტური

# რონალდო და მესი, რეალი და ბარსა დაჭერობანა გრძელდება

## სიმეონემ ატლეტიკო წელში გამართა

ესპანურმა პრიმერამ ეკვატორს მიაღწია - „რეალი" ისევ 5 ქულით უსწრებს „ბარსელონას", რადგან წუხელ ორივე გრანდმა მოიგო, ორივემ - 4:1. ჩემპიონმა სტუმრად „მალაგა" გაანადგურა, ლიდერს კი შინ ცოტა გაუჭირდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დიდი ანგარიშით დაამარცხა „ბილბაო". **კრიშტიანო რონალდომ ლეო მესის** ჰეთ თრიკს დუბლით უპასუხა და პრიმერა დივიზიონის ბომბარდირობა, რომელიც 2 საათით დაკარგა, დაიბრუნა.

■ ■ ■

„ესპანიოლმა" წაუგებელი სერია ხუთ მატჩამდე გააგრძელა, ბარსელონაში იოლად დაამარცხა „გრანადა" - 3:0. არადა, წინა კვირაში კატალონიელებს სერიოზული ტრავმებით ორი მთავარი შემტევი დააკლდათ, **სერხიო გარსია** და **ალვარო ვასკესი**. ანგარიში თავურით **რაულ ბაენამ** გახსნა, რომელმაც მანამდე უფრო გასატანი სიტუაციიდან ააცილა. ტაიმის მიწურულს სლოვაკი **ვლადიმირ ვეისი** საჯარიმოში **ალან ნიომმა** მოცელა, კამერუნელს მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებამ ყვითელი ბარათის მეტი ვერაფერი მოუტანა - პენალტი **ჟოან ვერდიუმ** უშეცდომოდ შეასრულა. მეორე ტაიმში „გრანადა" უკეთ თამაშობდა, მაგრამ ანდალუსიელები დასკვნით ფაზაში სცოდავდნენ. ბოლო სიტყვაც „ესპანიოლის" იყო - **ჟულიო სეზარმა რომარიკის** საჯარიმო კი მოიგერია, მაგრამ იქვე დადარაჯებულ **რუი ფონტეს** ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია.

■ ■ ■

აი, „რასინგის" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია, რაც გუნდს **ხუანხო გონსალესი** წვრთნის, კი დასრულდა - არადა, „ხეტაფესთან" მატჩში თავიდან კანტაბრიელები დაწინაურდნენ, ურუგვაელმა **კრისტიან სტუანიმ** სეზონში მე-5 გოლი გაიტანა. მიუხედავად ამისა, აქამდეც და მერეც მადრიდელები უკეთეს ფეხბურთს თამაშობდნენ. **დანი გუისამ** მეტისმეტი მონდომა, როცა **ტონიოს** მოტყუებაც გადაწყვიტა და გოლკიპერმაც დაასწრო. ანგარიში **ხაიმე გავილანმა** გაათანაბრა, რომელიც სერიოზული ტრავმის მორჩენის შემდეგ დაბრუნდა. მეორე ტაიმში „რასინგის" მეკარე **ტონიო** ყოჩაღობდა, ხან გუისას დარტყმულს იგერიებდა, ხან - **მიკუს**. თუმცა გამარჯვების გოლი, რომელიც მიკუმ გაიტანა, სტუმრებმა ალალად დაიმსახურეს - 26 წლის ვენესუელელი ფორვარდი ორ მცველს გასცდა და ტონიოს თავზე გადაუგდო ბურთი - 1:2.

■ ■ ■

**რადამელ ფალკაომ** ჰეთ თრიკი შეასრულა, ხოლო მადრიდის „ატლეტიკომ", როგორც იქნა, მოიგო სტუმრად, თან ეს „ანოეტაზე" მოახერხა - 4:0. ვერაფერს იტყვი - **დიეგო სიმეონეს** შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა, 7 ქულა სამ თამაშში და 7:0 ბურთების სხვაობა. ამით „რეალ სოსიედადის" 7-მატჩიანი წაუგებელი სერია დასრულდა. ანგარიში მალევე გაიხსნა, „ატლეტიკოს" პირველივე ხეირიანი შეტევა პენალტით დასრულდა - **ვადიმ დემიდოვმა** ხელით ითამაშა საჯარიმოში, კლუბის რეკორდულმა შენაძენმა ფალკაომ პენალტი გოლად აქცია. მე-2 ტაიმიც სტუმართა გოლით დაიწყო, **ხუანფრანმა** ჩააწოდა, **ადრიან ლოპესის** დიდებული დარტყმა თავით მეკარე **ბრავომ** კი მოიგერია, მაგრამ ისევ ადრიანმა დაამატა.




ატლეტიკოს კოლუმბიელმა ვეფხვმა - ელ ტიგრემ (ნომერი 9) ჰეთ თრიკი შეასრულა

მატჩის მიწურულს კოლუმბიელმა კიდევ ორჯერ გაიტანა, პირველ შემთხვევაში მის ბრწყინვალე დარტყმულს ალვნიშნავთ, მეორეში კი „ატლეტიკოს" შესაშურ კომბინაციას. ფალკაოს უკვე 14 გოლი დაუგროვდა ჩემპიონატში.

■ ■ ■

ისევე, როგორც ძველ, კეთილ დროს, „ესტადიო დე ლოპერაზე" 50 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა, რომელმაც ასე მონატრებული სევილიური დერბი იხილა. „ბეტისი" და „სევილია" 1:1-ზე გაიყარნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 20 წუთი სტუმრებმა **ფედერიკო ფასიოს** გაძევების შემდეგ, 10 კაცით ითამაშეს. ანგარიში „ბეტისის" გამთამაშებელმა **ეჩებერია ბენატმა** საჯარიმო დარტყმით გახსნა, მაგრამ **ალვარო ნეგრედომ** თავურით ტაიმის მიწურულსვე გაათანაბრა. აღსანიშნავია, **ხესუს ნავასის** საგოლე ჩაწოდება.

■ ■ ■

„ვალენსიას" მოგება მისმა გამოცდილმა ნახევარმცველმა, **დავიდ ალბელდამ** ააცალა - მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე მან ორი ფეხით შეასრულა ვარდნა **ტეიშეირა ტიმორის** წინააღმდეგ, მსაჯმა ალბელდა ეგრევე გააგდო, ხოლო **ლოლომ** მეკარე **დიეგო ალვეშის** შეცდომით ისარგებლა და გაათანაბრა - 1:1. არადა, „რეინო დე ნავარაზე" „ღამურები" ძალიან ახლოს იყვნენ მოგებასთან, თამაშის დასრულებას 5 წუთი აკლდა, როცა **რობერტო სოლდადომ** თავურით სეზონის მე-12 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

„მალიორკამ" სტუმრად მცველ **ივან რამისის** თავურის წყალობით მოიგო. გოლის შემდეგ „რაიო ვალეკანოს" უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ბალეარელთა დაცვის ხაზმა გაძლო.

■ ■ ■

„ლა როსალედაზე" 30 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. მაყურებელმა ერთი მსახიობის თეატრი იხილა ლეო მესის შესრულებით. არგენტინელი აქამდე ვერ ბრწყინავდა „ბარსელონას" საგარეო მატჩებში ახლა კი გაილაღა - „მალაგას" კარში ჰეთ თრიკი შეასრულა, ერთი გოლიც **ალექსის სანჩესის** ანგარიშზეა. **მანუელ პელეგრინის** გუნდმა მხოლოდ **ხოსე რონდონის** გოლით უპასუხა ჩემპიონს, „მალაგაში" კრიზისი გრძელდება - 1:4. აღსანიშნავია, რომ მესიმ პირველი გოლი თავით გაიტანა, დანარჩენ ორ შემთხვევაში კი ჩვეულ სტილში შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში. ჩვენ მაინც მისი ბოლო გოლი მოგვეწონა. ახლა ლეოს ლა ლიგაში 22 გოლი დაუგროვდა.

■ ■ ■

ვალენსიაში ფეხბურთი ამ სიტყვის კარგი გაგებით არც ყოფილა - „ლევანტე" და „სარაგოსა" 0:0-ზე გაიყარნენ. კარისკენ ზუსტად სულ სამი დარტყმა განხორციელდა და სამივე სტუმრებისაა.

■ ■ ■

„სანტიაგო ბერნაბეუზე" სტუმრებმა გახსნეს ანგარიში - **ხავი მარტინესის** ჩამოწოდებულს **ფერნანდო ლორენტემ** ცაცია დაუხვედრა. 10-12 წუთის შემდეგ „სამეფო კლუბმა" გაათანაბრა, **მარსელომ** „კედელი" ჯერ **რონალდოსთან**, შემდეგ კი **ბენზემასთან** გაითამაშა - 1:1. მეორე ტაიმში პორტუგალიელმა ბომბარდირმა ორი პენალტი გაიტანა, ერთი გოლიც **ხოსე კალეხონის** ანგარიშზეა - 4:1, **იკერ კასილიასმა** „რეალის" მაისურით მე-600 მატჩი მოგებით დაასრულა.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

28 იანვარი: ესპანიოლი-მალიორკა, რაიო ვალეკანო-ბილბაო, რეალი-სარაგოსა, ვილიარეალი-ბარსელონა.

29 იანვარი: ბეტისი-გრანადა, რეალ სოსიედადი-სპორტინგი, ლევანტე-ხეტაფე, რასინგი-ვალენსია, მალაგა-სევილია.

30 იანვარი: ოსასუნა-ატლეტიკო.

# უცხოური ფეხბურთი

## რომა-ჩეზენა 5:1

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – ტადეი, ჟუანი (74. კიაერი), ჰაინცე, როზი – გაგო, გრეკო, პიანიჩი – ტოტი (65. ვივიანი), ლამელა (54. ბოიანი), ბორინი.

**ჩეზენა (4-4-2):** ანტონიოლი – კომოტო, ფონ ბერგენი, როდრიგესი, ლაურო (65. მორასი) – გუანა, ჩეკარელი, პაროლო, კოლუჩი (78. ბენალოუანე) – ედერი, მუტუ (46. კანდრევა).

**გოლები:** 1:0 ტოტი (1), 2:0 ტოტი (8), 3:0 ბორინი (9), 3:1 ედერი (58), 4:1 ჟუანი (62), 5:1 პიანიჩი (70).

**გაფრთხილება:** ბენალოუანე (ჩეზენა).

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 6-7; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 19(11)-6(5); **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 36 000

## ატალანტა-იუვენტუსი 0:2

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – რაიმონდი, ფერი, მანფრედინი, პელუზო – ბონავენტურა (62. ბონავენტურა), ჩიგარინი, სკელოტო (76. პინტუ), პადოინი – მორალესი - დენისი.

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი - ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, დე ჩელიე - მარკიზიო (46. ჯაკერინი), პირლო, ვიდალი – პეპე (69. მარონე), მატრი, ვუჩინიჩი (85. ბონუჩი).

**გოლები:** 0:1 ლიხტშტაინერი (54), 0:2 ჯაკერინი (83).

**გაფრთხილება:** რაიმონდი, მარილუნგო - ლიხტშტაინერი.

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 7(5)-17(8); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 21 000

## ბოლონია-პარმა 0:0

**ბოლონია (3-4-1-2):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, ანტონსონი – პერესი, გარიჩი, მუდინგაი, რუბინი - რამირესი (80. დიამანტი) – აკვაფრესკა (74. ხიმენესი), დი ვაიო.

**პარმა (3-4-3):** პავარინი – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი – გობი, ვალიანი, მორონე (46. მუსაჩი), გალოპა – ვალდესი (62. ბიაბიანი), ჯოვინკო (80. პალადინო), ფლოკარი.

**გაფრთხილება:** რამირესი - ძაკარდო, მორონე, ჯოვინკო, მუსაჩი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 4(2)-6(2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 22 000

## კალიარი-ფიორენტინა 0:0

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – ეკდალი (85. კონტი), დესენა, ნაინგოლანი – კოსუ – იბარბო, ლარივეი (74. ელ ქაბირი).

**ფიორენტინა (3-5-2):** ბორუცი – ნატალი, გამბერინი, ნასტასიჩი – კასანი, ბეჰრამი, მონტოლივო, პასკუალი (85. ვარგასი), სალიფუ (58. მუნარი) – ლაძარი, ლიაიჩი (64. აკოსტი).

**გაფრთხილება:** კოსუ, კონტი, ელ ქაბირი – ნატალი, ნასტასიჩი, კასანი, სალიფუ, მუნარი.

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10(3)-5(2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 11 000

## ლეჩე-კიევო 2:2

**ლეჩე (3-5-2):** ბენასი – ფერარიო (46. ობოდო), ტომოვიჩი, ესპოზიტო - ოდო, გროსმიულერი (84. პასკუატო), ოლივერა, კუადრადო (76. პიატი), ბრივიო – მურიელი, დი მიკელე.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – სარდო, ცეზარი, ანდრეოლი, იოკიჩი – ბრედლი, სამარკო (76. ჰეტემაი), ლუჩანო – თერეუ – პელისიერი (67. კრუსადო), პალოსკი (87. მოსკარდელი).

**გოლები:** 0:1 პალოსკი (2), 0:2 პალოსკი (24), 1:2 ესპოზიტო (30), 2:2 დი მიკელე (90).

**გაფრთხილება:** ტომოვიჩი, ფერარიო, ოლივერა - სარდო, ბრედლი.

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 13(6)-9(4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 10 000

## ნოვარა-მილანი 0:3

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – მორგანელა, რინაუდო, ჩენტურიონი, გარსია (63. მარიანინი) – ჯემიტი, პორკარი, პეშე (62. რუბინო) – რიგონი – მასკარა (69. იენსენი), კარაჩოლო.

**მილანი (4-3-1-2):** ამელია – აბატე, მექსე, ტიაგო სილვა, ანტონინი (46. ელ შაარავი) – ამბროზინი, ვან ბომელი, ნოჩერინო – ემანუელსონი – რობინიო (87. მერკელი), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (57), 0:2 რობინიო (73), 0:3 იბრაჰიმოვიჩი (90).

**გაფრთხილება:** პეშე, მასკარა, მარიანინი - ამბროზინი.

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 9(2)-18(9); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 12 000

## პალერმო-ჯენოა 5:3

**პალერმო (4-3-2-1):** ვივიანო - მუნოზი, სილვესტრი, მანტოვანი, ბალცარეტი – მილიაჩო, ბარეტო, დონატი – ილიჩიჩი (71. ბერტოლო) – მიკოლი (86. დელა როკა), ბუდანი (80. პინილია).

**ჯენოა (4-3-3):** ფრეი – გრანკვისტი, მესტო, სამპირიზი (46. კუჩკა), მორეტი – ბიონდინი, სეიმური (77. ხორკერა), იანკოვიჩი - სკული, პალასიო, ჯილარდინო.

**გოლები:** 0:1 პალასიო (13), 1:1 ბუდანი (26), 2:1 სილვესტრი (37), 3:1 მანტოვანი (42), 3:2 პალასიო (59), 4:2 მიკოლი (75), 5:2 მილიაჩო (84), 5:3 იანკოვიჩი (89).

**გაფრთხილება:** ბალცარეტი, ილიჩიჩი – სამპირიზი, მორეტი.

**კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 16(8)-12(6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 24 000

## სიენა-ნაპოლი 1:1

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – პეზოლი, ტერცი, კონტინი - ვიტიელო, ბოლცონი, დაგოსტინო (89. ანჯელო), ვერგასოლა, დელ გროსო – კალაიო (81. დესტრო), ბრიენცა (84. პარავიჩინი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – არონიკა, კანავარო, კამპანიარო (70. ცუნიგა) – მაჯო, ინლერი (70. ჯემაილი), გარგანო (55. ლავეცი), დოსენა – პანდევი, ჰამშიკი – კავანი.

**გოლი:** 1:0 კალაიო (67), 1:1 პანდევი (86).

**გაფრთხილება:** პეზოლი, ვიტიელო, ბოლცონი, დაგოსტინო – კამპანიარო, არონიკა.

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 6(1)-10(7); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 11 000

## უდინეზე-კატანია 2:1

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – დანილო, ფერონეტი, დანილო – ბასტა, პინცი (46. პასკუალე), ისლა (89. ბატოკიო), ფერნანდესი, არმერო – აბდი - დი ნატალე (78. ფლორო ფლორესი).

**კატანია (4-3-3):** კამპანიოლო – სპოლი, პოტენცა, ლეგროტალიე, მარკეზე (67. ლამე) – ისკო, ბიაჯანტი (56. ლოდი), ალმირონი – გომესი (80. კატელანი), ბარიენტოსი, ბერგესიო.

**გოლები:** 1:0 არმერო (20), 2:0 დი ნატალე (53), 2:1 ლოდი (90).

**გაფრთხილება:** ბასტა, ფერნანდესი – ლეგროტალიე, ალმირონი.

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 9(3)-10(4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 16 000

## ინტერი-ლაციო 2:1

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (46. ობი) – ნაგატომო, კამბიასო, ძანეტი, ალვარესი (46. სნეიდერი) – მილიტო (70. ფარაონი), პაცინი.

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – ძაური (73. სისე), დიასი, ბიავა, რადუ - ლულიჩი, ლედესმა, გონსალესი (66. კონკო) – ერნანესი (46. მათუზალემი) – როკი, კლოზე.

**გოლები:** 0:1 როკი (30), 1:1 მილიტო (44), 2:1 პაცინი (63).

**გაფრთხილება:** დიასი (ლაციო).

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 9(4)-7(2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 68 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 19 | 11 | 8 | 0 | 30-11 | 41 |
| 2. მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 40-17 | 40 |
| 3. უდინეზე | 19 | 11 | 5 | 3 | 28-14 | 38 |
| 4. ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30-20 | 35 |
| 5. ლაციო | 19 | 9 | 6 | 4 | 27-19 | 33 |
| 6. რომა | 18 | 9 | 3 | 6 | 28-20 | 30 |
| 7. ნაპოლი | 19 | 7 | 8 | 4 | 34-21 | 29 |
| 8. პალერმო | 19 | 7 | 3 | 9 | 24-27 | 24 |
| 9. კიევო | 19 | 6 | 6 | 7 | 16-22 | 24 |
| 10. ჯენოა | 19 | 7 | 3 | 9 | 25-34 | 24 |
| 11. კალიარი | 19 | 5 | 8 | 6 | 16-18 | 23 |
| 12. პარმა | 19 | 6 | 5 | 8 | 24-32 | 23 |
| 13. კატანია | 18 | 5 | 7 | 6 | 21-27 | 22 |
| 14. ფიორენტინა | 19 | 5 | 7 | 7 | 18-16 | 22 |
| 15. ატალანტა | 19 | 6 | 8 | 5 | 23-25 | 20 |
| 16. ბოლონია | 19 | 5 | 5 | 9 | 17-25 | 20 |
| 17. სიენა | 19 | 4 | 7 | 8 | 20-20 | 19 |
| 18. ჩეზენა | 19 | 4 | 3 | 12 | 13-30 | 15 |
| 19. ლეჩე | 19 | 3 | 4 | 12 | 20-36 | 13 |
| 20. ნოვარა | 19 | 2 | 6 | 11 | 18-38 | 12 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 14 – დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 12 - დენისი (ატალანტა); 11 – კავანი (ნაპოლი).

## სერია B. XXIII ტური

**სამპდორია-ლივორნო** 1:1

**გოლი:** 1:0 პოცი (55), 1:1 პაულინიო (81).

**ასკოლი-გუბიო** 2:1

**გოლები:** 1:0 ვაიგო (38), 1:1 ბაძოფია (70), 2:1 ფალკონიერი (89).

**ბარი-მოდენა** 0:1

**გოლი:** 0:1 პეტრე (9).

**ჩიტადელა-ტორინო** 1:1

**გოლები:** 1:0 გასპარეტო (6), 1:1 ანტენუჩი (17).

**კროტონე-ვარეზე** 1:2

**გოლები:** 0:1 ტერლიცი (41), 0:2 კაროცა (24), 1:2 ფლორენცი (90.).

**ემპოლი-პესკარა** 0:2

**გოლები:** 0:1 მანიერო (47), 0:2 ინსინიე (52).

**გროსეტო-ალბინოლეფე** 1:0

**გოლი:** 1:0 ალფაჯემე (59).

**სასუოლო-ვიჩენცა** 4:2

**გოლები:** 1:0 გ. სანსონე (42), 2:0 გ. სანსონე (50), 2:1 აბრუსკატო (55), 3:1 გ. სანსონე (58), 4:1 გაცოლა (90), 4:2 რიგონი (90).

**ვერონა-იუვე სტაბია** 2:0

**გოლები:** 1:0 სკალია (43), 2:0 პიჩმანი (74).

**ბრეშია-ნოჩერინა** 2:0

**გოლი:** 1:0 ქადური (23), 2:0 ჯონატასი (72).

**რეჯინა-პადოვა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 23 | 13 | 7 | 3 | 32-17 | 46 |
| 2. ტორინო | 23 | 13 | 7 | 3 | 28-15 | 46 |
| 3. პესკარა | 23 | 14 | 3 | 6 | 50-34 | 45 |
| 4. ვერონა | 23 | 13 | 5 | 5 | 32-23 | 44 |
| 5. პადოვა | 22 | 11 | 5 | 6 | 32-24 | 38 |
| 6. ვარეზე | 23 | 9 | 7 | 7 | 28-23 | 34 |
| 7. რეჯინა | 22 | 8 | 8 | 6 | 37-27 | 32 |
| 8. გროსეტო | 23 | 8 | 8 | 7 | 26-31 | 32 |
| 9. იუვე სტაბია | 23 | 10 | 5 | 8 | 33-30 | 31 |
| 10. ბრეშია | 23 | 8 | 7 | 8 | 25-26 | 31 |
| 11. სამპდორია | 23 | 6 | 12 | 5 | 29-21 | 30 |
| 12. ჩიტადელა | 23 | 8 | 6 | 9 | 28-32 | 30 |
| 13. ბარი | 23 | 8 | 7 | 8 | 25-26 | 29 |
| 14. ვიჩენცა | 23 | 6 | 8 | 9 | 27-31 | 26 |
| 15. ლივორნო | 23 | 6 | 7 | 10 | 23-24 | 25 |
| 16. კროტონე | 23 | 6 | 7 | 10 | 22-29 | 24 |
| 17. მოდენა | 23 | 5 | 9 | 9 | 24-37 | 24 |
| 18. ალბინოლეფე | 23 | 5 | 8 | 10 | 26-36 | 23 |
| 19. ემპოლი | 23 | 6 | 4 | 13 | 28-38 | 22 |
| 20. გუბიო | 23 | 5 | 7 | 11 | 23-34 | 22 |
| 21. ასკოლი | 23 | 7 | 4 | 12 | 26-33 | 18 |
| 22. ნოჩერინა | 23 | 3 | 7 | 13 | 30-43 | 16 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 15 – იმობილე (პესკარა), გ. სანსონე (სასუოლო); 13 – ტავანო (ემპოლი); 12 – აბრუსკატო (ვიჩენცა), საუ (იუვე სტაბია); 11 – სანსოვინი (პესკარა), სფორცინი (გროსეტო).

## ლეგა პრო 1/A

ფოლინო-ტერნანა 1:1, ლუმეცანე-კარპი 1:1, პავია-ტარანტო 0:2, პრო ვერჩელი-მონცა 1:1, რეჯანა-ბენევენტო 0:2, სორენტო-კომო 2:0, ტრიტიუმი-აველინო 1:0, ვიარეჯო-სპალ 2:0, ფოჯა-პიზა დღეს.

## ლეგა პრო 1 B

ბასანო-კრემონეზე 1:3, კარარეზე-პორტოგრუარო 2:0, ფერალპიზალო-ტრაპანი 1:2, ფროზინონე-სუდტიროლი 1:2, პერგოკრემა-ლატინა 1:1, პიაჩენცა-სპეცია 0:1, სირაკუზა-ტრიესტინა 2:0, ლანჩანო-პრატო 0:0, ანდრია-ბარლეტა 2:1.

● იტალია. სერია A. XIX ტური

# ინტერი: სულ ზევით, ზევით...

## ბებერი ქალბატონი პირველი წრის ჩემპიონია

XIX ტური „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიხსნა, სადაც „რომამ“ „ჩეზენას“ უმასპინძლა და ჩეპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა, 5:1. ის, რაც ამ შეხვედრის პირველ 10 წუთში მოხდა, დიდხანს ემახსოვრებათ ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს - რომაელებმა სტარტზევე გაუტანეს მეტოქეს სამი უპასუხო გოლი და შეხვედრის ბედი გადაწყვიტეს. იშვიათია თამაშის ბედი პირველ ათ წუთში წყდებოდეს და შაბათს სწორედ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე.

ანგარიში **ფრანჩესკო ტოტიმ** პირველივე წუთზე გახსნა, გოლი კი მართლაც ეფექტური გამოვიდა: მეტოქის საჯარიმოში **ერიკ ლამელა** შეიჭრა, ტოტის ქუსლით დაუგორა დასარტყმელ პოზიციაზე და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი „ჩეზენას“ კარის ჩარჩოში, 1:0. მართალია, ფრანჩესკოს მცირე რეკოშეტი დაეხმარა, მაგრამ ამით რომაელთა სიხარულს არაფერი დაჰკლებია. მეორე გოლიც ტოტის ანგარიშზეა და რაც ყველაზე საინტერესოა, ამჯერადაც ლამელამ გააკეთა საგოლე გადაცემა: მარცხენა ფრთიდან ჩაუკიდა კაპიტანს და მანაც ჰაერიდანვე გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში, 2:0. აი აქ კი ლაინსმენი აშკარად შეცდა, რადგან ტოტი ოდნავ წინ იყო უკანასკნელ მცველზე. ამ ეპიზოდიდან ერთი წუთი არ იყო გასული, როდესაც მარცხენა ფრთაზე უკვე **გრეკომ** გაინავარდა, **ფაბიო ბორინის** შესანიშნავად უპასა და ახალგაზრდა ფორვარდმა პრაქტიკულად დაუცველ კარში გადაგზავნა ბურთი, 3:0.

პირველ ტაიმში რომაელებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. მეორე ნახევრის სტარტი პირველის მსგავსად ხალისიანი გამოვიდა - 58-ე წუთზე **ედერმა** ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა, თუმცა მალევე **ჟუანმა** სტატუსკვო აღადგინა. შეხვედრის ბოლო გოლი **მირალემ პიანიჩის** ანგარიშზეა, მისი პირველი დარტყმული სტუმართა კიპერმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას დაასწრო და ბურთი ბადეში გაახვია, 5:1.

მატჩის შემდეგ, „რომას“ მთავარი მწვრთნელი **ლუის ენრიკე** ძალიან კმაყოფილი იყო: *„მეტოქედ ძლიერი გუნდი გვყავდა, კარგი ფეხბურთელებით, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ნებისმიერ მოწინაალმდეგეს დავამარცხებდით. შეგირდებმა ყველა მითითება გაითვალისწინეს და მთლიანობაში, საოცარი შეხვედრა ჩაატარეს. ბოლომდე მჯერა ჩემი მოთამაშეების და სულ უფრო ვრწმუნდები, რომ სწორი კურსით მივდივართ. უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ და მთავარია, რომ ტემპი არ დავაგდოთ“.*

სანამ შაბათის კიდევ ერთ შეხვედრაზე ვიტყოდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრანჩესკო ტოტიმ ახალი რეკორდი დაამყარა... „რომას“ კაპიტანმა შვედი ფორვარდის, **გუნარ ნორდალის** შედეგი გააუმჯობესა, რომელსაც „მილანის“ მაისურით თავის დროზე 210 გოლი აქვს გატანილი. ტოტის ანგარიშზე უკვე 211 შედეგიანი დარტყმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სერია A-ს ისტორიაში, ერთი გუნდის შემადგენლობაში ამდენი გოლი სხვას არავის გაუტანია.

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პაექრობა ბერგამოში გაიმართა, სადაც გადაჭედილი ტრიბუნების ფონზე, „ატალანტამ“ „იუვენტუსს“ უმასპინძლა. ბევრს იქადნებობდნენ „ნერაძურის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები, მაგრამ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან ვერაფერს გახდნენ. **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და ორი უპასუხო გოლიც გაიტანეს.

სტუმრებმა მასპინძლები მეორე ტაიმში გატეხეს და გოლებიც იმდენად ეფექტური გამოვიდა, რომ ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხოთ... ანგარიში 54-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც **ანდრეა პირლომ** მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, აწია თავი და ჩვეული გადაცემით **შტეფან ლიხტშტაინერი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი ვარდნაში დაჰკრა თავური და „სტადიო ატლეტი აძური“ პირველად დაადუმა. მეორედ ეს ამბავი შეხვედრის დასრულებამდე 7-8 წუთით ადრე მოხდა, როდესაც **ემანუელე ჯაკერინი** მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, ახალგაზრდა **მარონესგან** ბრწყინვალე გადაცემა მიიღო და ჰაერიდანვე, ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი ბერგამოელთა კარის ჩარჩოში - 0:2 და ამით ყველაფერი დასრულდა.



ფრანჩესკო ტოტი რეკორდსმენია

ნამატჩევს, ანტონიო კონტემ შეგირდებს მადლობა გადაუხადა თავდადებული თამაშისთვის და დასძინა: *„დასამალი აღარ არის, რომ ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა, თუმცა ეს დამატებით პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ნებისმიერი შეცდომა შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს და ამიტომ, ყურადღებით გვმართებს ყოფნა. მოვდუნდებით და აუცილებლად დავისჯებით. მთავარი შეხვედრები წინ გვაქვს და ეს უნდა გავაცნობიეროთ“.*

კონტემ პირველად თქვა საჯაროდ, რომ „იუვენტუსის“ მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა და არა ვთქვათ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა. პრინციპში, ეს ისედაც ცხადი იყო და კონტეც მიხვდა, რომ მისი მოკრძალებული კომენტარების უკვე აღარავის სჯეროდა. სკუდეტოზე რა გითხრათ, იქამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ ერთი კი უკვე ფაქტია: ტურინის „იუვენტუსმა“ ჩემპიონატის პირველი წრე ლიდერის პოზიციაზე დაასრულა.

თუ თასის გათამაშებაში „ნოვარამ“ "მილანს" დიდი ბრძოლა გაუმართა, ჩემპიონატში იმავეს გაკეთება ველარ შეძლო – **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა მეტოქე და ეს მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი უგოლო ფრით დასრულდა. არადა, ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ სტუმრებს დამაგვირგვინებელ ფაზაში, ანტრაქტამდეც უნდა გადაეწყვიტათ მატჩის ბედი. სამაგიეროდ, მილანელებმა მეორე ნახევარში გაილაღეს და სამი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს.

ანგარიში 57-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც **მასიმო ამბროზინიმ ზლატან იბრაჰიმოვიჩს** დიდებული გადაცემა გაუკეთა, ამ უკანასკნელმა ერთი კარგად გაისწორა ბურთი და ძლიერი დარტყმით "ნოვარას" მეკარეს შანსი არ დაუტოვა, 1:0. მეორე გოლი მილანელთა მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელიც **რობინიოს** მიერ ბურთის ცარიელ კარში შეგდებით დაგვირგვინდა, 2:0. მესამე გოლი კი იბრამ გაიტანა და თანაც მის სტილში, ორიგინალური დარტყმით – მაშინ, როდესაც მისგან ყველა ბურთის დაუფლებას ელოდებოდა, ერთი შეხებით გაგზავნა მეტოქის კარის მიმართულებით და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 3:0.

ტურის ცენტრალური შეხვედრა "ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართა, სადაც "ინტერმა" "ლაციოს" უმასპინძლა და მეტოქე მინიმალური სხვაობით დაამარცხა, 2:1. არადა, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და თითქოს ტოლსაც არაფერში უდებდნენ მეტოქეს, მაგრამ მასპინძელთა მონდომებამ თავისი გაიტანა – დიახ, "ინტერში" კლასთან ერთად სწორედ მონდომება უნდა გამოვყოთ – **კლაუდიო რანიერის** გუნდი ზემოტივირებულია და შედეგიც სახეზეა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## ჰოლანდია. ერედივიზიონი

XVIII ტური

**დენ ჰააგი-როდა** 3:3

**გოლები:** 1:0 ვერჰოეკი (3), 1:1 იანკერი (14), 2:1 ვისენტო (24), 2:2 მალიკი (48), 3:2 ვისენტო (58), 3:3 მალიკი (82),

**დე გრააფსხაპი-ჰეერენვეენი** 0:2

**გოლები:** 0:1 დოსტი (12 პენ.), 0:2 დოსტი (78).

**ექსელსიორი-ბრედა** 3:0

**გოლები:** 1:0 იანგა (36), 2:0 ალბერგი (63), 3:0 მაატსენი (89).

**ტვენტე-ვაალვიკი** 5:0

**გოლები:** 1:0 იონგი (26), 2:0 ბარამი (36), 3:0 იონგი (54-პენ.), 4:0 ჩადი (65), 5:0 ჯონი (81)

**ვიტესი-ნიიმეგენი** 0:1

**გოლი:** 0:1 ჯორჯი (75).

**ალკმაარი-აიაქსი** 1:1

**გოლები:** 1:0 ელმი (37), 1:1 პოულსენი (75-საკ. კარში).

**გრონინგენი-ჰერაკლესი** 2:1

**გოლები:** 0:1 პლეტი (16), 1:1 ტეშეირა (48), 2:1 დიკი (61).

**ვენლო-ფეიენოორდი** 2:1

**გოლები:** 0:1 ინდი (12), 1:1 ლინსენი (40), 2:1 ვორსტერმანსი (45).

**უტრეხტი-პსვ** 1:1

**გოლები:** 1:0 ლილპალი (67), 1:1 ტოივონენი (71).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 18 | 12 | 3 | 3 | 37:16 | 39 |
| 2. პსვ | 18 | 11 | 5 | 2 | 49:20 | 38 |
| 3. ტვენტე | 18 | 10 | 6 | 2 | 48:18 | 36 |
| 4. აიაქსი | 18 | 9 | 7 | 2 | 47:24 | 34 |
| 5. ჰეერენვეენი | 18 | 8 | 7 | 3 | 41:28 | 31 |
| 6. ფეიენოორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 35:24 | 31 |
| 7. ვიტესი | 18 | 8 | 5 | 5 | 23:17 | 29 |
| 8. გრონინგენი | 18 | 8 | 5 | 5 | 31:29 | 29 |
| 9. როდა | 18 | 8 | 1 | 9 | 32:41 | 25 |
| 10. დენ ჰააგი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:34 | 22 |
| 11. ბრედა | 18 | 6 | 3 | 9 | 24:31 | 21 |
| 12. ჰერაკლესი | 18 | 5 | 5 | 8 | 28:27 | 20 |
| 13. ნიიმეგენი | 18 | 6 | 2 | 10 | 18:27 | 20 |
| 14. უტრეხტი | 18 | 4 | 6 | 8 | 29:36 | 18 |
| 15. ვაალვიკი | 18 | 5 | 3 | 10 | 17:33 | 18 |
| 16. ვენლო | 18 | 3 | 4 | 11 | 18:43 | 13 |
| 17. დე გრააფსხაპი | 18 | 3 | 3 | 12 | 16:41 | 12 |
| 18. ექსელსიორი | 18 | 2 | 5 | 11 | 12:41 | 11 |

**ბომბარდირები:** 16 – დოსტი (ჰეერენვეენი); 13 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 12 – დე იონგი (ტვენტე); 11 - გუიდეტი (ფეიენოორდი), სულეიმანი (აიაქსი), მალკი (როდა).

## მომდევნო ტური

**28 იანვარი: კატანია-პარმა, იუვენტუსი-უდინეზე.**

**29 იანვარი: ფიორენტინა-სიენა, ჩეზენა-ატალანტა, რომა-ბოლონია, ლეჩე-ინტერი, ჯენოა-ნაპოლი, პალერმო-ნოვარა, მილანი-კალიარი, კიევო-ლაციო.**

## ბორუსია (მ)-ბაიერნი 3:1

**ბორუსია /მ/ (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, ბრუვერსი, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (89. მარქსი), არანგო – როისი (92. ლეკიე) – ჰანკე (81. დე კამარგო).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი (66. რაფინია), ვან ბუიტენი (76. ლუის გუსტავო), ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი (57. ალაბა), შვაინშტაიგერი – რობენი, თ. მიულერი, კროოსი – გომესი.

**გოლები:** 1:0 როისი (11), 2:0 ჰერმანი (41), 3:0 ჰერმანი (71), 3:1 შვაინშტაიგერი (76)

**გაფრთხილება:** არანგო (ბორუსია /მ/)

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 9(5)-17(7); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 54 047

## შალკე-შტუტგარტი 3:1

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – უჩიდა, პაპადოპულოსი, ჰიოვედესი (42. მეტცელდერი), ფუხსი – ჰიოგერი, მატიპი – ობასი (75. მარიკა), რაული, ბაუმიოჰანი (46. დრაქსლერი) – ჰუნტელაარი.

**შტუტგარტი (4-3-2-1):** ულრაიხი – ჩელოცი, ტასკი, მასა, მოლინარო – კუზმანოვიჩი, კვისტი (62. შიბერი), ჰაინალი – ჰარნიკი (62. ოკაზაკი), კაკაუ – პოგრებნიაკი (85. ჰოლცჰაუზერი).

**გოლები:** 1:0 მატიპი (3), 2:0 პაპადოპულოსი (57), 3:0 დრაქსლერი (80), 3:1 ოკაზაკი (87)

**გაფრთხილება:** ჰიოგერი - ჰაინალი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 14(7)-13(6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 61 673

## ნიურნბერგი-ჰერტა 2:0

**ნიურნბერგი (4-2-2-2):** რ. შეფერი – ჰეგელერი (92. ნილსონი), მარო, ვოლშაიდი, ჰლუშეკი – კოენი, სიმონსი – დიდავი (90. ფრანტცი), ესვაინი – აიგლერი, პეკჰარტი (82. ბუნიაკუ).

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი (83. თორუნი), ჰუბნიკი, იანკერი, **კობიაშვილი** – ოტლი, ნიმაიერი (76. ჯურიჩინი) – ებერტი, რონი (46. ბენ-ჰატირა), რამოსი – ლასოგა.

**გოლები:** 1:0 ესვაინი (43), 2:0 მარო (85)

**გაფრთხილება:** პეკჰარტი – ნიმაიერი, ებერტი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 10(5)-12(2); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 39 117

## ფრაიბურგი-აუგსბურგი 1:0

**ფრაიბურგი (4-2-2-1-1):** ბაუმანი – ზორგი, კრმასი, დიანიე, ლუმბი – ფლუმი, მაკიადი – შმიდი, კალიჯური (82. ფრაისი) – პუცილა (70. გინტერი) – იენდრიშეკი (65. რაიზინგერი).

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში – ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, ს. ლანგკამპი, დე იონგი (77. რაინჰარდტი) – სინკალა, ჰოსოგაი – ბაიერი (58. მ. ნდიენგი), იორლი, ვერნერი (58. ს. ჰაინი) – მიოლდერსი.

**გოლი:** 1:0 გინტერი (88)

**გაფრთხილება:** ფლუმი – ვერნერი, დე იონგი, ვერჰეგი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-25; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15(6)-4(1); **ბურთის ფლობა:** 58%-43%.

**მაყურებელი:** 19 600

## ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი 0:0

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ბეკი, ვილიამსი, ვესტერგაარდი, ბრააფჰაიდი – რუდი, სალიჰოვიჩი (85. მუსონა) – მლაპა (66. ჯონსონი), რობერტო ფირმინიო, ბაბელი – იბიშევიჩი.

**ჰანოვერი (4-2-2-1-1):** ცილერი – ჩერუნდოლო, ეგიმანი, პოგატეცი, პანდერი – შმიდებახი (87. ლალა), შტინდლი – როიერი (68. ჩაჰედი), რაუში – შტოპელკამპი – აბდელაუ.

**გაფრთხილება:** ბეკი - რაუში

**კუთხური:** 0-4; **ჯარიმა:** 14-22; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 10(3)-9(1); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 24 800

## ვოლფსბურგი-კიოლნი 1:0

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო – ტრეში, მადლუნგი, ფელიპე, როდრიგესი – პოლაკი, ირჟაჩეკი (79. ჟოსუე) – დეჟაგა, მ. შეფერი – კოო (74. სიო), ვიერინია (46. პოლტერი).

**კიოლნი (4-2-2-1-1):** რენზინგი – ბრეჩკო, ჟერომელი, პეცონი, აიხნერი – ლანიგი (85. იშაკი), რიტერი – კლემენსი (86. როში), პეჟკო (63. იაიალო) – პოდოლსკი – ნოვაკოვიჩი.

**გოლი:** 1:0 პოლტერი (78)

**გაფრთხილება:** ფელიპე – იაიალო, აიხნერი

**კუთხური:** 15-1; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 18(6)-10(2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 27 057

## კაიზერსლაუტერნი-ვერდერი 0:0

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი – დიკი, შიმუნეკი, როდნი, ბუგერა – ტიფერტი (87. კირხი), დე ვიტი – შაჰანი, ფორტუნისი (63. იორგენსენი) – კუემაა, სვიერჩოკი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – ფრიტცი, პრიოდლი (29. სილვესტრი), სოკრატისი, შმიტცი – ბარგფრედე – ინგიოვსკი, თრაიბული – ექიჩი – როზენბერგი, პისარო.

**გაფრთხილება:** სვიერჩოკი, ტიფერტი – სოკრატისი, ბარგფრედე, შმიტცი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 19(5)-14(6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 40 381

## ჰამბურგი-ბორუსია (დ) 1:5

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი – დიკმაიერი, ბრუმა, ვესტერმანი, აოგო – რინკონი, კაჩარი (46. პეტრიჩი) – ლამი, ტეშე, იანსენი (65. სალა) – გერერო.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ლანგერაკი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი (82. გიუნდოგანი), კელი (73. ლაიტნერი) – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა (82. ბარიოსი), გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**გოლები:** 0:1 გროსკროიტცი (16), 0:2 ლევანდოვსკი (37), 0:3 ბლაშჩიკოვსკი (58), 0:4 ბლაშჩიკოვსკი (76-პენ), 0:5 ლევანდოვსკი (83), 1:5 გერერო (86)

**გაფრთხილება:** ბრუმა (ჰამბურგი)

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 19-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9(3)-22(9); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 57 000

## ლევერკუზენი-მაინცი 3:2

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – და კოშტა, შვააბი, მ. ფრიდრიხი (85. ტოპრაკი), კადლეცი – რაინარტცი, ლ. ბენდერი – კასტრო, ბალაკი (60. კისლინგი), შიურლე – დერდიოკი (79. როლფესი).

**მაინცი (4-1-2-2-1):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფათი – პოლანსკი (77. მალი) – ბაუმგარტლინგერი, სოტო – უჯა (46. კალიჯური), ჩუპო-მოტინგი – ილმაზი (46. სალაი).

**გოლები:** 1:0 პოსპეხი (10-საკ. კარში), 2:0 მ. ფრიდრიხი (35), 2:1 პოლანსკი (50), 2:2 კალიჯური (53), 3:2 ლ. ბენდერი (70)

**გაფრთხილება:** მ. ფრიდრიხი (ლევერკუზენი)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 9(2)-17(6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 24 365

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 12 | 1 | 5 | 44-13 | 37 |
| 2. ბორუსია (დ) | 18 | 11 | 4 | 3 | 40-13 | 37 |
| 3. შალკე | 18 | 12 | 1 | 5 | 41-23 | 37 |
| 4. ბორუსია (მ) | 18 | 11 | 3 | 4 | 28-12 | 36 |
| 5. ვერდერი | 18 | 9 | 3 | 6 | 30-31 | 30 |
| 6. ლევერკუზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 25-24 | 29 |
| 7. ჰანოვერი | 18 | 5 | 9 | 4 | 20-24 | 24 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 5 | 7 | 19-19 | 23 |
| 9. ვოლფსბურგი | 18 | 7 | 2 | 9 | 24-34 | 23 |
| 10. შტუტგარტი | 18 | 6 | 4 | 8 | 24-23 | 22 |
| 11. კიოლნი | 18 | 6 | 3 | 9 | 27-36 | 21 |
| 12. ნიურნბერგი | 18 | 6 | 3 | 9 | 19-28 | 21 |
| 13. ჰერტა | 18 | 4 | 8 | 6 | 24-28 | 20 |
| 14. ჰამბურგი | 18 | 4 | 7 | 7 | 22-32 | 19 |
| 15. მაინცი | 18 | 4 | 6 | 8 | 24-32 | 18 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 18 | 3 | 8 | 7 | 13-21 | 17 |
| 17. ფრაიბურგი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-39 | 16 |
| 18. აუგსბურგი | 18 | 3 | 6 | 9 | 15-29 | 15 |

**ბომბარდირები:** 16 – გომესი (ბაიერნი); 15 – ჰუნტელაარი (შალკე); 14 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პოდოლსკი (კიოლნი); 12 – პისარო (ვერდერი); 11 – როისი (ბორუსია /მ/); 10 – რაული (შალკე).

## III ბუნდესლიგა

ობერჰაუზენი-პროისენ მიუნსტერი 2:2, დარმშტადტი-ზანდჰაუზენი 4:1, კარლ ცაისი-ზაარბრიუკენი 1:1, ბაბელსბერგი-ბურგჰაუზენი 0:2, ვერდერი II-ერფურტი 1:1, აალენი-არმინია 3:1, ხემნიტცი-ჰაიდენჰაიმი 3:0.

*შენიშვნა* სხვა მატჩები გადაიდო

## თურქეთი. სუპერლიგა.

XXI ტური

**ანთალია-ბეშიქთაში 1:2**

**გოლები:** 0:1 უგო ალმეიდა (64), 0:2 მაუნელ ფერნანდესი (90), 1:2 გიოქჩექი (93-პენ)

**გაზიანთეფი-მერსინი 1:0**

**გოლი:** 1:0 პოპოვი (8)

**სამსუნი-ორდუ 2:0**

**გოლები:** 1:0 გეკასი (20), 2:0 გეკასი (74)

**ბუიუქშეჰირი-მანიშა 3:2**

**გოლები:** 1:0 ინანჩი (11), 2:0 ჰოლმენი (16), 3:0 მადურეირა (19), 3:1 მ. ერდოლანი (33-პენ), 3:2 იოზეკი (73)

**ქარაბიუქი-ტრაბზონი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჩერნატი (44-პენ), 2:0 იაჰიჩი (55), 2:1 ბ. ილმაზი (69)

**ბურსა-სივასი 1:2**

**გოლები:** 0:1 ენერამო (24), 1:1 ბატალია (85-პენ), 1:2 იოზკარა (88-პენ)

**ფენერბაჰჩე-ქაისერი 4:0**

**გოლები:** 1:0 ალექსი (11), 2:0 ალექსი (67-პენ), 3:0 შტოხი (77), 4:0 ბიენვენუ (90)

**ანკარაგიუჯუ-გენჩლერბირ. 0:1**

**გოლი:** 0:1 მერიჩი (20)

**ესქიშეჰირი-გალათასარაი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 21 | 14 | 5 | 2 | 40-15 | 47 |
| 2. ფენერბაჰჩე | 21 | 13 | 6 | 2 | 34-17 | 45 |
| 3. ბეშიქთაში | 21 | 12 | 6 | 3 | 32-19 | 42 |
| 4. გენჩლერბ. | 21 | 10 | 5 | 6 | 30-24 | 35 |
| 5. სივასი | 21 | 9 | 7 | 5 | 35-31 | 34 |
| 6. ტრაბზონი | 21 | 9 | 6 | 6 | 33-24 | 33 |
| 7. ესქიშეჰირი | 21 | 9 | 5 | 7 | 21-20 | 32 |
| 8. მერსინი | 21 | 7 | 6 | 8 | 21-22 | 27 |
| 9. ანთალია | 21 | 7 | 6 | 8 | 17-19 | 27 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-29 | 27 |
| 11. ქაისერი | 21 | 8 | 2 | 11 | 22-25 | 26 |
| 12. ბურსა | 21 | 6 | 7 | 8 | 23-23 | 25 |
| 13. მანიშა | 21 | 6 | 7 | 8 | 20-23 | 25 |
| 14. გაზიანთეფი | 21 | 5 | 8 | 8 | 18-22 | 23 |
| 15. ორდუ | 21 | 5 | 7 | 9 | 16-24 | 22 |
| 16. ქარაბიუქი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-37 | 18 |
| 17. სამსუნი | 21 | 3 | 7 | 11 | 17-31 | 16 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 21 | 2 | 5 | 14 | 17-39 | 11 |

**ბომბარდირები:** 22 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 9 – თუმი (გენჩლერბირლიგი); 8 – ელმანდერი (გალათასარაი).

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური



ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევს მანუელ ნოიერის და „ბაიერნის" დღე არ იყო: პატრიკ ჰერმანმა რეკორდმაისტერს დუბლი შეუსრულა

# გლადბახი ისტორიას თავიდან წერს

## ბორუსია-პარკის პუბლიკა უკვე ვერცხლის სინს და გერმანიის თასს ითხოვს!

გერმანიის ჩემპიონატი პარასკევს ბრწყინვალე მატჩით და ზოგადად ძალიან საინტერესო ტურით განახლდა. „გლადბახისა" და „ბაიერნის" დაპირისპირების პირდაპირი რეპორტაჟი, რომელიც „ბორუსიამ" ბევრისთვის მოულოდნელად 3:1 მოიგო, საერთო ჯამში, 200 ქვეყანაში გადაიცემოდა, რაც ბუნდესლიგის ახალი რეკორდია. სწორედ 200 ქვეყანაში ნახეს რეკორდმაისტერის მეკარის, **მანუელ ნოიერის** თითქმის უპატიებელი შეცდომა, რომლის წყალობითაც **მარკო როისმა** ანგარიში გახსნა და ერთობ დუნე „ბაიერნი" - მიუხედავად იმისა, რომ მატჩის შემდეგ მიუნხენელები მოედნის საფარს აძაგებდნენ, თამამად უნდა ვთქვათ, რომ თამაშიდან გამომდინარე, ბავარიული გრანდის მარცხი აბსოლუტურად ლოგიკურია.

მათთვის, ვისაც არ უნახავს: მე-11 წუთზე **ბადშტუბერმა** ნოიერს უპასა, „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების მეკარემ კი მოგერიება შეაყოვნა, **პატრიკ ჰერმანს** დაწნეხვის უფლება მისცა და ბოლოს ბურთი ულაზათოდ, პირდაპირ როისის მიმართულებით გაგზავნა, ამ უკანასკნელს კი დიდხანს აღარ უფიქრია და „ბაიერნის" ცარიელი კარი 30 მეტრიდან დალაშქრა. ეს როისის მე-11 გოლი გახლდათ. ნოიერი მატჩის შემდეგ თავდახრილი ამბობდა, ამ შეცდომით ჩვენს მარცხს საფუძველი სწორედ მე ჩავუყარეო. საინტერესო ის არის, რომ სწორედ მისმა შეცდომამ განაპირობა „გლადბახთან" „ბაიერნის" მარცხი პირველ წრეშიც – გეხსომებათ, პირველ ტურში მიონხენგლადბახელებმა მიუნხენში 1:0 მოიგეს და გამარჯვების გოლი **იგორ დე კამარგომ** ასევე მანუს შეცდომის წყალობით შეაგდო. ბავარიელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** ნოიერი მხოლოდ მსუბუქად გააკრიტიკა, უფრო მშვიდი უნდა გახდეს და ზოგადად, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლიო. როისმა კი, საფინალო სასტვენის შემდეგ ღიმილით თქვა, მანუელისგან ასეთ შეცდომას არ ველოდი და კიდევ კარგი, არ დავიბენი და დროულად დავარტყიო.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს: „ბაიერნს" არ ჰყავდა **რიბერი** (დისკვალიფიკაცია), სამაგიეროდ, თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ, პირველად ითამაშა **შვაინშტაიგერმა** და პრესტიჟის გოლიც სწორედ მის ანგარიშზეა. მიუნხენელები ბურთს ფლობდნენ, მაგრამ შეტევაში ხეირიანი ვერაფერი გააკეთეს. მიონხენგლადბახელებმა კი ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანეს: პატრიკ ჰერმანმა ჯერ **მაიკ ჰანკეს** ბრწყინვალე პასით იხეირა, მერე კი როისი მოევლინა ასისტენტად და თამამად ვიტყვით, მარკოს საგოლე პასის ნახვა ერთ რამედ ღირს. მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** „გლადბახი" საუკეთესო ეპითეტებით შეამკო, მიუნხენელთა კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** კი მხოლოდ ესლა თქვა: *„მეტოქეზე ცუდად არ გვითამაშია, უბრალოდ, ბევრი შეცდომა დავუშვით."*

რაც შეეხება იმას, რომ როისმა „ბორუსია პარკის" პუბლიკის წინაშე პირველად ითამაშა მას მერე, რაც გაირკვა, რომ ზაფხულში „დორტმუნდში" გადავა: „გლადბახის" ფანებმა მარკოს უდიდესი ტრანსფარანტი გამოუკრეს, რომელზეც ეწერა, დორტმუნდში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგიშვებთ, თუ „ვერცხლის სინს" და გერმანიის თასს დაგვიტოვებო. რამდენად რეალურია ეს, ამაზე თქვენ იმსჯელეთ, ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ „გლადბახი" „ბაიერნს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება, გერმანიის თასზე კი მეოთხედფინალშია...

„ბაიერნს" ფეხი რომ დაუცდა, ამით შაბათს „შალკემ" ისარგებლა, უიდეო „შტუტგარტი" საკმაოდ მარტივად (3:1) დაამარცხა და რეკორდმაისტერს ქულებით გაუთანაბრდა (მიუნხენური გრანდი პირველ ადგილზე მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო დარჩა). გელზენკირხენულ კლუბს კი შესანიშნავი ბალანსი აქვს: ზედიზედ მეხუთე მოგება საკუთარ მოედანზე და ამ ხუთ საშინაო მატჩში ბურთების შეფარდება 18:1. თანაც, ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ „შალკეს" ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე აკლდა – **ფარფანი** და **ჰოლტბი** ტრავმებს, **ჯონსი** კი დისკვალიფიკაციის გამო. მადა ჭამაში მოდისო, ხომ გაგიგონიათ? აი, რას ამბობს „შალკეს" ფორვარდი **კლაას-იან ჰუნტელაარი**: *„ბაიერნის" შეცდომით ხომ ვისარგებლეთ? ახლა მეტი გვინდა! ჩემი აზრით, ძალიან რეალურია ის, რომ ცხრილში ზემოთ დავრჩეთ და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ."*

„შალკეს" თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** ჰუნტელაარის ამბიციებს სიცილით ხვდება, ოცნება კარგიაო, მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** კი აცხადებს, რომ „ვერცხლის სინზე" ოცნების უფლება ფანებსაც აქვთ. ხუმრობა იქით იყოს და, შეგახსენებთ, რომ „შალკეს" გერმანიის ჩემპიონობა ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ უზეიმია. მოკლედ, შაბათს გელზენკირხენში ყველა ბედნიერი იყო, კაპიტან **ბენედიქტ ჰიოვედესის** გარდა – საქმე იმაშია, რომ თანაგუნდელ **ჰიოგერთან** შეჯახებისას მას ყვრიმალის ძვალი გაუტყდა. ჰიოვედესს ოპერაციას დღეს გაუკეთებენ, ლაზარეთში კი დაახლოებით 4-5 კვირას გაატარებს. ისე, შესაძლებელია, რომ მოედანზე უფრო ადრეც გავიდეს – ოღონდ დამცავი ნიღბით. ჰელდტი ამბობს, გამორიცხული არ არის, რომ ამის გამო ახალი მცველის ყიდვაზეც დავფიქრდეთო – სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დრო ჯერ კიდევ არის.

„ვოლფსბურგის" მწვრთნელ-მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** წელს ტრანსფერებში უკვე 25 მილიონი ევრო დახარჯა, „კიოლნთან" კი, „მგლებს" ისეთმა ფეხბურთელმა მოაგებინა, რომელშიც ერთი ცენტიც კი არ გადაუხდიათ - გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს 20 წლის თავდამსხმელმა **სებასტიან პოლტერმა** (თავით) შეაგდო და ეს უკანასკნელი „ვოლფსბურგის" აღზრდილია! უფრო სწორად, პოლტერი 2007 წელს „ბრაუნშვაიგის" 17-წლამდელთა გუნდიდან „ვოლფსბურგის" 17-წლამდელებში უფასოდ გადავიდა. და აი, „მგლების" მთავარი გოლეადორის, **მარიო მანჯუკიჩის** არყოფნაში „პოლტიმ" „პოლდის" „კიოლნს" გადამწყვეტი გოლი გაუტანა.

სხვათა შორის, პოლტერმა მაგათს პირველი წრის ბოლო მატჩშიც (შტუტგარტთან 1:0) მოაგებინა. ისე, ფელიქსმა ძირითად შემადგენლობაში რვიდან ოთხი ახალწვეული ათამაშა – ბრაზილიელი **ლოპესი**, პორტუგალიელი **ვიერინია**, ჩეხი **ირჟაჩეკი** და შვეიცარიელი **როდრიგესი**. საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე ფელიქსმა მოედანზე კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი, კოტდივუარელი **სიოც** შეუშვა და ამით თავისივე რეკორდი გააუმჯობესა – მაგათს ამ სეზონში უკვე 35 მოთამაშე ჰყავს გამოყენებული. ძველი რეკორდი „დესპოტ ფელიქსს" 2000/2001 წლების სეზონში ჰქონდა დამყარებული. მაშინ ის ფრანკფურტის „აინტრახტს" წვრთნიდა.

შაბათს, ორი მწვრთნელის დებიუტი შედგა – ერთმა წააგო, მეორემ მოიგო. წაგებული „ჰერტას" ახალი დამრიგებელი **მიხაელ სკიბეა. ლევან კობიაშვილის** გუნდი „ნიურნბერგს" სტუმრობდა და 0:2 დამარცხდა. შედეგად, დედაქალაქელები მე-13 ადგილამდე ჩამოქვეითდნენ და ახლა სარელეგაციო და შესაბამისად, საშიშ მე-16 ადგილთან მხოლოდ 4 ქულალა აშორებთ. მოკლედ, სკიბემ **მარკუს ბაბელისგან** კრიზისი მემკვიდრეობით მიიღო – კობის და კომპანიას უკვე შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ (3 წაგება, 4 ფრე). ნიურნბერგელებისთვის კი ეს შეხვედრა რიგით მე-1000 გახლდათ ბუნდესლიგაში და **დიტერ ჰეკინგის** გუნდმა საიუბილეო შეხვედრაში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რაც შეეხება მოგებულ დებიუტანტს: ეს „ფრაიბურგის" ახალი დამრიგებელი **კრისტიან შტრაიხია.** მე-18 ტურის შემდეგ „ფრაიში" ზოგადად ბევრი სიახლეა: ახალი მწვრთნელი, ახალი გოლეადორი და რაც მთავარია, ბრაისგაუელები ბოლო ადგილზე აღარ არიან! შაბათს „ფრაიბურგს" **პაპის დემბა სისეს** არყოფნა („ნიუკასლში" გადავიდა) ოდნავადაც არ დასტყობია: შტრაიხის ბიჭებმა კონკურენტ „აუგსბურგს" აჯობეს, გამარჯვების გოლი კი 18 წლის ბავშვმა, **მათიას გინტერმა** შეაგდო. ეს ბიჭი სრულწლოვანი გასულ ხუთშაბათს გახდა, ბუნდესლიგის პირველივე მატჩში კი, ბურთთან პირველივე კონტაქტი გოლით დააგვირგვინა – ზღაპრივით ისტორიაა, არა?

შაბათის კიდევ ორ შეხვედრაში კი უგოლო ფრეები დაფიქსირდა: „ჰოფენჰაიმმა" „ჰანოვერს" ვერაფერი დააკლო და 0:0 ლოგიკური შედეგია, სალამოს მატჩში კი ასეთივე ანგარიში „კაიზერსლაუტერნმა" და „ვერდერმა" დააფიქსირეს. ამით „ვერდერმა" მოწინავე ოთხეულთან მიახლოვების შანსი ხელიდან გაუშვა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## მომდევნო ტური

27 იანვარი. **ჰანოვერი-ნიურნბერგი.**

28 იანვარი. **ვერდერი-ლევერკუზენი, ჰერტა-ჰამბურგი, აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი, ბორუსია (დ)-ჰოფენჰაიმი, ბაიერნი-ვოლფსბურგი, კიოლნი-შალკე.**

29 იანვარი. **მაინცი-ფრაიბურგი, შტუტგარტი-ბორუსია (მ).**

ტრანსფერები

# პაპაც და ბაბაც

გუშინ „სევილიას“ ოფიციალურმა საიტმა დაადასტურა, რომ კლუბმა სენეგალელი ფორვარდი **ბაბა დიავარა** შეიძინა. არადა, სულ ერთი დღით ადრე პორტუგალიურმა „მარიტიმუმ“ გამოაცხადა, რომ დიავარას ტრანსფერთან დაკავშირებით „სევილიასთან“ მოლაპარაკებამ მიზანს ვერ მიაღწია. რა მოხდა, მომდევნო დღეს უცნობია, მაგრამ ფაქტია - 24 წლის თავდამსხმელი 4,5 წლის განმავლობაში ესპანურ პრიმერა დივიზიონს დაამშვენებს. „სევილიას“ თავკაც **მარსელინოს** ძალიან მოსწონდა ბაბა დიავარას თამაში პორტუგალიურ ლიგა საგრეშში, სადაც ამ სეზონში 15 თამაშში 10 გოლი გაიტანა და მნიშვნელოვნად განაპირობა მადეირული კლუბის წარმატებული თამაში.



დიავარა (შუაში) უკვე სევილიაშია

პაპა ბაბაქარ დიავარა „მარიტიმუმ“ 2007 წელს შეამჩნია სენეგალურ „ჟანა დარკში“ (ასეთი კლუბია). დიავარამ აგვისტოს ბოლოს კინალამ მოაწერა ხელი გლაზგოს „სელტიკთან“, მაგრამ აფრიკელს ბრიტანეთში მუშაობის უფლება არ მისცეს. რა დაუჯდა „სევილიას“ ეს ტრანსფერი უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ახლა დიავარას საყიდლად ნებისმიერმა კლუბმა 30 მილიონი ევრო უნდა გაამზადოს და ისე მიადგეს ოფიციალური წინადადებით ანდალუსიურ კლუბს.

# აპონიო სარაგოსას ათხოვეს

„მალაგას“ 27 წლის ნახევარმცველი **აპონიო ბენიტესი** სეზონის ბოლომდე იჯარით „სარაგოსაში“ ითამაშებს. ეს გადაადგილება იძულებითია, საქმე იმაშია, რომ ნახევარმცველს ძალიან დაეძაბა სიტუაცია „მალაგას“ ჩილელ თავკაც **მანუელ პელეგრინისთან.** რამდენიმე დღის წინათ, პელეგრინიმ პირდაპირ განუცხადა აპონიოს, რომ აღარ ათამაშებდა და სხვა კლუბი მოენახა. „აპონიო“ 2007 წელს შეუერთდა „მალაგას“ და დიდი წვლილიც მიუძღვის ანდალუსიური კლუბის წარმატებაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




აფრიკის ერთა თასი 2012



ეს ეს არის „ჩვენი“ ჩისამბა ლუნგუ (მარცხნივ) სენეგალელ დემბა ბას გასცდა

# ცხელ კონტინენტზე საფეხბურთოდაც ჩამოცხა

## აფრიკა ორი „ქართველით“ იწყებს

შაბათს სტარტი აიღო აფრიკის ერთა თასმა, რომელიც 28-ედ იმართება. ამჯერად, ტურნირს, რომელსაც რამდენიმე მოწინავე საფეხბურთო ქვეყანა დააკლდა, ერთდროულად ორ ქვეყანაში ტარდება, ეკვატორულ გვინეასა და გაბონში. წინა ტურნირის (2010) ჩემპიონი ეგვიპტეა, რომელიც ახლა ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა. ამიტომ ყველა ვარიანტში აფრიკის კონტინენტი ახალ ჩემპიონს იხილავს. აქვე ვიტყვით იმ ქვეყნებს, რომლებიც წლევანდელ ერთა თასს დააკლდნენ: ალჟირი, ეგვიპტე, სამხრეთი აფრიკა, კამერუნი, ნიგერია...

გახსნის მატჩში ბატაში მასპინძელმა და აფრიკის ერთა თასის დებიუტანტმა ეკვატორულმა გვინეამ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ლიბია - 1:0. გამარჯვების გოლი მატჩის ბოლოსკენ „ბეირა მარის“ ფორვარდმა **ხავიერ ბალბოამ** გაიტანა. ლიბიის ნაკრები უკეთ კი თამაშობდა, მაგრამ ამან კონკრეტული შედეგი ვერ გამოიღო.

A ჯგუფის მეორე მატჩში ზამბიელებმა სიურპრიზი შემოგვთავაზეს, სენეგალს 2:1 მოუგეს. ანგარიში **ემანუელ მაიუკამ ჩისამბა ლუნგუს** პასით გახსნა. ლუნგუ ალბათ კარგად გახსოვთ - 2009/10 წლების სეზონში ლუნგუ ზუგდიდის „ბაიას“ ფეხბურთელი იყო. ზამბიელთა მეორე გოლი **რაინფორდ კალაბამ** გაიტანა, სენეგალელთა ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში „კოპენჰაგენის“ ფორვარდმა **დამე ნდოიემ** გაიატანა. სხვათა შორის, ჩისამბა ლუნგუ ერთადერთი ჩვენებური არაა აფრიკის ერთა თასზე, გაბონის ნაკრებში თბილისის „დინამოს“ ყოფილი გოლკიპერი **დიდიე ოვონო** თამაშობს.

**A ჯგუფი**

ეკვ. გვინეა-ლიბია 1:0
გოლი: ბალბოა (86)

სენეგალი-ზამბია 1:2
გოლები: 0:1 მაიუკა (12), 0:2 კალაბა (20), 1:2 ნდოიე (74)

**B ჯგუფი**

**კოტ დივუარი-სუდანი 1:0**

**კოტ დივუარი (4-4-2):** კოპა - ლოლო, ბამბა, კ. ტურე, ტიენე - კალუ (63. გრადელი), გოსო, ტიოტე (80. კ. კეიტა), ი. ტურე - დროგბა, ჟერვინიო (89. დუმბია).
გოლი: 1:0 დროგბა (39)

**ბურკინა ფასო-ანგოლა 1:2**

გოლები: 0:1 მატეუში (48), 1:1 ა. ტრაორე (57), 1:2 მანუჩო (68)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




პორტუგალია

**ლიგა საგრეში. XVI ტური**

აკადემიკა-ლეირია 0:0

ბეირა მარი-მარიტიმუ 1:2
გოლები: 0:1 სამი (18), 0:2 დ. დიასი (67), 1:2 ჩენდონი (79)

ნასიონალი-ფეირენსე 2:0
გოლები: 1:0 სტოლნიჯი (42), 2:0 მორენო (53)

ფერეირა-სეტუბალი 2:1
გოლები: 0:1 რ. ლოპესი (81), 1:1 ჟოზე (84), 2:1 ჟოზე (90-პენ)

ბრაგა-რიუ ავე 2:1
გოლები: 1:0 დუგლაუ (39), 2:0 ბარბოზა (43), 2:1 ბრაგა (90)

პორტუ-გიმარაეში 3:1
გოლები: 1:0 როლანდო (18), 2:0 მოუტინიო (46), 2:1 ფაუზი (58), 3:1 ჯ. როდრიგესი (76-პენ)

ბენფიკა-ჟილ ვისენტე 3:1
გოლები: 1:0 კარდოსო (27), 1:1 გალო (40), 2:1 როდრიგო (73), 3:1 აიმარი (74)

**დღეს**

ოლანენშე-სპორტინგი 00:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 16 | 13 | 3 | 0 | 41-13 | 42 |
| 2. პორტუ | 16 | 12 | 4 | 0 | 37-9 | 40 |
| 3. ბრაგა | 16 | 10 | 4 | 2 | 30-15 | 34 |
| 4. მარიტიმუ | 16 | 8 | 5 | 3 | 23-19 | 29 |
| 5. სპორტინგი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-14 | 28 |
| 6. გიმარაეში | 16 | 6 | 2 | 8 | 22-19 | 20 |
| 7. აკადემიკა | 16 | 5 | 4 | 7 | 18-20 | 19 |
| 8. ნასიონალი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-26 | 19 |
| 9. ოლანენშე | 15 | 4 | 5 | 6 | 17-20 | 17 |
| 10. ბეირა მარი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-14 | 16 |
| 11. ჟილ ვისენტე | 16 | 3 | 7 | 6 | 14-26 | 16 |
| 12. ფეირენშე | 16 | 3 | 6 | 7 | 11-22 | 15 |
| 13. რიუ ავე | 16 | 4 | 2 | 10 | 14-23 | 14 |
| 14. ლეირია | 16 | 4 | 2 | 10 | 16-29 | 14 |
| 15. სეტუბალი | 16 | 3 | 5 | 8 | 12-26 | 14 |
| 16. ფერეირა | 16 | 3 | 3 | 10 | 16-33 | 12 |

**ბომბარდირები:** 12 - კარდოსო (ბენფიკა); 10 - დიავარა (მარიტიმუ); 9 - ლიმა (ბრაგა); 8 - ნოლიტო (ბენფიკა), ედგარ სილვა (გიმარაეში), ჯ. როდრიგესი (პორტუ); 7 - ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი), ჰალკი (პორტუ).

**მომდევნო ტური**

27 იანვარი: გიმარაეში-ნასიონალი
28 იანვარი: რიუ ავე-აკადემიკა, ფეირენშე-ბენფიკა.
29 იანვარი: ლეირია-ფერეირა, სეტუბალი-ოლანენშე, სპორტინგი-ბეირა მარი, ჟილ ვისენტე-პორტუ, მარიტიმუ-ბრაგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ოსკარ კარდოსო ბომბარდირია, ბენფიკა კი ლიდერი

**ბელგიის ჟუპილერლიგა.**

XXI ტური

გენკი-სტ ტრუიდენი 2:1
კორტრიიკი-ანდერლეხტი 0:1
ბრიუგე-მეხელენი 0:1
გენტი-ვარეგემი 0:0
ბეერსხოტი-სერკლ ბრიუგე 4:0
ლოკერენი-ლიერსი 2:0
მონსი-ლოივენი 2:2
ვესტერლო-სტანდარდი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 21 | 14 | 4 | 3 | 41-18 | 46 |
| 2. გენტი | 21 | 12 | 4 | 5 | 43-22 | 40 |
| 3. ბრიუგე | 21 | 11 | 4 | 6 | 32-25 | 37 |
| 4. სტანდარდი | 21 | 9 | 8 | 4 | 29-24 | 35 |
| 5. კორტრიიკი | 21 | 10 | 4 | 7 | 26-22 | 34 |
| 6. გენკი | 21 | 9 | 7 | 5 | 39-28 | 34 |
| 7. სერკლ ბრიუგე | 21 | 9 | 6 | 6 | 27-25 | 33 |
| 8. ბეერსხოტი | 21 | 7 | 7 | 7 | 34-32 | 28 |
| 9. მონსი | 21 | 7 | 7 | 7 | 38-38 | 28 |
| 10. მეხელენი | 21 | 7 | 6 | 8 | 29-36 | 27 |
| 11. ლოკერენი | 21 | 5 | 9 | 7 | 28-29 | 24 |
| 12. ლოივენი | 21 | 5 | 7 | 9 | 27-37 | 22 |
| 13. ლიერსი | 21 | 4 | 8 | 9 | 16-28 | 20 |
| 14. ვარეგემი | 21 | 2 | 11 | 8 | 20-29 | 17 |
| 15. ვესტერლო | 21 | 3 | 5 | 13 | 18-37 | 14 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 21 | 2 | 7 | 12 | 25-42 | 13 |

## ნორვიჩი-ჩელსი 0:0

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი - აიალა, მარტინი, ნოუტონი, უითბრედი - ფოქსი (79. კროფტსი), პიკლინგტონი, ბ. ჯონსონი, სურმანი (90. ბენეტი) - გ. ჰოლტი, მორისონი (79. ჯექსონი)

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ტერი, ლუისი, კოული, ბოსინგვა – მეირელეში (79. ესიენი), ლემპარდი (37. მალუდა), რამირესი – მატა, ტორესი (77. ლუკაკუ), სტარიჯი

**კუთხური:** 1-11, **ჯარიმა:** 5-6, **თამაშგარე:** 0:0 **კარში დარტყმა:** 6-20(2-6), **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 26 792

## ევერტონი-ბლექბერნი 1:1

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – ბეინსი, ჰეიტინგა, დაფი, ფ. ნევილი – ფელაინი, გიბსონი (87. სტრაკალურსი), კეჰილი, ანიჩებე (80. ველიოსი), დონოვანი, საა (55. დრენტე)

**ბლექბერნი** (4-1-4-1): რობინსონი – ოლსონი, ს. დანი, ჟივე, ლოუი – ნზონზი - პედერსენი, პეტროვიჩი, დ. დანი (60. ფორმიკა), ჰოილეტი - გუდვილი (76. მოდესტი)

**გოლები:** 1:0 ტ. კეჰილი (24), 1:1 გუდვილი (72)

**გაფრთხილება:** გიბსონი, დრენტე – პეტროვიჩი, ჰოილეტი

**კუთხური:** 5-8, **ჯარიმა:** 15-14, **თამაშგარე:** 1:1 **კარში დარტყმა:** 15-16(5-4), **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 33 464

## ფულჰემი-ნიუკასლი 5:2

**ფულჰემი** (4-4-1-1): სტოკდეილი – ჰანგელანდი, სენდეროსი, რიისე, ს. კელი – სიდუელი (37. ე. ჯონსონი), მერფი, დ. დაფი, რუისი (46. ბეირდი) - დემპსი (90. კ. ფრეი) - ზამორა

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – კოლოჩინი, უილიამსონი, სანტონი, სიმპსონი - გატრი (76. პერჩი), კაბაი (83. გოსლინგი) ხონასი, ბენ არფა - ამეობი, ბესტი (85. რ. ტეილორი)

**გოლები:** 0:1 გატრი (43), 1:1 დ. მერფი (52) პენ, 2:1 დემპსი (59), 3:1 დემპსი (65), 4:1 ზამორა (68)პენ, 4:2 ბენ-არფა (85), 5:2 დემპსი (89)

**გაფრთხილება:** - სანტონი, გატრი, სიმპსონი, კრული

**კუთხური:** 2-6, **ჯარიმა:** 11-13, **თამაშგარე:** 8:4 **კარში დარტყმა:** 12-17(9-8), **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 25 692

## ქუინზ პარკი-უიგანი 3:1

**ქუინზ პარკი** (4-4-2): კენი – ლ. იანგი, ჰოლი, ა. ფერდინანდი, ჰილი - ბუჟაკი (83. დერი), ბარტონი, რაიტ-ფილიპსი, მაკი - ჰელგუსონი, კემპბელი (46. ტ. სმიტი)

**უიგანი** (4-5-1): ალ-ჰაბსი – გოჰური, კოლდუელი, ბოისი (69. სტამი), ფიგეროა - გომესი (61. კრუსატი), მაკარტი, უოტსონი, მაკარტური (46. სემონი), მოზესი - როდალიეგა

**გოლები:** 1:0 ჰელგუსონი (33) პენ, 2:0 ბუჟაკი (45), 2:1 როდალიეგა (66), 3:1 ტ. სმიტი (81)

73-ე წუთზე ჰელგუსონმა ვერ გაიტანა პენალტი

**გაფრთხილება:** ბარტონი, ლ. იანგი – მაკარტი, გოჰური

**კუთხური:** 7-1, **ჯარიმა:** 11-19, **თამაშგარე:** 1:1 **კარში დარტყმა:** 19-9(7-2), **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 16 002

## სტოკ სიტი-ვესტ ბრომვიჩი 1:2

**სტოკ სიტი** (4-4-2): სორენსენი – ჰუთი, შოუკროსი, უილსონი, ვუდგეიტი (52. ჯ. პენანტი) - შოტონი (78. ჯერომი), უილანი, დელაპი (88. უილკინსონი), ეზერინგტონი - კრაუჩი, უოლტერსი

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – ოლსონი, მაკაული, შორი, ტამაში - დორანსი, მულუმბუ, ჯ. ტომასი (90. დოუსონი), ჯ. მორისონი - ფორჩუნი (83. ლონგი), კოკსი (87. ჩოი)

**გოლები:** 0:1 ჯ. მორისონი (35), 1:1 ჯერომი (86), 1:2 დორანსი (90)

72-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა უოლტერსმა

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კუთხური:** 5-1, **ჯარიმა:** 10-11, **თამაშგარე:** 0:2 **კარში დარტყმა:** 12-16(2-5), **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 26 865

## სანდერლენდი-სუონსი 2:0

**სანდერლენდი** (4-4-2): მინიოლე – ოში, ე. ბრაუნი, ფ. ბერდსლი, კ. რიჩარდსონი - ვონი (78. გარდნერი), ლ. კატერმოლი, მაკლინი, ს. ლარსონი (89. ელ მუჰამადი) - ს. სესინიონი, ბენდტნერი (12. უიკჰემი)

**სუონსი** (4-3-2-1): ვორმი – ე. უილიამსი, კოკლერი, ნ. ტეილორი, რანხელი - ბრიტონი (78. რუტლეჯი), ს. სინკლერი, ნ. დაიერი - ჯ. ალენი, სიგურდსონი (66. მაკიხრანი) - გრემი

**გოლები:** 1:0 სესინიონი (14), 2:0 გარდნერი (85)

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კუთხური:** 2-4, **ჯარიმა:** 9-6, **თამაშგარე:** 1:0 **კარში დარტყმა:** 15-16(3-3), **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 36 904

## ვულვერჰემ.-ასტონ ვილა 2:3

**ვულვერჰემპტონი** (4-2-3-1): ჰენესი – ბერა, რ. ჯონსონი, ფოლი (90. ებანს ბლეიკი), უორდი - ფრიმპონგი (59. მილიაში), ჰენრი - დ. ედვარდსი (82. სტირმენი), ჯერვისი, კაიტლი - ს. ფლეტჩერი

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – რ. დანი, კოლინზი, კლარკი, ჰატონი - გარდნერი (87. ბენანი), პეტროვი, ოლბრაიტონი, აგბონლაჰორი (46. ს. უორნოკი) - კინი (90. ვაიმანი), ბენტი

**გოლები:** 0:1 ბენტი (11) პენ, 1:1 კაიტლი (21), 2:1 ედვარდსი (31), 2:2 კინი (51), 2:3 კინი (85)

**გაფრთხილება:** კაიტლი

**გაძევება:** ჰენრი 74 (ვულვერჰემპტონი)

**კუთხური:** 13-3, **ჯარიმა:** 12-10, **თამაშგარე:** 0:1 **კარში დარტყმა:** 13-13(6-4), **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 27 084

## ბოლტონი-ლივერპული 3:1

**ბოლტონი** (4-4-1-1): ბოგდანი – სტეინსონი, ნაიტი, უიტერი, ს. რიკეტსი - იგლზი (90. თ. შანლი), რეოკოკერი, მ. პეტროვი, მუამბა - მ. დევისი - ნგოგი (88. კ. დევისი)

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ხ. ენრიკე – ჯერარდი, ჰენდერსონი, ჩ. ადამი (64. დაუნინგი), მ. როდრიგესი (64. კუიტი), ბელამი - კეროლი

**გოლები:** 1:0 მ. დევისი (3), 2:0 რეო კოკერი (29), 2:1 ბელამი (37), 3:1 სტეინსონი (50)

**გაფრთხილება:** - ხ ენრიკე, კუიტი

**კუთხური:** 5-5, **ჯარიმა:** 10-15, **თამაშგარე:** 0:5 **კარში დარტყმა:** 16-11(5-5), **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 26 854

## მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი 3:2

**მანჩესტერ სიტი** (4-3-3): ჰარტი – რიჩარდსი, სავიჩი, ლესკოტი, კლიში – მილნერი, ბერი, ნასრი – დ. სილვა, აგუერო, ჯეკო (65. ბალოტელი)

**ტოტენჰემი** (4-4-1-1): ფრიდელი – უოლკერი, კაბული, კინგი, ასუ-ეკოტო – ბეილი, ლენონი, მოდრიჩი, პარკერი, ვან დერ ვაარტი - დეფო

**გოლები:** 1:0 ნასრი (56), 2:0 ლესკოტი (59), 2:1 დეფო (60), 2:2 ბეილი (65), 3:2 ბალოტელი (90 პენ)

**გაფრთხილება:** კლიში, ბალოტელი - პარკერი

**კუთხური:** 9-4, **ჯარიმა:** 10-9, **თამაშგარე:** 1:2 **კარში დარტყმა:** 9-9(4-3), **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 47 422

## არსენალი-მანჩესტერ იუნ. 1:2

**არსენალი** (4-3-3): შჩესნი – ჯურუ (46 იენარისი), მერტეზაკერი, კოშელნი, ვერმალენი, რემსი (84. პაკ ჩუ იანგი), სონგი, როსიცკი, უოლკოტი, ვან პერსი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (74. არშავინი)

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-1-1): ლინდეგორი – სმოლინგი, ჯონსი (17. რაფაელი – 76. ჟი სუნ პარკი), ევანსი, ევრა – ვალენსია, კერიკი, გიგზი, ნანი (75. სქოულზი) – რუნი - უელბეკი

**გოლები:** 0:1 ვალენსია (45), 1:1 ვან პერსი (71), 1:2 უელბეკი (81)

**გაფრთხილება:** რემსი, კოშელნი, პან პერსი, როსიცკი, სონგი – რაფაელი, ევრა

**კუთხური:** 0-5, **ჯარიმა:** 15-6, **თამაშგარე:** 0:4 **კარში დარტყმა:** 14-9(3-6), **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 60 093

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 22 | 17 | 3 | 2 | 60-18 | 54 |
| 2. იუნაიტედი | 22 | 16 | 3 | 3 | 54-21 | 51 |
| 3. ტოტენჰემი | 22 | 14 | 4 | 4 | 41-24 | 46 |
| 4. ჩელსი | 22 | 12 | 5 | 5 | 40-25 | 41 |
| 5. არსენალი | 22 | 11 | 3 | 8 | 39-33 | 36 |
| 6. ნიუკასლი | 22 | 10 | 6 | 6 | 32-30 | 36 |
| 7. ლივერპული | 22 | 9 | 8 | 5 | 25-21 | 35 |
| 8. სტოკ სიტი | 22 | 8 | 6 | 8 | 23-33 | 30 |
| 9. ნორვიჩი | 22 | 7 | 8 | 7 | 32-36 | 29 |
| 10. სანდერლენდი | 22 | 7 | 6 | 9 | 29-24 | 27 |
| 11. ასტონ ვილა | 22 | 6 | 9 | 7 | 26-29 | 27 |
| 12. ფულჰემი | 22 | 6 | 8 | 8 | 28-31 | 26 |
| 13. სუონსი | 22 | 6 | 8 | 8 | 23-27 | 26 |
| 14. ევერტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 22-26 | 26 |
| 15. ვესტ ბრომვ. | 22 | 7 | 4 | 11 | 22-31 | 25 |
| 16. ქუინზ პარკი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-37 | 20 |
| 17. ბოლტონი | 22 | 6 | 1 | 15 | 28-47 | 19 |
| 18. ბლექბერნი | 22 | 4 | 6 | 12 | 33-45 | 18 |
| 19. ვულვერჰემპ. | 22 | 4 | 6 | 12 | 25-40 | 18 |
| 20. უიგანი | 22 | 3 | 6 | 13 | 19-45 | 15 |

**ბომბარდირები:** 19 – რობინ ვან პერსი (არსენალი), 15 – დემბა ბა (ნიუკასლი), 14 – სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 13 – უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), 12 – იაკუბუ (ბლექბერნი), 11 – ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი).

## ჩემპიონშიპი. XXVII ტური

**ბარნსლი-მილუოლი 1:3**
გოლები: 0:1 ჰენდერსონი (36), 0:2 ჰენდერსონი (39), 0:3 ჰენდერსონი (75), 1:3 მაკნალტი (88)

**ბირმინგემი-უოტფორდი 3:0**
გოლები: 1:0 (35), 2:0 კ. დევისი (35), 3:0 ბარკი (81)

**ბლეკპული-კრისტალ პალასი 2:1**
გოლები: 0:1 გარვანი (27) პენ, 1:1 გრანდინი (85), 2:1 ბესჰემი (90)

**ბრისტოლ სიტი-დონკასტერი 2:1**
გოლები: 1:0 ვუდი (6), 2:0 სისე (31), 2:1 დიუფი (75)

**ბარნლი-დერბი 0:0**

**კარდიფი-პორტსმუთი 3:2**
გოლები: 1:0 მილერი (15), 1:1 ფუტაკსი (39), 1:2 ჰელფორდი (49), 2:2 ჰადსონი (69), 3:2 კონვეი (90)

**ქოვენთრი-მიდლსბრო 3:1**
გოლები: 1:0 მაკშეფრი (36), 2:0 ნიმელი (57), 3:0 ბეიტსი (62) ს.კ-ში, 3:1 მაკდონალდი (66)

**ლიდსი-იპსვიჩი 3:1**
გოლები: 0:1 დრური (34), 1:1 სნოდგრასი (74), 2:1 მაკორმაკი (82), 3:1 ბეკიო (90)

**პიტერბრო-ბრაიტონი 1:2**
გოლები: 0:1 სინკლერი (32), 1:1 ბოლი (72), 1:2 ბაკლი (88)

**რედინგი-ჰალ სიტი 0:1**
გოლი: 0:1 ბრეიდი (66)

**ვესტ ჰემი-ნოტინგემი 2:1**
გოლები: 1:0 ნობლი (45) პენ, 2:0 ნობლი (63) პენ, 2:1 მაკგურანი (90)

**საუთჰემპტონი-ლესტერი დღეს**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ჰემი | 27 | 16 | 5 | 6 | 43-24 | 53 |
| 2. საუთჰემპტონი | 26 | 15 | 5 | 6 | 50-28 | 50 |
| 3. კარდიფი | 27 | 13 | 10 | 4 | 44-29 | 49 |
| 4. მიდლსბრო | 27 | 12 | 9 | 6 | 31-28 | 45 |
| 5. ჰალ სიტი | 27 | 14 | 3 | 10 | 28-25 | 45 |
| 6. ბირმინგემი | 26 | 12 | 7 | 7 | 42-26 | 43 |
| 7. ბლეკპული | 27 | 11 | 9 | 7 | 43-34 | 42 |
| 8. რედინგი | 27 | 12 | 6 | 9 | 34-27 | 42 |
| 9. ლიდსი | 27 | 12 | 6 | 9 | 43-38 | 42 |
| 10. ბრაიტონი | 27 | 12 | 5 | 10 | 30-29 | 41 |
| 11. დერბი | 27 | 12 | 5 | 10 | 31-33 | 41 |
| 12. ბარნლი | 27 | 12 | 4 | 11 | 39-33 | 40 |
| 13. კრისტ. პალ. | 27 | 10 | 7 | 10 | 26-27 | 37 |
| 14. ბარნსლი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-42 | 36 |
| 15. ლესტერი | 26 | 9 | 8 | 9 | 34-30 | 35 |
| 16. პიტერბრო | 27 | 9 | 6 | 12 | 45-44 | 33 |
| 17. პორტსმუთი | 26 | 8 | 7 | 11 | 29-29 | 31 |
| 18. უოტფორდი | 27 | 7 | 9 | 11 | 28-39 | 30 |
| 19. ბრისტოლი | 27 | 8 | 6 | 13 | 25-37 | 30 |
| 20. მილუოლი | 27 | 7 | 8 | 12 | 27-35 | 29 |
| 21. იპსვიჩი | 27 | 8 | 4 | 15 | 38-54 | 28 |
| 22. ნოტინგემი | 27 | 7 | 3 | 17 | 22-44 | 24 |
| 23. დონკასტერი | 27 | 6 | 5 | 16 | 23-45 | 23 |
| 24. ქოვენთრი | 27 | 5 | 7 | 15 | 23-36 | 22 |

**ბომბარდირები:** 13 – რიჩარდ ლამბერტი (საუთჰემპტონი), 12-12 – დარიუს ჰენდერსონი (მილუოლი), როს მაკორმაკი (ლიდსი).

## პირველი ლიგა.

**ბორნმუთი-ტრანმერი 2:1, ბერი-იოვილი 3:2, კარლაისლი-უოლსოლი 1:1, ჩარლტონი-შეფილდ იუნ. 1:0, კოლჩესტერი-ჩესტერფილდი 1:2, ნოთს ქაუნთი-მილტონი 1:1, ოლდჰემი-ექსეტერი 0:0, პრესტონი-ლეიტონი 0:2, სკანტორპი-სტივენეიჯი 1:1, შეფილდ უენს.-ჰარტლპული 2:2, უიკომბი-როჩდეილი 3:0, ჰადერსფილდი-ბრენტფორდი 3:2**

● *ინგლისის პრემიერლიგა. XXII ტური*

# მანჩესტერი-ლონდონი 2:0!

## პრემიერლიგის გიჟური საღამო

"მანჩესტერ სიტი" "ტოტენჰემის" შეხვედრა სტუმრებმა უფრო აქტიურად დაიწყეს. მე-13 წუთზე პირველი სახიფათო კონტრშეტევა "დეზებმა" წამოიწყეს, თუმცა **აარონ ლენონის** დარტყმამ არ ივარგა. ანგარიშის გახსნა შეეძლო **სერხიო აგუეროსაც**, მაგრამ არგენტინელის მონდომება წყალში ჩაყარა, რადგან ბურთი იქვე მდგარ **ედინ ჯეკოს** ფეხში მოხვდა. პირველ ტაიმში ხან ერთი მხარე ამწვავებდა მატჩს, ხან – მეორე, მაგრამ კარში დარტყმამდე საქმე იშვიათად მიდიოდა. საერთო ჯამში მცირე უპირატესობას მასპინძელი ფლობდა. შეხვედრას საყურებლად არა უშავდა, თუმცა გულშემატკივარს მთავარი სანახაობა თურმე წინ ელოდა. მეორე ტაიმი "ტოტენჰემის" კონტრშეტევებით განახლდა. 53-ე წუთზე **გარეთ ბეილს** მართებდა ანგარიშის გახსნა, მაგრამ ლენონის პასი უელსელს საყრდენ ფეხში მოხვდა და სიტუაცია მცველებმა განმუხტეს. პირველი გოლი **დავიდ სილვას** გენიალური პასის წყალობით **ნასრიმ** 56-ე წუთზე 14-15 მეტრიდან შეაგდო. ორიოდე წუთში კუთხურისას **ლესკოტს** ბედმა გაუღიმა, როცა ჯეკოს მიერ თავით მოგებული ბურთი შეაგდო. ბურთი **სკოტ პარკერს** ტანქვეშ გაუძვრა – 2:0. თითქოს სტუმარი ნოკდაუნში უნდა ჩავარდნილიყო, მაგრამ არა - **ჰარი რედნაპის** ბიჭებმა მალე გამოილეს ხელი. ჯერ **ჯერმეინ დეფომ** ისარგებლა **სტეფან სავიჩის** შეცდომით და მოატყუა რა **ჯო ჰარტი** ცარიელ კარში შეაგდო - (2:1), შემდეგ ლენონმა გაარღვია დაცვა, ბეილს ცენტრისკენ დაუგორა და უკანასკნელმა ჯადოსნური მარცხენათი ჰარტს საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი შორეულ მაღალ კუთხეში ჩაუხვია (2:2). ეს ყველაფერი 5 წუთის ინტერვალით მოხდა. ბოლო წუთებში "ტოტენჰემი" უფრო აქტიური იყო. მას გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ "დეზებს" ბედმა უმუხთლა. მატჩის დასრულებამდე წამებით ადრე **მარიო ბალოტელიმ ლედლი კინგს** წესები საჯარიმოში დაარღვევინა. **ჰოვარდ ვებმა** თერთმეტმეტრიანისკენ მიუთითა. დაზარალებულ იტალიელს **ბრედ ფრიდელმა** კუთხე გამოუცნო, მაგრამ, რად გინდა - 3:2. "ქალაქელთათვის" ბალოტელის გოლი მე-60 იყო სეზონში. მათ ზუსტად ამდენჯერ შეძლეს თავის გამოჩენა წინა სეზონის განმავლობაში, ასე რომ, **რობერტო მანჩინის** გუნდის პროგრესი თვალში საცემია.

ტურის მეორე უმნიშვნელოვანესი შეხვედრა "ემირიტსზე" შედგა, სადაც "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩავიდა საასპარეზოდ. "ეშმაკები" მოედანზე უფრო მონდომებულები გავიდნენ, რადგან "სიტის" მოგება მათ სხვა გზას უბრალოდ არ უტოვებდა. პირველი ტაიმი ძირითადად სტუმართა შეტევებით წარიმართა. **ფილ ჯონსის** ტრავმის გამო კომპენსირებულ დროში სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. ეს **ანტონიო ვალენსიამ** გააკეთა. მეორე ნახევარში "არსენალი" გააფთრებული ეკვეთა მეტოქეს. საწყისი 12 წუთის განმავლობაში "მეთოფეებმა" 4 სახიფათო მომენტი შექმნეს. უნდა გამოვყოთ **რობინ ვან პერსის** მიერ გაფუჭებული ბურთი. მან 9-10 მეტრიდან ვერ გაიტანა, არადა ხელს უკვე ალარავინ უშლიდა. სამაგიეროდ, ჰოლანდიელმა 71-ე წუთზე ფხა ბევრად უფრო რთულ სიტუაციაში გამოიჩინა და **ანდერს ლინდეგორს** კუთხიდან გაუტანა. მასპინძელთა ფითილი არც ამის მერე განელებულა. თუმცა გოლი სწორედ მათ კარში გავიდა. ვალენსიამ **ანდრეი არშავინი** ორჯერ მოატყუა და იქვე **დენი უელბეკს** დაუგორა. ახალგაზრდა ფორვარდის დარტყმა ძალიან ძლიერი იყო. **ვოიცეხ შჩესნის** ალების შანსი ნამდვილად არ ჰქონდა. "არსენალმა" ამის მერე გათანაბრება კიდევ რამდენჯერმე სცადა, მაგრამ არც **ნიკლას იენარისის** დრიბლინგს, არც **ლორან კოშელნის** შეტევაში ჩართვას შედეგი არ მოუტანია. მანჩესტერულ გრანდებს შორის სტატუს-კვო შენარჩუნდა.

22-ე ტური "ნორვიჩი"-"ჩელსის" დაპირისპირებით გაიხსნა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში გუნდებს თამაშის წესი ერთხელაც არ დაურღვევიათ (!), რაც აბსოლუტური რეკორდია, ყოველ შემთხვევაში პრემიერლიგის ისტორიაში. "ლურჯებმა" შეტევაში უკბილოდ ითამაშეს და მეტოქეს უგოლოდ გაეყარნენ. "ნორვიჩმა" სეზონში პირველად შეძლო კარის მშრალად შენახვა. შეხვედრა სტუმართა შეტევებით დაიწყო, თუმცა ბურთი მე-6 წუთზე კინაღამ მათ კარში გავიდა. **პეტრ ჩეხი ენტონი პიკლინგტონის** დარტყმას გაუმკლავდა. "იადონების" ("ნორვიჩის" მეტსახელია) მუახაზელმა **გრანტ ჰოლტმა** მე-10 წუთზე ანგარიშის გახსნის კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან. **პოლ ლამბერტის** შეგირდებს უპირატესობა კიდევ რამდენიმე წუთით ეპყრათ ხელთ. 26-ე წუთზე გატანა **ფერნანდო ტორესს** შეეძლო, თუმცა **ჯონ რადი** მის ეშმაკურ დარტყმას მომზადებული დახვდა. 37-ეზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა **ფრენკ ლემპარდი**. მოედანზე მის ნაცვლად **ფლორან მალუდა** შევიდა. მე-60 წუთზე ტორესი ვალდებული იყო პენალტის ნიშნულის სიახლოვიდან შეეგდო, მაგრამ არ გაუმართლა. ორიოდე წუთში **ხუან მატას** უნდა გაეტანა, მაგრამ რადმა ისევ ბრწყინვალედ ითამაშა. **ანდრე ვილაშ ბოაშის** გუნდი თამაშის ბოლომდე ვერაფერს გახდა.

"ლივერპულმა" კიდევ ერთი სირცხვილი ჭამა. "სტოკთან" შინ ნულოვანი ფრეს შემდეგ **კენი დალგლიშის** შეგირდებმა ბოლტონის "რიბოკ სტედიუმზე" წაიფორხილეს. **ოუენ კოილის** ზუსტად იმ თერთმეტმა ბიჭმა, ვინც "მანჩესტერ იუნაიტედთან" უშანსოდ წააგო (0:3), "ლივერპულს" ქულაზე ოცნების უფლებაც კი არ მისცა და ენფილდელთა ერთ დროს ნაქებ დაცვას სულ კუდით ქვა ასროლინა. სტუმრებს რეტი მალე დაესხათ თავს – უკვე მე-3 წუთზე. **მარკ დევისმა** ცოტა არასტანდარტულად ითამაშა - ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო და თავხედურად შეიჭრა შიგნით. მართალია, მცველებმა სცადეს ბურთის დაბლოკვა, მაგრამ ვერ მოასწრეს - 1:0. "ლივერპულმა" საქმეს ხელი სერიოზულად მოკიდა. ის იყო, სრული უპირატესობა უნდა ჩაეგდო ხელთ, რომ "ბოლტონმა" მეორედ შეაგდო. **კრის იგლზის** ჩაწოდების შემდეგ **ნაიჯელ რეო-კოკერმა პეპე რეინას** ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა. სად იყვნენ ამ დროს ცენტრალური მცველები, ვერ მოგახსენებთ. 37-ეზე **ენდი კეროლის** თავური პასის შემდეგ **კრეიგ ბელამი** მცველებს იოლად გაექცა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 2:1. მასპინძელმა მეორე ტაიმი ისევ კონცენტრირებულმა დაიწყო და მალე კიდევ ერთხელ შეაგდო. 50-ე წუთზე **მარტინ პეტროვის** კუთხურს **დევიდ უიტერი** თავით შესწვდა და **გრეტარ სტეინსონს** დაუგდო. 30 წლის ისლანდიელისთვის 8-9 მეტრიდან გატანა პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენდა. მერსისაიდელები შოკში ჩავარდნენ. მატჩის ბოლომდე **ადამ ბოგდანის** კარის აღება მხოლოდ **დანიელ აგერმა** სცადა, მაგრამ დანიელის უშორესი დარტყმა ხარიხას მოხვდა. შეიძლება ამაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია, მაგრამ გვეჩვენება, რომ დალგლიში ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებას უნდა შეეშვას.

თუ ამას თამაში ჰქვია, შაბათს ითამაშა "ნიუკასლმაც". "კაჭკაჭები" "ქრეივენ კოტეჯზე" პირწმინდად განადგურდნენ. **ტომას კრულის** კარში გატანილი ბურთების აღწერას არ შევუდგებით, უბრალოდ გეტყვით, რომ **მარტინ იოლის** ბიჭები გამოცდილი სნაიპერებივით მოქმედებდნენ. მათ მიერ კარის ჩარჩოში გაშვებულ 9 ბურთს 5 გოლი მოჰყვა. შეხვედრის მთავარი გმირი ამერიკელი **კლინტ დემპსი** გახდა, ვინც პრემიერლიგაში თავისი პირველი ჰეთთრიკი შეასრულა.



დავიდ სილვამ სიტის მოგებაში დიდი როლი ითამაშა

გვერდი მოამზადა

**ლევან ბიბილაშვილმა**

### მომდევნო ტური:

31 იანვარი: **სუონსი-ჩელსი, ტოტენჰემი-უიგანი, ვულვერჰემპტონი-ლივერპული, ბოლტონი-არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკ სიტი, სანდერლენდი-ნორვიჩი**

1 თებერვალი: **ასტონ ვილა-ქუინზ პარკი, ბლექბერნი-ნიუკასლი, ევერტონი-მანჩესტერ სიტი, ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი**

## ქართული სპორტი

ძიუდო. ნაკრები

# ზვიადაური ბრუნდება!

## ახალი გუნდი თასისთვის

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები შაბათს დაბრუნდა ავსტრიული მიტერსილიდან, სადაც ერთობლივ საწვრთნელ კემპში მონაწილეობდა. იქ დაახლოებით 700-მდე ძიუდოისტი ვარჯიშობდა, რაც ჩვენებისთვის სპარინგების თვალსაზრისით პირდაპირ მისწრება იყო - დღეში დაახლოებით 10-მდე შეხვედრის გამართვა უწევდათ ნაირ-ნაირი საჭიდაო სტილისა და ყაიდის მეტოქესთან.

შაბათსვე გუნდის ავსტრიელმა მთავარმა მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 28-29 იანვარს თბილისის მსოფლიოს თასზე იასპარეზებს. წინასწარ გეტყვით, რომ სიაშია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** (90), რომელმაც სპორტის გარეშე მხოლოდ ერთი წელიწადი გაძლო და ხანმოკლე განშორების შემდეგ კვლავ უბრუნდება საყვარელ საქმიანობას. ეტყობა, იაპონიასა და ავსტრიაში განვლილმა შეკრებებმა დაარწმუნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა სპორტში დაბრუნების საშუალებას აძლევს, თორემ აქამდე მთავარ დილემად სწორედ ეს საკითხი რჩებოდა - შეძლებდა თუ არა მისი ნატანჯი და არაერთგზის ნაოპერაციები სხეული დიდი სპორტისთვის საჭირო დატვირთვების ატანას. თუმცა დაკვირვების პროცესი ჯერაც გრძელდება - თბილისის ტურნირზე საბოლოოდ გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ის სპორტულ კარიერას ანუ იქ კიდევ ერთხელ აწონ-დაწონიან მისი ორგანიზმი რამდენად აიტანს საშეჯიბრო დატვირთვას. მან წარმატებით კი გაიარა ორივე შეკრება და დღეში 10-12 შეხვედრასაც ატარებდა, მაგრამ ერთია შეკრება და მეორე - ტურნირი.


ზურაბ ზვიადაური

30 წლის ზვიადაური ამ ერთწლიან პერიოდშიც, როცა სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა და თბილისის შარშანდელ ტურნირზე საზეიმოდაც გააცილეს, ნაკრებში მუშაობდა მეორე მწვრთნელად. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა, ის მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი და ევროპის მესამე პრიზიორიცაა. მსოფლიოს პირველობებზე ზედიზედ იჭიდავა ორი ფინალი - 2001 წელს მიუნხენში ფრანგ **ფრედერიკ დემონფოკონსთან** ამომავალი ვარსკვლავის სტატუსით გასული 20 წლის ბიჭი წელის ტკივილის გამო თავიდანვე განწირული იყო და სასწაული ვერც მოახდინა. დანაკლისის ასანაზღაურებლად ორ წელიწადში იაპონურ ოსაკაში ფრიად შემართული ჩავიდა და ფინალამდე ყველა მეტოქე უდავიდარაბოდ დაიფრინა, ფინალშიც კორეელ **ჰე ტაე ჰვანგს** გააფთრებით ეკვეთა და მიუნხენური დანაკარგის ამოღებამდე თითქოს არაფერი რჩებოდა - შეხვედრის შუაწელში ვაზარ-იუკოთი იგებდა, მაგრამ შეტევის ტემპი არ დააგდო, რაც ტაქტიკური შეცდომა აღმოჩნდა. მეტოქემ კონტრილეთზე დაიჭირა და შებოჭა. ასე გაუფრინდა ხელიდან ზედიზედ მეორედ მსოფლიოს ოქრო, თუმცა ათენის ოლიმპიადაზე ყველა ანგარიში ერთად გაასწორა და საჩემპიონო გვირგვინით თავდამშვენებული სამშობლოში გმირად დაბრუნდა. მაშინ მისმა გამარჯვებამ ძიუდოს განვითარებას ჩვენში წარმოუდგენლად დიდი ბიძგი მისცა.

კვირის ბოლოს ზვიადაური გუნდის ლიდერად გაუძღვება თანაგუნდელებს მშობლიურ ტურნირზე და კიდევ ერთხელ შეეცდება ერთგული ქომაგის გახარებას. მის გარდა, ამ შეჯიბრებაზე ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანი, პაატა მერებაშვილი, იოსებ ნიჟარაძე** (სამივე - 60 კგ), **შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი, დავით ასუმბანი, სანდრო იაკობაშვილი** (ყველა - 66), **ამბაკო ავალიანი, ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური, დავით კარბელაშვილი, პაატა ლვინიაშვილი** (81), **ლაშა გურული, გიორგი ნოზაძე, ბეთქილ ნავერიანი** (90), **ირაკლი ქობლიანიძე, ონისე ბულაძე, ბექა ბერძენიშვილი, ალექსანდრე მსხალაძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი** და **ლევან მატიაშვილი** (+100) იჭიდავებენ.

როგორც ხედავთ, ზაიზენბახერი ყველა წონაში იყენებს 4-კაციან კვოტას, თუმცა 60-ში ჯერჯერობით მხოლოდ სამი მონაწილეა. მწვრთნელმა თავდაპირველად აქ **ამირან პაპინაშვილი** კი დაასახელა, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო მისი ჭიდაობა გამოირიცხა. მას ან ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზიორი **გიორგი მესაბლიშვილი** შეცვლის (ოღონდ ის ახალგაზრდებში 55-ში ასპარეზობდა), ანაც - ასევე ახალგაზრდულის წევრი **ვაჟა მარგველაშვილი**. შევნიშნავთ, რომ მესაბლიშვილიც და მარგველაშვილიც დეკემბერში გამართულ საქართველოს პირველობაზე მესამეზე გავიდნენ.

მოლოდინისამებრ, ზაიზენბახერი ამჯერად წამყვან ფალავნებს ასვენებს - ევროპის ვიცე-ჩემპიონებს, **ლომერ ჟორჟოლიანსა** (100) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90) თებერვალში ევროპაში გასამართი უფრო პრესტიჟული შეჯიბრებებისთვის ინახავს, რადგან მათ წინა კვირას მასტერსზეც იასპარეზეს ალმატიში. აი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) კი ასევე ძველი ტრავმის გამო ვერ ჭიდაობს.

შემადგენლობის შერჩევისას მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს დაეყრდნო, თუმცა რამდენიმე გადაწყვეტილება მაინც გვეოცა. მაგალითად, რატომ ვერ მოიძებნა გუნდში ადგილი **გიორგი ბაინდურაშვილის** (81), **გიორგი მერმანიშვილის** (90) და **დავით ლორიაშვილისთვის** (100)? ამათგან მერმანიშვილი საქართველოზე მესამე იყო, ისინი კი ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. როგორც იქნა, უძლიერესი შემადგენლობა იკრიბება მძიმე წონაში, სადაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ ბრუნდება მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი გუჯეჯიანი. ძალიან საინტერესოა ახალგაზრდა მატიაშვილის გამოსვლაც. შარშან მას ძალზე აქებდა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **გიორგი გუგავა** და ამბობდა, დღითი დღე უმატებს, მალე კარგი მძიმე წონა გვეყოლებაო. შარშან ლევანი ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი ცოტა არ იყოს, უფერულად იჭიდავა - ის ორი შეჯიბრება დროის მცირე შუალედით გაიმართა და, ეტყობა, ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. სამაგიეროდ, საქართველოს პირველობაზე შესამჩნევად უკეთ იასპარეზა და თუმცა ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ოქრუაშვილთან დამარცხდა, მაინც დიდი იმედი ჩაგვისახა. მაღალ დონეზე საჭიდაოდ გენეტიკაც ხელს უწყობს - ის ევროპის ჩემპიონ **გივი ონაშვილის** შვილიშვილია.

ზაიზენბახერმა უძლიერეს შემადგენლობებს უხმო იმ წონებში, სადაც ჯერ ისევ გვიჭირს ოლიმპიური ლიცენზიები - 66-73-ში. 66-ში ჩვენებურთაგან ყველაზე წინ ქარდავაა - მსოფლიოს რეიტინგში 200 ქულით 42-ე ადგილზეა და ვერც სალიცენზიო 22-კაციან ზონაში შედის, მაგრამ ევროპული კვოტის მოპოვების კარგი შანსი აქვს. ევროპას წონაში 2-2 კვოტა ეძლევა, ქარდავა კი ამ სიაში მესამეა - მცირედით ჩამორჩება ლატვიელ **დენის კოზლოვსს** და ებრაელ **გოლან პოლაცკის**. 73-ში მთელი იმედები 268 ქულით 31-ზე მდგარ ტატალაშვილს უკავშირდება. 22-კაციან სიაში ვერც ის შედის, მაგრამ ევროპულ კვოტაში პირველია. თუმცა აქ ერთი აუცილებელი განმარტებაც - ნებისმიერ ქვეყანას რეგიონალური კვოტით (ასეთი მიდგომა სხვა კონტინენტებზეც ვრცელდება) მხოლოდ ერთი საგზური ეძლევა, ანუ ჩვენგან ორივე რომც შევიდეს იმ 2 კაცში, ერთი მათგანი მაინც ოლიმპიადის გარეშე დარჩება. იმედია, ტატალაშვილი შეძლებს 22-ში შეღწევას, რაც ქარდავასაც გაუხსნის გზას საგზურისკენ.

**ირაკლი თავაძე**

მოსაზრება

### ძიუდო თუ ჯუდო!?

საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ ჭიდაობის სახეობას - ძიუდოს, რომლის სამშობლო იაპონიაა, არც მეტი, არც ნაკლები **ჯუდო** უნდა ერქვას. სამწუხაროდ, ქართულ ენაში რუსულის გავლენით „დზიუდოდან" ვთარგმნეთ და მივიღეთ ძიუდო. სინამდვილეში კი მას **ჯუდო** ქვია.

ბევრი შემოგვედავება, რაღა დროს ძიუდოს სახელწოდების შეცვლაზეა ლაპარაკიო. თუმცა ჩვენ ხომ გვქონდა ასევე რუსულის გავლენით **რეგბი**, დღეს კი ეს სახელი ყველამ დაივიწყა და ვამბობთ სწორ ფორმას - **რაგბი**.

ერთი სიტყვით, ვიფიქროთ ძიუდო თუ ჯუდო?

**გაბრიელ ბარჯაძე**

თხილამურები


ნინო ნიკლაური


ალექსი ბენიაიძე

# თოვლის ფესტივალი

შარშან საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) კონგრესზე გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად თოვლის საერთაშორისო ფესტივალი ჩაეტარებინათ და აი, 20-21 იანვარს 39 ქვეყანაში თოვლის დღესასწაული 225 ღონისძიებით აღინიშნა. საქართველოში სამთო-სათხილამურო ფედერაციის ინიციატივითა და თბილისის მერიის ხელშეწყობით შაბათს გუდაურში დიდი ზეიმი მოეწყო როგორც მოზარდებისთვის, ისე უფროსებისთვის: გაიმართა კონცერტები, მხიარული თამაშები, სახალისო კონკურსები.

თოვლის ფესტივალი 20 იანვარს ზეიმით აღნიშნეს იტალიაშიც. კურორტ პეკოლ დი ზოლდოზე FIS-ის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებაში 1991 წელს უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გიგანტურ სლალომში გუდაურელებმა - ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის მონაწილე **ნინო წიკლაურმა** და **ალექსი ბენიაიძემ** იყოჩაღეს - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. მეორე-მესამე ადგილები მასპინძლებმა დაიკავეს: გოგონებში - ვიქტორია დოროთელიმ და მარტინა გნეჩმა, ვაჟებში - ფრანჩესკო დე კანდიდომ და ანტონიო მარკონიმ. ამავე შეჯიბრებაში კიდევ სამი ქართველი მოთხილამურე გამოდიოდა: **დიმიტრი გედევანიშვილი** (28-ე ადგილი), **შოთა ნათაძე** (მე-34)0 და **სოსო ჯაფარიძე** (55-ე).

წინა დღეს ოთხივე ქართველმა სლალომში მოსინჯა ძალები. ბენიაიძე იტალიელ ჯოვანი მისონის 0,01 წამით ჩამორჩა და მე-2 ადგილი დაიკავა. გედევანიშვილი მე-18, ჯაფარიძე კი 28-ე იყო. ნათაძემ მეორე დისტანცია ვერ ჩაამთავრა.

**ვაჟა დანელია**

ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები



# გავა 10 საფეხურით წინ

ავსტრიის საკურორტო ქალაქ ინსბრუკში დამთავრდა პირველი ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. გიგანტურ სლალომში, როგორც გაუწყეთ, **ნიკოლოზ კოზანაშვილი** 48 მონაწილეს შორის მე-20 იყო, ხოლო მისი მამიდაშვილი **სუსანა გავა** 32-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ბაკურიანელმა მოთხილამურეებმა სლალომშიც მოსინჯეს ძალები. გავამ ამჯერად 22-ე ადგილი დაიკავა, კოზანაშვილმა კი დისტანცია ვერ დაასრულა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# გამარჯვებულს ჩამორჩნენ

ირანულ თავრიზში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხუთი ქართველიც მონაწილეობდა. მე-10 ტურში **ლევან ფანცულაია** მასპინძელ პურია დარინის დაუზავდა, **გაიოზ ნიგალიძე** კი ირანელ ეჰსან მაგჰამი გაემს დანებდა, **შოთა აზალაძემ** მორტეზა აშგარისთან წააგო, **ბაჩანა მორჩიაშვილი** ჰუსეინ ამირს დაუზავდა, **მალხაზ სულაშვილმა** კი ჰუსეინ მოჯავერიანს აჯობა.

საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ფანცულაიამ ბოლო ტურშიც დაზავება არჩია - ამჯერად ქულა მასპინძელ აშგარ გოლიზადენთან გაიყო. 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულას მოუყარა თავი და მე-2 ადგილი დაიკავა. ჩვენებურს ნახევარი ქულით გაუსწრო და პირველი პრიზი მოიპოვა გაემმა, რომლის პაექრობაც აზერბაიჯანელ რასულ იბრაჰიმოვთან მშვიდობიანად დასრულდა. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიების შედეგები ასეთია: პურია დარინი - მორტეზა აშგარი 0,5:0,5, ვუგარ რასულოვი - ურფან სევდიმალიევი 0:1, გაიოზ ნიგალიძე - მალხაზ სულაშვილი 1:0, მოჰამად შანი მორადი - ჰომეინ ტუფიგი 0:1, შოთა აზალაძე - ბაჩანა მორჩიაშვილი 1:0, ჰუსეინ ამირი - ვირგინიუს გრაბლიუსკასი 0:1.

თერთმეტი ტურის შემდეგ 8-8 ქულა ერთბაშად ცხრა მოჭადრაკემ მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე გაიოზ ნიგალიძე გავიდა, შოთა აზალაძეს მეხუთე ადგილი ხვდა. ბაჩანა მორჩიაშვილსა და მალხაზ სულაშვილს 7-7 ქულით XV-XVI ადგილები ერგოთ.

**ვაჟა დანელია**

# შარშან გიბრალტარი ჩვენი იყო, წლეულს?...

გიბრალტარში დღეს საზეიმოდ გაიხსნება ტრადიციული – მეათე საჭადრაკო საერთაშორისო ფესტივალი (საპრიზო ფონდი 150.000 ევრო. გამარჯვებულისთვის – 20.000, მომდევნო ადგილებზე – 12.000, 10.000, 8.000, 5.000, სულ-12 პრიზი, ქალებისთვის – 10.000, 7.000, 5.000... სულ-10 პრიზი), რომლის მთავარ ტურნირში („მასტერსი", შვეიცარიული სისტემით 10 ტურად) სხვადასხვა ქვეყნის 246 წარმომადგენელი იასპარეზებს, მათ შორის - 68 დიდოსტატი.

საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ქალთა ეროვნული ნაკრების წევრები - არაოლიმპიურ სახეობებში საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენი **ნანა ძაგნიძე (2535), ლელა ჯავახიშვილი (2454), ნინო ხურციძე (2444)** და **სალომე მელია (2398)**. მათთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ 2700-იანთა კლუბის წარმომადგენლები - პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2749), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2747), მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2724), ზოლტან ალმაში (უნგრეთი, 2717), იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2710), ალექსეი შიროვი (ლატვია, 2710); ქალებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2605), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2589), 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2580), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2523), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი, 2491), ხანტი-მანსიისკის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2537) და სხვები. ასე რომ, გიბრალტარისთვის უშელავათო პაექრობები იქნება.


ნანა ძაგნიძე (მარცხნივ) და სალომე მელია

შეგახსენებთ, რომ შარშან გიბრალტარის ფესტივალის მთავარი პრიზი უკრაინელმა ვასილი ივანჩუკმა მოიგო, ქალებში საუკეთესო იყო ნანა ძაგნიძე, რომელმაც ბოლო ტურში შავი ფიგურებით ინდოელი კრიშნან სასიკირანი დაამარცხა და 10 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველობა არავის დაუთმო. ამდენივე ქულა მოაგროვა სალომე მელიამ (მე-10 ტურში ინდოელ ნარაინან გოპალს დაუზავდა), მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-2 პრიზი ერგო. 6,5 ქულით მესამე იყო ნადეჟდა კოსინცევა.

**ვაჟა დანელია**

● სუმო. ჰაცუ ბაშო. 8-22 იანვარი


გაგამარუ (მარჯვენა)

# ევროპული ბაშო: ჩემპიონი ესტონელი, ვიცე-ჩემპიონი ქართველი

## მებრძოლი სულის პრიზი გაგამარუს!

გვასახელა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** - 24 წლის გოლიათმა (185 სმ, 199 კგ) ტოკიოში სუმოს წლის პირველ სუპერტურნირზე ვიცე-ჩემპიონობა (ჯუნ-იუშო) და მებრძოლი სულის პრიზი (კანტო შო) მოიპოვა. ქართველმა იანვრის ბაშო ფანტასტიკური შედეგით, 12-3 დაასრულა, რაც მისი პირადი რეკორდია ელიტაში. გაგამარუ ვიცე-ჩემპიონი პირველად გახდა, მებრძოლი სულის პრიზი (რისთვისაც 2 მილიონი იენი მიიღო) კი მან სექტემბრის ბაშოზეც ირგო. ამ ტურნირზე თეიმურაზმა ბოლოს ზედიზედ 7 ორთაბრძოლა დაასრულა თავის სასარგებლოდ. მოკლედ, ქართველებს შორეულ იაპონიაში საამაყო რიკიში გვყავს - მან წინ მხოლოდ ოძეკი **ბარუტო** გაუშვა, დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოსთან** ერთად კი თანაბარი ბალანსი დააგროვა.

ბრწყინვალედ იასპარეზა **ლევან გორგაძემაც (ტოჩინოშინი)**, რომელმაც ჰაცუ ბაშო 10-5 ბალანსით დაასრულა. ორივე ჩვენებურს დიდი წინსვლა ელის რეიტინგში. სამწუხაროდ, ძურიოს დივიზიონში გავარდნილმა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ტურნირი უარყოფითი ბალანსით დაასრულა - 7-8.

### XIV დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (ცუკიოტოში), ბარუტო-კოტოოშუ (იორიკირი), ამინიშიკი-ტოიონოშიმა (შიტატენაგე), ტაკაიასუ-კაკურიუ (ცუკიდაში), ვაკაკოიუ-კიტატაიკი (ოშიდაში), ოკინოუმი-მიაბიამა (იორიკირი), ტაკეკაძე-გოეიდო (ჰატაკიკომი), ტოჩინოვაკა-ტაკანოიამა (იორიტაოში), აოიამა-ჰომაშო (ოშიტაოში), **გაგამარუ**-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), **ტოჩინოშინი**-ნიონოუმი (ოშიდაში). **ძურიო:** მასურაუმი-**კოკაი** (ოშიდაში).

### ბოლო დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ბარუტო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), კისენოსატო-კოტოოშუ (იორიკირი), კაკურიუ-მიოგირიუ (ოშიდაში), კიტატაიკი-ტოიონოშიმა (ოშიტაოში), ტაკაიასუ-მიაბიამა (ცუკიდაში), გოეიდო-ვაკაკოიუ (ჰიკიოტოში), ჰომაშო-ტაკეკაძე (ჰიკიოტოში), ამინიშიკი-ტოჩინოვაკა (ოკურიდაში), ტოიოჰიბიკი-ოკინოუმი (იორიკირი), იოშიკაძე-ასასეკირიუ (შიტატენაგე), **გაგამარუ**-ტოჩიოძანი (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-ტენკაიჰო (იორიკირი). **ძურიო: კოკაი**-კიმურაიამა (იორიკირი).

### საბოლოო მდგომარეობა

**14-1:** ბარუტო (ოძეკი)
**12-3:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), **გაგამარუ** (მაეგაშირა 10).
**11-4:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მ 8), ტოკიტენკუ (მ 10).
**10-5:** კოტოოშუ (ოძეკი), კაკურიუ (სეკივაკე), **ტოჩინოშინი** (მ 9).
**9-6:** ამინიშიკი (მ 1), მიოგირიუ (მ 5), იოშიკაძე (მ 6), კიოკუტენჰო (მ 6), ჩიონოკუნი (მ 13), ასასეკირიუ (მ 15).
**8-7:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), ტოჩინოვაკა (მ 4), არანი (მ 7), შოჰოზანი (მ 8), სადანოფუჯი (მ 11), ტანკაიჰო (მ 13).
**7-8:** ჰომაშო (მ 4), ტოიოჰიბიკი (მ 5), ფუჯიაზუმა (მ 11).
**6-9:** გოეიდო (მ 2), ტაკაიასუ (მ 3), აოიამა (მ 7), დაიდო (მ 9), ტაკანოიამა (მ 14).
**5-10:** ტოიონოშიმა (სეკივაკე), ვაკაკოიუ (კომუსუბი), საგაცუკასა (მ 14), კაისეი (მ 16), ნიონოუმი (მ 16).
**4-11:** ტაკეკაძე (მ 1), ოკინოუმი (მ 2), ტოსაიუტაკა (მ 12).
**3-12:** მიაბიამა (კომუსუბი), იოშიაზუმა (მ 12), კიოკუშუჰო (მ 15).
**2-13:** კიტატაიკი (მ 3)

### პრიზები

**იმპერატორის თასი:** ბარუტო (1-ელი)
**ბრწყინვალე ასპარეზობა:** კაკურიუ (1-ელი)
**მებრძოლი სული:** გაგამარუ (მე-2)
**ტექნიკური რიკიში:** მიოგირიუ (1-ელი)
**ძურიოს ჩემპიონი:** ჩიოტაირიუ (1-ელი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჩოგბურთი

# ზედიზედ 10 მატჩი და ორი ტურნირი!

2012 წელი დიდებულად დაიწყო 23 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (430) - მან ანთალიის მახლობლად, კურორტ ბელეკში, ორ 10-ათასიან ტურნირში იასპარეზა და ორივეში იმარჯვა. ქართველ ჩოგბურთელს ახალ სეზონში 10 გამარჯვება დაუგროვდა და ჯერ ისევ დაუმარცხებელია. ახალი ტურნირი მან ისე მოიგო, სეტი არ დაუთმია!

მე-5 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ პირველ წრეში ნორვეგიელი **ემა ფლუდი** (667) დაამარცხა - 6:1, 6:3. შემდეგ უკრაინელ **მარიანა ზაკარლიუკს** (725) მოუგო - 6:4, 6:2. მეოთხედფინალში ქართველმა შანსი არ დაუტოვა რუმინელ **ალექსანდრა დამასკინს** - 6:3, 6:0. ქვაცაბაიას ნახევარფინალშიც რუმინელი ერგო მეტოქედ, მე-2 ნომრად განთესილი **ლიანა-გაბრიელა უნგური** (344). სოფიო „მშრალზე“ იგებდა (6:0, 3:0), როცა მეტოქემ წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა და დანებდა მას. ფინალში ჩვენებურს მე-7 ნომრად განთესილი ვენესუელელი **მარინა ხირალ ლორესი** (528) შეხვდა და ორ სეტში დაამარცხა - 7:6 (4), 6:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


სოფიო ქვაცაბაია

ლელოზე
ხელმომწერთა
საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

## მიიღეთ მონაწილეობა თქვენი გაზეთის შექმნაში, გახადეთ იგი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო

გთავაზობთ კითხვარს — შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი მოსაზრებები და იდეები, შენიშვნები და სურვილები გაგვიზიაროთ.

## ერთად შევქმნათ თქვენი გაზეთი!

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით, ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხები ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე 2 19 60 13 (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე). გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება შეგიძლიათ ასევე ვებ-გვერდიდან: www.sportall.ge/lelo

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**1. თქვენი ასაკი**
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**2. სქესი**
☐ ქალი ☐ მამაკაცი

**3. „ლელოს“ გარდა რომელ სპორტულ გაზეთებს/ჟურნალებს კითხულობთ სისტემატურად?**

______________________

**4. ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია?**
- ☐ მთლიანად ქართული სპორტი
- ☐ ქართული ფეხბურთი
- ☐ მთლიანად უცხოური სპორტი
- ☐ უცხოური ფეხბურთი

**5. დაასახელეთ მიზეზი/მიზეზები, რის გამოც „ლელოს“ კითხულობთ?**

______________________

**6. უპირველესად რას კითხულობთ „ლელოში“?**
- ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
- ☐ საყვარელ რუბრიკას
- ☐ მიყოლებით ყველაფერს
- ☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ გარეკანზე მოთავსებული ანონსიდან
- ☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ სათაურის, ფოტოს ან სხვა ვიზუალური ეფექტის გამო

**7. რომელი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას კითხულობთ მეტი ინტერესით? (დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)**

______________________

**8. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?**

______________________

**9. რომელია თქვენთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო რუბრიკა?**

______________________

**10. ქართული სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?**

______________________

**11. უცხოური სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?**

______________________

**12 სტილისტური თვალსაზრისით როგორ შეაფასებთ გაზეთს?**
- ☐ ძალიან მაღალი დონის
- ☐ კარგი
- ☐ საშუალო
- ☐ ცუდი
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**13. როგორ შეაფასებთ „ლელოს“ ზოგადად დიზაინისა და არქიტექტონიკის მიხედვით?**
- ☐ ძალიან მომწონს
- ☐ მეტ-ნაკლებად მომწონს
- ☐ არ მომწონს

**14. მოგწონთ თუ არა გაზეთის ლოგო?**
- ☐ მომწონს
- ☐ უკეთესიც შესაძლებელია
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**15. საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით „ლელოს“?**
- ☐ ძალიან მაღალი დონის
- ☐ მაღალი დონის
- ☐ საშუალო დონის
- ☐ დაბალი დონის
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**16. რამდენად ხშირად ეცნობით „ლელოს“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ კვირაში 2-3 ნომერს *(მიუთითეთ კვირის დღეები)* ______________________
- ☐ კვირაში ერთ ნომერს *(მიუთითეთ კვირის დღე)* __________
- ☐ თვეში 2-3 ნომერს
- ☐ უფრო იშვიათად

**17. რამდენი ხანია, რაც „ლელოს“ კითხულობთ?**
- ☐ 1-5 წელია
- ☐ 5-10 წელია
- ☐ 10-20 წელია
- ☐ 20 წელზე მეტია

**18. რა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის „ლელოს“ შეძენა თუ გამოწერის სამსახურით სარგებლობა?**
- ☐ შეძენა
- ☐ გამოწერა

**19. რა თემებზე გსურთ, რომ გაზეთში იყოს მეტი პუბლიკაციები?**

______________________

**20. რა ახალ რუბრიკას/პროექტს შესთავაზებდით ლელოს?**

______________________

**21. რას ურჩევდით „ლელოს“?**

______________________

**22. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი), სადაც ცხოვრობთ**

______________________

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● ქართველი NBA-ში

# იქაც 13

## ფაჩულიას ორი რეკორდი და +27

„ატლანტა ჰოქსისა“ და „კლივლენდ კავალიერსის“ მატჩის მიმოხილვაში ხაზგასმით ეწერა: **ზაზა ფაჩულიამ** სეზონის ორი პირადი რეკორდი დაამყარა - 13 ქულა და 4 პასი შეასრულაო. იგი გაცილებით უკეთეს სტატისტიკას ჩაიწერდა, მეოთხე პერიოდში მწვრთნელს მეტი დრო რომ მიეცა. თუმცა მთავარია, რომ ქართველის დახმარებით „ატლანტამ“ მორიგი ეფექტური გამარჯვება მიითვალა - სტუმრები 121:94 დაამარცხა.

წინა დღეს ჯორჯიელები „ფილადელფიას“ გასვლაზე ეთამაშნენ. რამდენადაც კარგად გაისარჯა გუნდი (და ფაჩულია) „კლივლენდთან“, იმდენად ცუდად გამოიყურებოდა „ფილადელფიასთან“ - 76:90.

■ ■ ■

„ატლანტას“ გასვლითი მატჩის ჩატარებამ ზედიზედ ოთხი საშინაო შეხვედრის (ოთხივე მოიგო) შემდეგ მოუწია. მეტოქედ თანაბარი ძალის „ფილადელფია“ ჰყავდა.

პირველი ტაიმის 47:39 მოგების შემდეგ „ჰოქსის“ შეტევა მოიშალა, არც დაცვაში გამოვიდა რამე და მესამე პერიოდი „ფილადელფიამ“ 25:10 მოიგო. 15-18-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას კი „ატლანტა“ ყოველთვის ვერ შეძლებს. ასე რომ, „ქორები“ ფილადელფიიდან წაგებულები დაბრუნდნენ.

საყურადღებოა, რომ მასპინძლებმა მოხსნებში 51:32 იმარჯვეს.

| ფილადელფია-ატლანტა | | 90:76 |
|---|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 20 წუთი, 5 ქულა (3-დან 2 ორქულიანი), 3 მოხსნა, 2 პასი, 4 ფოლი, 2 შეცდომა.

| | | |
|---|---|---|
| | **I პერიოდი** | |
| 4:09 | ზაზამ კოლინზი შეცვალა | 17-12 |
| 3:17 | ორქულიანი: 2ქ | 19-14 |
| 3:17 | საჯარიმო: 1/1 (3ქ) | 20-14 |
| 2:47 | ფოლი: 1 | 20-14 |
| 2:16 | ორქულიანი: 5ქ | 22-16 |
| 1:50 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 22-16 |
| 1:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 22-17 |
| 0:53 | შეცდომა: 1 | 22-17 |
| 0:53 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 22-17 |
| | **II პერიოდი** | |
| 9:34 | პასი: 1 (რადმანოვიჩი 2ქ) | 33-22 |
| 5:22 | კოლინზმა ზაზა შეცვალა | 39-33 |
| | **III პერიოდი** | |
| 5:31 | ზაზამ კოლინზი შეცვალა | 51-53 |
| 3:02 | პასი: 2 (გრინი 2ქ) | 54-60 |
| 1:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 54-62 |
| 0:26 | სმითმა ზაზა შეცვალა | 54-62 |
| | **IV პერიოდი** | |
| 11:00 | ფოლი: 2 | 59-66 |
| 10:38 | ორქულიანი: არაზუსტი | 59-68 |
| 9:41 | ფოლი: 3 | 59-70 |
| 9:41 | შეცდომა: 2 | 59-70 |
| 7:37 | ფოლი: 4 | 63-72 |
| 6:58 | გრინმა ზაზა შეცვალა | 64-76 |

■ ■ ■

სტუმრად წაგების შემდეგ ჯორჯიელებს საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციის კარგი შანსი მიეცათ - მათი მეტოქე „კლივლენდი“ (6 მოგება 9 მარცხი) იყო.

*- პირველიდან ბოლო წუთამდე შეტევაში ყველაფერი ისე გამოგვივიდა, როგორც გვსურდა. მნიშვნელოვანი იყო მესამე პერიოდის კარგად დაწყება. ესეც შევძელით და საფინალო ანგარიში სრულად ასახავს ძალთა თანაფარდობას,* - აღნიშნა ნამატჩევს „ატლანტას“ თავკაცმა **ლარი დრიუმ**.

ახლა ზაზა ფაჩულიაზე. მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და თავიდანვე აქტიურად ამოქმედდა. **ანდერსონ ვარეჟაომ** ვერაფრით შეძლო სამწამიანი ზონიდან ფაჩულიას განდევნა. 27 წლის ქართველი კი არც პასებს აგვიანებდა და შესაფერის დროს მეტოქის კალათსაც შედეგიანად უტევდა.

იგი მოედანზე მეორე პერიოდის მესამე წუთზე დაბრუნდა და მესამე მეოთხედის მერვე წუთამდე ითამაშა. სწორედ ამ მონაკვეთში გაზარდა „ატლანტამ“ სხვაობა 7-დან 24 ქულამდე (83:59).

აშკარაა, რომ ზაზა კარგ ფორმაშია, მოედანზე წონის კვალობაზე (125 კგ) მსუბუქად მოძრაობდა. ერთ ეპიზოდში ელვის სისწრაფით გადაკვეთა მეტოქის ნახევარი და ეფექტურადაც ჩატენა. ამ მომენტის შემდეგ ტელეარხ „ფოქსსპორტის“ კომენტატორებმა ფაჩულიას მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურეს: სეზონში მესამედ სასტარტო ხუთეულში გამოსვლამ ზაზაზე კარგად იმოქმედა, თამაშში ენერგიულად ჩაერთო და გარდა იმისა, რომ ფარქვეშ დომინირებს, სწრაფი შეტევისასაც გამთამაშებლის სისწრაფით მოქმედებსო. მოკლედ, ვინც ზაზას თამაშის სანახავად ჩემსავით ღამე გატეხა, ნამდვილად არ ინანებდა.

მატჩის მსვლელობისას ორი კალათბურთელის თამაშის მომენტები არაერთხელ დაატრიალეს. ერთი ფაჩულია იყო, მეორე **ჯო ჯონსონი,** რომელიც თითქოს სანადიროდ ყოფილიყო, „ტყვიას ტყვიაში არტყამდა“ მის ანგარიშზე 25 ქულაა. მატჩის ოქმში ცალკე გრაფაში იწერება ამა თუ იმ კალათბურთელის მოედანზე ყოფნის დროს მისმა გუნდმა რა სხვაობით მოიგო (ან წააგო). სწორედ ზაზასა და ჯოს ჰქონდათ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი +27.

| ატლანტა-კლივლენდი | | | 121:94 |
|---|---|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 29 წუთი, 13 ქულა (7-დან 6 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 6 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა, 2 ფოლი, 2 შეცდომა.



| | | | |
|---|---|---|---|
| | | **I პერიოდი** | |
| 8:30 | 7-10 | პასი: 1 (ჯონსონი 2ქ) | |
| 7:48 | 9-10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | |
| 7:22 | 9-10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | |
| 6:11 | 11-14 | პასი: 2 (უილიამსი 2ქ) | |
| 4:35 | 16-14 | ორქულიანი: არაზუსტი | |
| 4:35 | 16-14 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 | |
| 4:33 | 16-16 | ორქულიანი: 2ქ | |
| 3:38 | 16-21 | ორქულიანი: 4ქ | |
| 2:57 | 16-23 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | |
| | | **II პერიოდი** | |
| 8:18 | 30-37 | ზაზამ რადმანოვიჩი შეცვალა | |
| 8:06 | 31-37 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 | |
| 4:24 | 36-45 | მოხსნა: შეტ-4, დაც-1 | |
| 4:20 | 36-47 | პასი: 3 (ჯონსონი 3ქ) | |
| 3:43 | 36-49 | ჩაჭრა: 1 | |
| 3:27 | 36-51 | ორქულიანი: 6ქ | |
| 2:34 | 36-51 | ფოლი: 1 | |
| | | **III პერიოდი** | |
| 10:52 | 44-63 | ჩაჭრა: 2 | |
| 9:52 | 46-70 | ორქულიანი: 8ქ | |
| 9:22 | 46-73 | პასი: 4 (ჯონსონი 3ქ) | |
| 9:00 | 46-75 | ორქულიანი: 10ქ | |
| 7:39 | 51-75 | მოხსნა: შეტ-5, დაც-1 | |
| 7:37 | 51-77 | ორქულიანი: 12ქ | |
| 5:31 | 54-81 | ფოლი: 2 | |
| 5:18 | 55-81 | შეცდომა: 1 | |
| 4:05 | 59-83 | შეცდომა: 2 | |
| 4:05 | 59-83 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | |
| | | **IV პერიოდი** | |
| 10:17 | 66-96 | საჯარიმოები: 2/1 (13ქ) | |
| 8:04 | 74-102 | კოლინზმა ზაზა შეცვალა | |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● ქართველი იტალიაში

# აქაც 13

## ვირტუსმა რომა ჩატენა

იტალიის ჩემპიონატის ყოველი ტური ორ უქმე დღეზე ნაწილდება. შაბათს **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა“ ითამაშა, ხოლო კვირას ორმა იტალიურ-ქართულმა გუნდმა - „კანტუმ“ და „დინამო სასარიმ“. დღეს შაბათის შეხვედრაზე შევჩერდებით, კვირის თამაშებს კი ხვალინდელ გაზეთში განვიხილავთ.

ბოლონიის „ვირტუსმა“ დედაქალაქში, „რომასთან“ მეტად რთული შეხვედრა ჩაატარა. ძლიერი შემადგენლობის რომაელებს მიმდინარე სეზონში საქმე კარგად არ აქვთ, მე-13 ადგილზე არიან. ამის მიუხედავად, სტუმარი „ვირტუსის“ ფავორიტად შერაცხვა გაუმართლებელი იქნებოდა. მატჩი თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და როგორც ხშირად ასეთ შემთხვევებში, ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა.

მატჩის დასრულებას 4 წუთი უკლდა („რომა“ 68:67-ს იგებდა), როცა მოედანზე ფინელი **პეტრი კოპონენი** დაბრუნდა და დარჩენილ დროში არც მეტი, არც ნაკლები - 13 ქულა მიითვალა. ბოლო წუთზე ჩრდილოევროპელ თანაგუნდელს ვიქტორ სანიკიძემ ეფექტური ჩატენვა შეაშველა (ფარიდან ასხლეტილ ბურთს ჰაერში დაეუფლა და კალათში ჩააბრუნა) და „ვირტუსის“ უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა - 79:72. საბოლოოდ 82:78 ბოლონიელთა სასარგებლოდ.



კოპონენმა 24 ქულა მოაგროვა, სანიკიძემ - 4, რასაც 13 მოხსნა, 2 დაფარება და 3 შედეგიანი გადაცემა მიამატა. 4 ქულა ცოტაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანიკიძემ მხოლოდ 3 ორქულიანი ისროლა (თუ შეიძლება ჩატენვას სროლა დავარქვათ) და ორ შემთხვევაში ზუსტი იყო. როგორც ჩანს, 25 წლის ქართველი პირველივე წუთებიდან გუნდზე თამაშობდა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო - „ვირტუსმა“ მე-11 მატჩი მოიგო (6 მარცხი).

საინტერესო შეფასება მისცა ვიქტორის გარჯას გაზეთმა „ოლრაუნდმა“: *„ვინ დაინახა მოედანზე ვიქტორ სანიკიძე? იგი კოპონენთან და დაგლასთან შედარებით არ ჩანდა, სხვების დახმარებით იყო დაკავებული, მაგრამ ამ „ამოუცნობმა ობიექტმა“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მის ანგარიშზე 13 მოხსნაა.“*

„კორიერე დელა სერაში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვას ასეთი სათაური აქვს: „ვირტუსმა“ რომა“ ჩატენა.“

| იტალიის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **კანტუ-კრემონა** | **87:73** |

**მანუჩარ მარკოიშვილი** (კანტუ): 26 წუთი, 14 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი.

**გიორგი შერმადინი** (კანტუ): 25 წუთი, 8 ქულა, 6 მოხსნა, 2 დაფარება.

● პერსპექტივა

# სანაძე, ახალი ქართული ტალღიდან

გამოცემა „ევროჰოუპსმა“ ახალგაზრდა ქართველი ფორვარდს, **დუდა სანაძის** შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა და ინტერვიუც დაურთო. პუბლიკაციას ჰქვია: „სანაძე, ახალი ქართული ტალღიდან“.

„ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ბარსელონამ“ და „კანტუმ“ ითამაშეს. იტალიურ გუნდში ქართველი კალათბურთელები - **გიორგი შერმადინი** და **მანუჩარ მარკოიშვილი** გამოირჩეოდნენ. ისინი ჩამოყალიბებული მოთამაშეები არიან, თუმცა საქართველოში ახალი ნიჭიერი თაობა მოდის. **თორნიკე შენგელიას** გვერდით 1992 წელს დაბადებულ დუდა სანაძეს გამოვარჩევდით, რომელმაც გასულ სეზონში კანარიული სკოლა გაიარა და სამშობლოში დაბრუნდა. სანაძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა და მატჩში საშუალოდ 29 წუთში 15.5 ქულას, 3.2 მოხსნას და 1.6 პასს აგროვებს. 2 წლის წინათ, ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონში დუდამ ბომბარდირთა შორის 18.7 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო გასულ ზაფხულს, ბოსნიაში, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

**- რას მოელი მიმდინარე სეზონისგან?**

- ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაა.

**- რას იტყვი შენი ქვეყნის პერსპექტიულ მოთამაშეებზე?**

- საქართველოში ახალგაზრდა კალათბურთელებს ზრდისთვის კარგი შესაძლებლობა აქვთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში უცხოელი მოთამაშეები მომრავლდნენ და მათგან ბევრ დადებითს ვითვისებთ.

**- გარკვეული დრო კანარიის საკალათბურთო აკადემიაში გაატარე. რატომ გადაწყვიტე იქ გამგზავრება?**

- იმიტომ, რომ მსურს, საბოლოოდ ამერიკაში წავიდე. ვიცი, კანარიის აკადემია ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო სასწავლებელია ევროპაში და ამიტომაც გადავწყვიტე იქ ვარჯიში. სამწუხაროდ, ესპანეთში დიდხანს ვერ დავრჩი. სავიზო პრობლემები შემექმნა და სამშობლოში დავბრუნდი.



**- რა შეიძლება ითქვას საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების შანსებზე, რომელსაც მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატზე უწევს თამაში?**

- შემადგენლობა ისეთი ძლიერი არაა, რომ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ, თუმცა შედეგის მისაღწევად მაქსიმუმს გავაკეთებთ.

X გათამაშება
საქართველოს თასი
საკალათბურთო აკადემია 23-24 იანვარი
საკვალიფიკაციო ეტაპი
თსსუ – ბათუმი
თსუ – რუსთავი
მეოთხედფინალი 25 იანვარი
არმია – საკვალიფიკაციოში გამარჯვებული
სოხუმი – შსს
ქუთაისი – დინამო
ოლიმპი – სტუ
ნახევარფინალი
26 იანვარი 30 იანვარი

ლეგიონერები

# ქართველთა ოთხი გუნდი პლეი ოფში



გიორგი ჟღენტი და მამუკა გორგოძე

ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ტურნირი დასრულდა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პლეი ოფში ოთხმა, „კლერმონმა“, „ტულუზმა“, „ტულონმა“ და „ბრივმა“ გააღწია. გათამაშებას კი გამოეთიშნენ „კასტრი“, „მონპელიე“, „ლიონი“ და „აჟენი“.

ყველაზე პრესტიჟულ „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“ და **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზმა“.

„ვულკანებმა“, რომლებიც D ჯგუფში ასპარეზობდნენ, პირველი ადგილი ბოლო ტურში გამარჯვებით დაისაკუთრა. ჩვენებურის გუნდის მეტოქე ირლანდიური „ალსტერი“ იყო, რომელიც აქამდე ჯგუფს ლიდერობდა. „კლერმონს“ შინ მეტოქის აუცილებლად დამარცხება მართებდა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა და უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. მატჩის პირველი ნახევარი ფრედ 6:6 დასრულდა. შეხვედრის ბედი ფაქტობრივად შესვენების შემდეგ, 62-ე წუთზე გადაწყდა. იმ დროისთვის „ალსტერი“ 12:9-ს იგებდა. მასპინძლების შეცვლაზე შესულმა შერკინების ბურჯმა **ტიი პაოლომ** ლელო გაიტანა, რომელიც **მორგან პარამ** გარდასახა - 16:12.

თამაშის დასრულებამდე გუნდებმა კიდევ თითო საჯარიმო გაცვალეს და „კლერმონმა“ მეოთხედფინალში გააღწია. ზირაქაშვილი ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

ამავე ჯგუფში, მესამე ადგილზე გასულმა ინგლისურმა „ლესტერმა“ შინ მოუგო იტალიურ „აირონს“ - 33:6.

**D ჯგუფი**

**კლერმონი-ალსტერი 19:15, ლესტერი-აირონი 33:6.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კლერმონი - 20 ქულა, 2. ალსტერი - 20, 3. ლესტერი - 17, 4. აირონი - 0.**

კურიოზული ამბები მოხდა E ჯგუფში, სადაც **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზი“ ასპარეზობს. აქ პირველი ადგილისთვის ტულუზელებთან ერთად ინგლისური „ჰარლიქვინზიც“ იბრძოდა. ბოლო ტურში ორივე გუნდი სტუმრად თამაშობდა და ორივეს გამარჯვება სჭირდებოდა. მოულოდნელად ორივე დამარცხდა და სატურნირო ცხრილში არაფერი შეცვლილა, პირველი ადგილი და პლეი ოფის საგზური „ტულუზს“ დარჩა.

ტულუზელები ბოლო ტურში სტუმრად დაუპირისპირდნენ ინგლისურ „გლოსტერს“ და 24:34 დამარცხდნენ, არადა, პირველ ნახევარში, ერთი ხანობა ათი ქულის სხვაობით იგებდნენ - 17:7.

ჩვენებურის გუნდს ბედმა გაუღიმა, რადგან ჯგუფის აუტსაიდერმა, ირლანდიურმა „ქონოთმა“ შინ მინიმალური სხვაობით აჯობა „ჰარლიქვინზს“ - 9:8. ირლანდიურმა მედიამ ეს გამარჯვება ისტორიულად მონათლა.

**E ჯგუფი**

**კონოთი-ჰარლიქვინზი 9:8, გლოსტერი-ტულუზი 34:24.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 18 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 17, 3. გლოსტერი - 15, 4. ქონოთი - 6.**

A ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც ტურნირში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა. კასტრელებმა ბოლო ტურში შინ ითამაშეს უელსურ „ჰლანეჰლისთან“ და 13:16 წააგეს. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

აქ პირველი ადგილი ირლანდიურმა „მანსტერმა“ დაიკავა, რომელმაც ბოლო, მეექვსე ტურში სტუმრად მოუგო ინგლისურ „ნორსჰემპთონს“ - 51:36.

**A ჯგუფი**

**კასტრი-ჰლანეჰლი 13:16, ნორსჰემპთონი-მანსტერი 36:51**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მანსტერი - 25 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 15, 3. ნორსჰემპთონი - 12, 4. კასტრი - 7.**

ბოლო ტურის წინ C ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ პლეი ოფში თამაშის შანსი ჰქონდა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს“. ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად ითამაშა პირველადგილოსანთან, ირლანდიურ „ლენსტერთან“ და 3:25 წააგო.

ირლანდიელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას და პირველი ტაიმი 20:0 მოიგეს. „მონპელიემ“ სამი ქულის აღება 66-ე წუთზე შეძლო, როცა უკვე 25:0-ს აგებდა.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჟღენტი 55-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში არ იყვნენ.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ბასიმ“ შინ მოუგო შოტლანდიურ „გლაზგოს“ - 23:18.

**C ჯგუფი**

**ბასი-გლაზგო 23:18, ლენსტერი-მონპელიე 25:3.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლენსტერი - 24 ქულა, 2. გლაზგო - 12, 3. ბასი - 11, 4. მონპელიე - 10.**

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს „ტულონმა“ და „ბრივმა“. B ჯგუფში მოასპარეზე **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა“ სტუმრად დიდი ანგარიშით დაამარცხა აუტსაიდერი, იტალიური პადოვა 50:6 და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ იყვნენ.

ამავე ჯგუფში **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონმა“ შინ მოუგო ინგლისურ „ნიუკასლს“ 21:13 და 14 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**B ჯგუფი**

**ლიონი-ნიუკასლი 21:13, პადოვა-ტულონი 6:50.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 25 ქულა, 2. ნიუკასლი - 18, 3. ლიონი - 14, 4. პადოვა – 0.**

E ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“ პირველი ეტაპი დაუმარცხებლად განვლო და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ბრიველებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა სტუმრად გამართეს უშუალო კონკურენტთან, ინგლისურ „სეილ შარქსთან“ და 19:9 მოიგეს. მატჩის პირველი ნახევარი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა - 9:6, თუმცა შესვენების შემდეგ „ბრივმა“ დაცვაში შესანიშნავად ითამაშა, მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ნატრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ხინჩაგიშვილმა მოედანზე 13 წუთით მეტი დაყო, კაკოვინი განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“ შინ გაანადგურა აუტსაიდერი, ესპანური „ლა ვილა“ - 62:7. აჟენელები 10 ქულით ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდნენ. შეყლაშვილი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**E ჯგუფი**

**აჟენი-ლა ვილა 62:7, სეილ შარქსი-ბრივი 9:19.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრივი - 27 ქულა, 2. სეილ შარქსი - 20, 3. აჟენი - 10, 4. ლა ვილა - 0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით ირაკლი ნატრიაშვილი

საქართველოს ნაკრები



# საქართველოს ნაკრების მწვრთნელები სამინისტროში

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელი - **მილტონ ჰეიგი** და მისი თანაშემწე - **კრის გიბსი** თბილისში 20 იანვარს ჩამოფრინდნენ. ზელანდიელი მწვრთნელები რაგბის კავშირის პრეზიდენტ **გიორგი ნიჟარაძესთან** ერთად 21 იანვარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა - **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** მიიღო.

მინისტრთან შეხვედრაზე, რომელსაც ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე - **დავით ნამგალაური**, რაგბის კავშირის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი **ბაჩო ხურციძე**, ეროვნული ნაკრების მენეჯერი **ვასილ აბაშიძე** და ეროვნული გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რიჩი დიქსონი** ესწრებოდნენ, საუბარი იყო რაგბის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაზე და ასევე ახალზელანდიელი მწვრთნელების მხრიდან ეროვნულ ნაკრებთან მუშაობაზე. ჰეიგი საქართველოს რაგბის კავშირთან კონტრაქტს 2+2 სისტემით გააფორმებს და საქართველოში ოჯახთან ერთად იცხოვრებს.

მილტონის მეუღლე ოჯახის წევრებთან ერთად საქართველოში მარტში ჩამოვა. კრის გიბსს „ვაიკატოსთან“ მოქმედი კონტრაქტი ჯერ კიდევ აკავშირებს და ამის გამო, წლეულს ჩვენს ქვეყანაში შვიდ თვეს გაატარებს, მომავალი წლიდან კი, ისიც საქართველოში აპირებს ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ ნაკრების გარდა, ახალზელანდიელი სპეციალისტები რაგბის აკადემიაშიც იმუშავებენ და პარალელურად, ქართველ მწვრთნელებსაც გაუწევენ კონსულტაციას.

**მილტონ ჰეიგი:** „ჩემთვის დიდი პატივია საქართველოში ყოფნა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან შეხვედრა. ქართულ რაგბს ჰყავს კარგი, ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ითამაშონ.

ჩვენი მიზანიც ეს არის - ქართული რაგბი მაღალ სიმაღლეზე ავიყვანოთ, რაგბის კავშირმა ნდობა გამოგვიცხადა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ნდობა ბოლომდე გავამართლოთ“.

**ლადო ვარძელაშვილი:** „რაგბის კავშირის მიერ გაწეული სამუშაო ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა, ამიტომ მათ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებოდით.

ასე მოხდა ამჯერადაც, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ნაკრები ახალზელანდიელ სპეციალისტებს ჩააბარა და იმედი გვაქვს, რომ ეს ნაბიჯი მორიგ წარმატებებს მოგვიტანს. ჩვენთვის რაგბი გამორჩეული, ეროვნული სპორტის სახეობაა და მას სახელმწიფო მომავალშიც დიდ დახმარებას გაუწევს.

დამტკიცებულია ახალი, 4-წლიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც რაგბის კავშირი დამატებით 20 მილიონ ლარს მიიღებს. ცხადია, ახალზელანდიელ მწვრთნელებს ეს ყველაფერი გავაცანით და ვუთხარით, რომ ნაკრებისგან უფრო გამორჩეულ შედეგებს და რეიტინგში წინსვლას ველით, რაც საშუალებას მოგვცემს მსოფლიოში კიდევ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გავხდეთ“.

**სამინისტროს პრესსამსახური**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მსოფლიოს თასის ექო

# დე ფილიერსი ბოსებს აკრიტიკებს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პიტერ დე ფილიერსი** ამ ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს აკრიტიკებს. ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ, დე ფილიერსი თანამდებობაზე იანვრის ბოლომდე დატოვეს.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირი ეროვნული გუნდისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს. კანდიდატთა შორის თვითონ დე ფილიერსიცაა, თუმცა ყველაზე მეტი შანსი მაინც **ჰეინკე მეიერს** და **გარეთ სმოლს** აქვთ.

დე ფილიერსის უკმაყოფილება კი სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ორჭოფობამ გამოიწვია. მას მიაჩნია, რომ ახალი მწვრთნელი ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა დაენიშნათ.

„სამხრეთ აფრიკის ნაკრებს პირველი მატჩები ივნისში ელის. „ბოკე“ სამჯერ შეხვდება ინგლისის ნაკრებს, ეს იოლი გასეირნება არ იქნება, ახალ მწვრთნელს, რომელსაც ასე გვიან დანიშნავენ, დრო არ ექნება გუნდი სერიოზულად მოამზადოს.

გადაწყვეტილება ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა მიეღოთ, რადგან ხელს არაფერი უშლიდათ.“ - თქვა პიტერ დე ფილიერსმა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



რობერტო ლუონგო

# ერთი გაცვლა და ერთიც რეკორდი

ერთი საინტერესო გაცვლა მოხდა გასულ უქმეებზე ჰოკეის ეროვნული ლიგაში. „კაროლინამ“ ტრეიდის შედეგად „ნიუ ჯერსიში“ გაუშვა ფორვარდი **ალექსეი პონიკაროვსკი**. გამოცდილი თავდამსხმელის სანაცვლოდ „დევილზმა“ მცველი **ჯოზეფ სოვა** და 2012 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევანის უფლება დათმო.

23 წლის სოვას NHL-ში არც ერთი მატჩი არ უთამაშია, მიმდინარე სეზონში კი AHL-ში 13 შეხვედრა ჩაატარა და ოთხი ქულა დააგროვა.

31 წლის პონიკაროვსკის, რომლის კონტრაქტი მომავალ ზაფხულს იწურება, 49 მატჩში 15 ქულა (7+8) აქვს დაგროვილი. მან უკვე მოასწრო ახალ კლუბში თავის გამოჩენა - გუშინ, „ფილადელფიასთან“ 1:4 წაგებულ მატჩში გოლი გაიტანა.

■ ■ ■

„ვანკუვერის“ მეკარე **რობერტო ლუონგომ** ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა გამარჯვებების რაოდენობით. გუშინ, „სან ხოსესთან“ მატჩის შემდეგ მას კარიერაში 212 მოგება დაუგროვდა, რაც ერთით მეტია **კირკ მალკინის** წინა რეკორდზე. ეს მეკარე „ვანკუვერში“ 1987-დან 1998 წლამდე გამოდიოდა.

კლუბის ისტორიაში ასზე მეტი გამარჯვება აქვთ აგრეთვე **რიჩარდ ბროდერსა** (126) და **დენ კლუტიეს** (109).

„შარქსის“ წინააღმდეგ შეხვედრაში ლუონგომ 23 დარტყმა მოიგერია. 32 წლის მეკარე „ვანკუვერში“ 2006-07 წლების სეზონიდან თამაშობს.

### 20 იანვარი

**კაროლინა–ვაშინგტონი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ი. იოკინენი-6 (ე. სტაალი-24), 2:0 ი. იოკინენი-7 (კარისონი-12, ბრენტი-9), 3:0 ტლუსტი-10 (ე. სტაალი-25, გლისონი-12).

**პიტსბურგი–მონრეალი 5:4 (ბ)**

1:2, 1:2, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ელერი-9 (ყუბანი-16), 1:1 ლეტანგი-4 (დუპუი-16, ჯეფრი-1), 1:2 ე. კოული-18 (ა. კოსტიცინი-9, ტ. კაბერლე-18), 1:3 ა. კოსტიცინი-11 (ტ. კაბერლე-19, დეშარნე-25), 2:3 ჯეფრი-1 (ზ. მიხალეკი-5), 2:4 პასიორეტი-16 (ე. კოული-17, ბუდაი-1), 3:4 ჯეფრი-2 (ტაილერ კენედი-15), 4:4 მალკინი-25 (ჯ. ნილი-19, ლეტანგი-18).

**ბულიტები გაიტანეს:** მალკინი (პიტსბურგი).

**ჩიკაგო–ფლორიდა 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ტეუვზი-27 (პ. კეინი-30, სტალბერგი-15), 2:0 კეიტი-3 (მარიან ჰოსა-32, ლედი-22), 3:0 პ. კეინი-11, 3:1 გარისონი-13 (კულიკოვი-20, კოპეცკი-14).

**დალასი–ტამპა ბეი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 პურსელი-10 (სან ლუი-28, ჟერვე-4), 1:1 უენდელი-3 (ლ. ერიქსონი-25), 1:2 პურსელი-11 (სან ლუი-29, ლეკავალიე-19).

### 21 იანვარი

**ბოსტონი–რეინჯერსი 2:3 (ო)**

0:0, 2:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კელეჰანი-16 (პრუსტი-9), 1:1 ფერენსი-4 (კრეისი-26, ლუჩიჩი-19), 1:2 გაბორიკი-24 (ჰაგელინი-8, ჟირარდი-13), 2:2 მაკუეიდი-2 (პევერლი-24, ფერენსი-16), 2:3 გაბორიკი-25 (ბ. რიჩარდსი-17, კელეჰანი-18).

**ნიუ ჯერსი–ფილადელფია 1:4**

0:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 0:1 რიდი-15 (სიმონდსი-12), 0:2 ჰარტნელი-21 (ტიმონენი-26, კ. ჟირუ-33), 1:2 პონიკაროვსკი-1 (ტაორმინა-4, კლარკსონი-6), 1:3 ჰარტნელი-22 (კ. ჟირუ-34, სიმონდსი-13), 1:4 სიმონდსი-13.

**ვანკუვერი–სან ხოსე 4:3**

1:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ბუტი-7 (ედლერი-27, ჰიგინსი-15), 1:1 კუტური-19 (დეჟარდენი-7), 1:2 კუტური-20 (ჯ. ტორნტონი-29, პაველსკი-16), 2:2 ჰოჯსონი-12 (რეიმონდი-6, როუმი-4), 3:2 კესლერი-13 (ბუტი-9), 3:3 დ. ბოილი-4 (პაველსკი-17, დეჟარდენი-8), 4:3 ჰოჯსონი-13 (რეიმონდი-7).

**ანაჰაიმი–ოტავა 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 პერი-22 (რაიანი-12, გეტცლაფი-25), 2:0 ვიშნოვსკი-5 (ჰაგმანი-10, ს. კოივუ-17), 2:1 კ. ნილი-8 (ფოლინო-18, ე. კარლსონი-39).

**დეტროიტი–კოლამბუსი 3:2 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 რ. რასელი-2 (დორსეტი-5, ა. ჯონსონი-10), 1:1 კრონვალი-10 (ფილპულა-24, ჰუდლერი-17), 1:2 ნიკიტინი-2 (ვერმეტი-13), 2:2 ლიდსტრიომი-10 (კრონვალი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ფილპულა (დეტროიტი).

**აილენდერსი–კაროლინა 2:1 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სკინერი-13 (დელპი-2, ბ. ალენი-7), 1:1 ტავარესი-18 (ოკსოპო-13, შტრაიტი-23), 2:1 ტავარესი-19 (პარენტო-33, ჰამონიკი-11).

**ტორონტო–მონრეალი 1:3**

1:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 რ. ბურკი-14 (პლეკანეცი-23, ე. კოული-18), 1:1 ლომბარდი-4 (ბოჟაკი-19), 1:2 დიასი-3 (გომესი-6), 1:3 ელერი-10 (მოენი-7, ა. კოსტიცინი-10).

**ფინიქსი–ტამპა ბეი 3:4**

0:2, 1:2, 2:0

**გოლები:** 0:1 სტემკოსი-32 (სან ლუი-30, დ. მური-13), 0:2 პურსელი-12 (დაუნი-13, კუბინა-8), 0:3 სან ლუი-11 (ტ. სმიტი-1, ლაბრი-1), 1:3 კორპიკოსკი-11 (ბ. გორდონი-11), 1:4 დაუნი-8 (ლეკავალიე-20), 2:4 იენდლი-6 (კორპიკოსკი-12, რეი უიტნი-26), 3:4 რეი უიტნი-15 (ეკმან-ლარსონი-13, დოუნი-15).

**ნეშვილი–ჩიკაგო 5:2**

1:1, 3:0, 1:1

**გოლები:** 0:1 მარიან ჰოსა-19 (შოუ-2, სიბრუკი-15), 1:1 კ. სმიტი-10 (ელისი-4, ს. კოსტიცინი-14), 2:1 კლაინი-3 (ლეგუანდი-16, 7 ბურკი-3), 3:1 კ. უილსონი-9 (ლეგუანდი-17, ჰორნკვისტი-8), 4:1 ს. კოსტიცინი-12 (ფიშერი-16, ერატი-22), 4:2 მარიან ჰოსა-20 (ჰიალმარსონი-9), 5:2 ჰორნკვისტი-13 (კლაინი-9, ჰილენი-5).

**სენტ ლუისი–ბაფალო 4:2**

0:1, 2:0, 2:1

**გოლები:** 0:1 მ. უებერი-1 (მიერსი-6, ლეინო-8), 1:1 კრომბინი-1 (ბეკსი-20, პიეტრნაჯელო-15), 2:1 პერონი-4 (ოში-17, ბეკსი-21), 3:1 ბეკსი-15 (ოში-18, პიეტრნაჯელო-16), 3:2 მიერსი-4 (გრანიანი-11, პომინვილი-30), 4:2 ბეკსი-16 (ჯეკმენი-7).

**ვინიპეგი–ფლორიდა 3:4 (ბ)**

0:2, 1:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ვერსტიგი-18 (გოკი-4), 0:2 სანტორელი-6 (ბერჩი-2, ვერსტიგი-23), 1:2 ანტროპოვი-7 (უელვუდი-20), 2:2 ანტროპოვი-8 (ლედი-9, უელვუდი-21), 2:3 ვერსტიგი-19, 3:3 ბურმისტროვი-9 (ენსტრიომი-14, მიეტინენი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** უელვუდი (ვინიპეგი), ვერსტიგი (ფლორიდა), ველერი (ვინიპეგი), სანტორელი (ფლორიდა), სამუელსონი (ფლორიდა).

**მინესოტა–დალასი 5:2**

0:1, 4:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ენსტრიომი-14 (რობიდასი-11, ფიდლერი-11), 1:1 სეტოგუჩი-10 (ჰიტლი-18, პროსერი-6), 1:2 ლარსენი-1 (გოლიგოსკი-10, ლ. ერიქსონი-26), 2:2 კლატერბეკი-12 (კულენი-15, სეტოგუჩი-7), 3:2 რაუ-1 (მაკმილანი-1, ორტმეიერი-1), 4:2 ბროძიაკი-13 (ჰიტლი-19, სპარჯონი-14), 5:2 ჰიტლი-14 (პიტერსი-4, ზენონი-3).

**ედმონტონი–კალგარი 2:6**

0:3, 0:1, 2:2

**გოლები:** 0:1 ბეკლუნდი-4 (ჯორდანო-6, სტემპნიაკი-12), 0:2 კომო-3 (ჰენანი-5), 0:3 სტემპნიაკი-10 (ბოუმისტერი-17, კომო-5), 0:4 სტემპნიაკი-11 (კომო-6, ბოუმისტერი-18), 1:4 სატონი-3 (ებერლე-27, რ. სმიტი-18), 1:5 ბოუმისტერი-3 (იგინლა-21, ო. იოკინენი-25), 2:5 რ. სმიტი-16 (პეტრი-9, შმიდი-5), 2:6 სტემპნიაკი-12 (ო. იოკინენი-26).

**ლ. ანჯელესი–კოლორადო 1:3**

0:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-15 (დ. ბრაუნი-14, ჯასტინ უილიამსი-24), 1:1 მაკლეოდი-3 (ელიოტი-7, ქუინსი-17), 1:2 მიულერი-3 (გალიარდი-6, პ. შჩასტნი-15), 1:3 ლენდესკოგი-10 (პ. შჩასტნი-16, ქუინსი-18).

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რეკორდების უქმეები

„ორლანდოს“ ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** „ლეიკერსთან“ შეხვედრაში 21 ქულა და 23 მოხსნა მიითვალა. მიმდინარე სეზონის 15 მატჩში „სუპერმენმა“ უკვე მეხუთედ შეძლო ერთდროულად მინიმუმ 20 ქულისა და 20 მოხსნის დაგროვება. აქამდე NBA-ის ისტორიაში მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა მოახერხა სეზონის საწყის 15 მატჩში მინიმუმ ხუთჯერ 20-ქულიანი და 20-მოხსნიანი მატჩის ჩატარება. ეს კალათბურთელი გახლავთ ქარიმ აბდულ-ჯაბარი (1975-76 წლების სეზონი).

გარდა ამისა, ჰოვარდმა „ატლანტას“ ყოფილი მოთამაშის **კევინ უილისის** 21 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა - ზედიზედ ორ მატჩში დააგროვა მინიმუმ 21 ქულა და 23 მოხსნა.

■ ■ ■

პორტლენდელმა **ლამარკუს ოლდრიჯმა** 33 ქულა, 23 მოხსნა, 5 პასი და ორი ჩაჭრა დააგროვა „ტორონტოსთან“ შეხვედრაში. მოქმედ კალათბურთელებს შორის მხოლოდ ერთმა შეძლო მინიმუმ 30 ქულის, 20 მოხსნის, 5 პასისა და ორი ჩაჭრის მოგროვება. ეს მოთამაშეა **ტიმ დანკანი**, რომლის ანგარიშზე 2003 წლის 4 მარტს „ფინიქსის“ წინააღმდეგ 35 ქულა, 21 მოხსნა, 8 პასი და ორი ჩაჭრა მოდიოდა.

■ ■ ■

„ჩიკაგომ“ კლივლენდში 39-ქულიანი უპირატესობით დაამარცხა ადგილობრივი „კავალიერზი“. ეს ამ კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით წაგებაა საშინაო მატჩებში. აქამდე „კლივლენდი“ საკუთარ კედლებში ორჯერ დამარცხდა 35-ქულიანი სხვაობით: 1990 წლის დეკემბერში „ჩიკაგოსთან“ (85:120) და 2001 წლის მარტში „ნიუ იორკთან“ (75:110).

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს კლიპერსის“ გამთამაშებელმა **ჩონსი ბილაპსმა** „მინესოტასთან“ მატჩის დროს სამი სამქულიანი ჩააგდო და ზუსტი შორეული ტყორცნების რაოდენობით გაუსწრო **პეჟა სტოიაკოვიჩს**.

დღეისთვის 35 წლის ბილაპსის ანგარიშზე 1762 სამქულიანია და ის ამ მაჩვენებლით მეოთხე ადგილზეა ყველა დროის შესაბამის სიაში. ბილაპსი ჩამორჩება **რეი ალენს** (2647), **რეჯი მილერსა** (2647) და **ჯეისონ კიდს** (1809).

■ ■ ■

20 იანვარს ჩატარებული 11 მატჩიდან ცხრაში გამარჯვებას სტუმრებმა მიაღწიეს. ეს ამ დღის მატჩების სრული რაოდენობის 81.8 პროცენტია. მსგავსი მაჩვენებელი NBA-ის ისტორიაში არასოდეს დაფიქსირებულა.

### 20 იანვარი

**ტორონტო–პორტლენდი 84:94**

14:27, 18:20, 28:24, 24:23

ტ: ჯ. ჯონსონი (23+4 დაფარება), დეროზანი (22), ბარბოზა (17), კალდერონი (7+13 პასი+3 ჩაჭრა).

პ: ოლდრიჯი (33+23 მოხსნა+5 პასი), ფელტონი (14+5 პასი), კროუფორდი (10), უოლასი (8+10 მოხსნა), კემბი (3+10 მოხსნა).

**ფილადელფია–ატლანტა 90:76**

18:24, 21:23, 25:10, 26:19

ფ: იანგი (20), ჰოლიდეი (16+11 პასი+3 ჩაჭრა), მიქსი (12), იგუოდალა (11+6 პასი), ბრენდი (10+13 დაფარება).

ა: გრინი (14), ტიგი (12+6 პასი+5 ჩაჭრა), მაკგრეიდი (10), სმიტი (10+6 მოხსნა).

**დეტროიტი–მემფისი 81:98**

12:22, 18:27, 35:24, 16:25

დ: ნაითი (22), პრინსი (14), მონრო (10+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), გორდონი (10).

მ: გეი (24), გასოლი (17), კონლი (14+11 პასი+4 ჩაჭრა), ალენი (13+5 ჩაჭრა), მაიო (10).

**ბოსტონი–ფინიქსი 71:79**

15:20, 20:26, 20:14, 16:19

ბ: ალენი (14+5 პასი), პირსი (12+6 პასი+[illegible] 1), გარნეტი (10), ბრედლი (10+3 ჩაჭრა).

ფ: გორტატი (24+12 მოხსნა), დადლი (12), ნეში (11+9 პასი), ჰილი (9+8 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ს. ანტონიო–საკრამენტო 86:88**

20:32, 27:18, 20:23, 19:15

ს-ა: პარკერი (24+6 პასი), დანკანი (10+10 მოხსნა), ბლეირი (10), სპლიტერი (10+7 მოხსნა).

ს: ევანსი (23+11 მოხსნა+7 პასი), კაზინსი (17+13 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტორნტონი (17), ტომპსონი (10+10 მოხსნა).

**გ. სტეიტი–ინდიანა 91:94**

23:27, 20:16, 26:24, 22:27

გ-ს: ელისი (25+6 პასი), რაიტი (18), კარი (12), ლი (10+14 მოხსნა), ტომპსონი (8).

ი: გრეინჯერი (26), უესტი (18+7 მოხსნა), ჰილი (14), ჰიბერტი (10+16 მოხსნა).

**ვაშინგტონი–დენვერი 104:108**

37:27, 26:34, 18:25, 23:22

ვ: იანგი (25+4 ჩაჭრა), კროუფორდი (18), მაკგი (13+7 მოხსნა+3 დაფარება), ული (13+10 პასი+9 მოხსნა+3 დაფარება), სინგლტონი (12), ლუისი (10).

დ: ჰარინგტონი (29+7 მოხსნა), გალინარი (21+5 პასი), ლოუსონი (21+9 მოხსნა+6 პასი), აფლალო (13).

**ნიუ იორკი–მილუოკი 86:100**

23:27, 28:28, 16:24, 19:21

ნ-ი: ენტონი (35), სტაუდმაიერი (15+11 მოხსნა), ჩენდლერი (11+12 მოხსნა), ფილდსი (10).

მ: ჯენინგსი (36+5 პასი), ლივინგსტონი (18), ბოგუტი (11), გუდენი (10+11 მოხსნა).

**კლივლენდი–ჩიკაგო 75:114**

26:34, 18:29, 17:22, 14:29

კ: ვარეჟაო (14+7 მოხსნა), ირვინგი (13).

ჩ: დენგი (21+8 მოხსნა), ბუზერი (19+14 მოხსნა), უოტსონი (15+7 პასი), კორვერი (14), ჰემილტონი (13), ნოა (8+10 მოხსნა).

**ორლანდო–ლეიკერსი 92:80**

22:10, 26:21, 19:21, 25:28

ო: ჰოვარდი (21+23 მოხსნა), ნელსონი (17+9 პასი), რედიკი (15+6 პასი), ანდერსონი (13+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), რიჩარდსონი (12).

ლ: ბრაიანტი (30+8 პასი), გასოლი (13+10 მოხსნა), ფიშერი (12), ბინუმი (10+12 მოხსნა).

**კლიპერსი–მინესოტა 98:101**

31:22, 28:26, 20:24, 19:29

კ: უილიამსი (25+5 პასი), გრიფინი (21+10 მოხსნა), ბილაპსი (20), ფოიე (12), გოუმსი (11), ჯორდანი (2+11 მოხსნა+3 დაფარება).

მ: მილიჩიჩი (22+7 მოხსნა), ლავი (17+14 მოხსნა), რიდნური (13+6 პასი), ელინგტონი (13), რუბიო (9+6 პასი+3 ჩაჭრა).

### 21 იანვარი

**ატლანტა–კლივლენდი 121:94**

27:19, 34:23, 28:21, 32:31

ა: ჯონსონი (25), ტიგი (14+5 პასი), პარგო (14+6 პასი), ფაჩულია (13), უილიამსი (12), ჯონსონი (11), სმიტი (8+11 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა).

კ: ირვინგი (18), ტომპსონი (16), გი (14), სეშენსი (13), კასპი (11), ჯეიმისონი (10).

**მაიამი–ფილადელფია 113:92**

29:28, 27:21, 25:20, 32:23

მ: ბოში (30+7 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (28+9 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ჩელმერსი (11+8 პასი), ენტონი (9+9 მოხსნა+3 დაფარება), ჰასლემი (8+10 მოხსნა).

ფ: უილიამსი (22), ტერნერი (16), ვუჩევიჩი (13+9 მოხსნა), ბრენდი (12), ჰოლიდეი (10).

**ჰიუსტონი–სან ანტონიო 105:102**

28:23, 27:26, 22:26, 28:27

ჰ: მარტინი (25), ლოური (14+8 პასი), დრაგიჩი (14), დალემბერი (12+6 დაფარება), სკოლა (12+7 მოხსნა), პატერსონი (12).

ს-ა: სპლიტერი (25+10 მოხსნა), პარკერი (24+13 პასი), ბონერი (16), ნილი (11), ლეონარდი (8+11 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი–ოკლაჰომა 74:84**

18:28, 17:20, 16:15, 23:21

ნ-ჯ: უილიამსი (14+6 პასი), ბრუქსი (14), ფარმარი (13), ჰემფრიზი (12+13 დაფარება).

ო: უესტბრუკი (21+6 პასი), დურანტი (20+15 მოხსნა), ჰარდენი (16+9 მოხსნა).

**მემფისი–საკრამენტო 128:95**

34:21, 34:39, 34:16, 26:19

მ: გეი (23+4 ჩაჭრა), კონლი (22+6 პასი), მაიო (22), გასოლი (20+11 მოხსნა+5 პასი+6 დაფარება), სპეიტსი (12+15 მოხსნა), კანინგემი (7+10 მოხსნა).

ს: ფრედეტე (20+6 პასი), კაზინსი (19+11 მოხსნა), გრინი (19+7 მოხსნა), ევანსი (13).



ჩონსი ბილაპსი

**ნიუ იორკი–დენვერი 114:119 (2ო)**

24:25, 30:21, 18:26, 26:26, 7:7, 9:14

ნ-ი: [illegible] ფილდსი (18+7 პასი), შუმპერტი (18+7 პასი), უოკერი (15), სტაუდმაიერი (12+11 მოხსნა), დუგლასი (11), ჩენდლერი (8+10 მოხსნა+3 დაფარება).

დ: გალინარი (37+11 მოხსნა), ჰარინგტონი (24+11 მოხსნა), მოზგოვი (16+7 მოხსნა+3 დაფარება), მილერი (14+12 პასი), ნენე (12+13 მოხსნა+5 პასი), ლოუსონი (10+8 მოხსნა+7 პასი).

**დეტროიტი–პორტლენდი 94:91**

26:27, 28:16, 19:25, 21:23

დ: სტაკი (28+5 პასი), პრინსი (17), ნაითი (14), ჟერებკო (11), მონრო (10+8 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (25), ფელტონი (20+9 პასი), ბატუმი (14+9 მოხსნა), სმიტი (10).

**ჩიკაგო–შარლოტი 95:89**

27:23, 23:20, 30:26, 15:20

ჩ: ბუზერი (23+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), დენგი (22+8 მოხსნა), ჰემილტონი (20), უოტსონი (11+9 პასი), ჯეიმსი (9+10 პასი).

შ: ჰენდერსონი (22+9 მოხსნა), მალენსი (17), ჰიგინსი (10).

**ნიუ ორლეანი–დალასი 81:83**

23:27, 18:14, 12:23, 28:19

ნ-ო: ლენდრი (19), ოკაფორი (16+17 მოხსნა), არიზა (12), ჯეკი (12+6 პასი).

დ: ოდომი (16), უესტი (16+6 პასი), მერიონი (14+12 მოხსნა), ტერი (12), ჰეივუდი (6+10 მოხსნა).

**იუტა–მინესოტა 108:98**

22:26, 32:26, 30:29, 24:17

ი: მილსეპი (26+9 მოხსნა), ჯეფერსონი (18+12 მოხსნა), მაილზი (18), ბელი (12), უოტსონი (10+7 პასი).

მ: რუბიო (17+11 პასი+4 ჩაჭრა), უილიამსი (15+8 მოხსნა), ლავი (15+8 მოხსნა), ჯონსონი (13), მილიჩიჩი (10), რიდნური (10), ელინგტონი (10).

## ამბები

### გამთამაშებლებზე დიდი მოთხოვნაა

„ორლანდო მეჯიქი“ „ფინიქს სანზის“ ვეტერანი გამთამაშებლის **სტივ ნეშის** გადაბირებით არის დაინტერესებული. ფლორიდელები იმ შემთხვევაში ეცდებიან კანადელი მცველის გაფორმებას, თუ „სანზის“ ხელმძღვანელობა ნეშის გაცვლას გადაწყვეტს. „ორლანდოს“ იმედი აქვს, რომ სტივი კლუბს პლეი ოფში დაეხმარება.

მიმდინარე ჩემპიონატის 13 მატჩში ნეში საშუალოდ 15.1 ქულასა და 10.1 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

როგორც წინა ნომერში ვწერდით, ნეშის გადაბირებას აგრეთვე „ნიუ იორკ ნიქსი“ აპირებს.

■ ■ ■

„ნიუ ჯერსის“ გამთამაშებელმა **დერონ უილიამსმა**, რომლის კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულში იწურება, შეიძლება დატოვოს „ნეტსის“ რიგები, თუ კლუბი ვერ მოახერხებს „ორლანდოს“ ცენტრის **დუაიტ ჰოვარდის** გადაბირებას. ამერიკული პრესის ცნობით, დერონის გადაბირებით „დალასი“, „ლეიკერსი“ და „ნიუ იორკი“ არიან დაინტერესებული.

ამ სეზონში 27 წლის კალათბურთელის საშუალო სტატისტიკა 18.4 ქულასა და 8.4 შედეგიან პასს უდრის.

### დირკის იძულებული შვებულება

NBA-ის მოქმედ ჩემპიონს „დალას მავერიქსს“ თავისი ლიდერის **დირკ ნოვიცკის** გარეშე მოუწევს მომდევნო ოთხი მატჩის ჩატარება. გერმანელს მუხლის ტრავმა აწუხებს.

გუშინ ფორვარდმა „ნიუ ორლეანთან“ მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ექიმების ვარაუდით, კიდევ მინიმუმ სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

*„ჩვენ უბრალოდ ვიფიქრეთ, რომ ეს გადაწყვეტილება ყველასთვის მისაღები იქნებოდა. ამჟამად ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი არ ვარ, ამიტომაც უკეთესი იქნება, თუ ბიჭები ჩემს ნაცვლად იმუშავებენ მოედანზე. ეს მუხლის მოშუშების საშუალებას მომცემს. ეს ტრავმა ნორმალურად სირბილის საშუალებას არ მაძლევდა“*, - ამბობს ნოვიცკი.

შესაძლოა, სწორედ მუხლის დაზიანების გამო ამ სეზონში ნოვიცკის შედეგიანობა 17.5 ქულაა, რაც ოთხი ქულით ნაკლებია კარიერულ მონაგარზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# თრილერი, სკანდალი და ფავორიტების გასეირნება

ავსტრალიის ღია პირველობაზე მერვედფინალური ეტაპი დაიწყო, სადაც რიგით მატჩებს იშვიათად ვხედავთ, მაგრამ ამ ეტაპზეც გაგრძელდა ტურნირის პირველი კვირის ტენდენცია - ფავორიტებს კვლავ იოლი გასეირნება გამოუვიდათ.

ქალების ბადეში ერთადერთი მატჩი, სადაც ნამდვილად დრამატული ბრძოლა გაჩაღდა, შარშანდელი ფინალისტების - ბელგიელი **კიმ კლაისტერსისა** და ჩინელი **ნა ლის** დაპირისპირება იყო. მოქმედმა ჩემპიონმა კლაისტერსმა რამდენიმე რთული მომენტი გადაიტანა და პრაქტიკულად წაგებული მატჩი გადაარჩინა.

პირველი კრიტიკული მომენტი ბელგიელს პირველ სეტში ჰქონდა, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში ფეხი გადაიბრუნა და ექიმის გამოძახება მოუწია. ამ ტრავმამდე თანაბარი თამაში მიდიოდა, შემდეგ კი ჩინელის უპირატესობა გამოიკვეთა და ლიმ სეტი 6:4 მოიგო.

მუდმივად ერთი ნაბიჯით იყო წინ ნა ლი მეორე სეტში, მაგრამ კლაისტერსმა მოახერხა პარტიის ტაი-ბრეიკზე გადაყვანა, სადაც ნამდვილი სასწაული მოახდინა, როცა ოთხი მატჩბოლი მოიგერია და შემოკლებულ გეიმში გამარჯვება გამოსტაცა მეტოქეს - 8:6.

მესამე პარტიაში კლაისტერსმა თავიდანვე მოიპოვა ბრეიკი და 2:0 დაწინაურდა. მესამე გეიმში კიდევ ერთმა ბრეიკმა პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი. მართალია, 1:5-დან ლიმ მინიმუმამდე დაიყვანა ჩამორჩენა, მაგრამ მეორე ბრეიკის დაბრუნება ვერ შეძლო და 4:6 დამარცხდა.

შეხვედრა 2 საათსა და 23 წუთს გაგრძელდა. ორივე ჩოგბურთელმა ხუთ-ხუთი ბრეიკი, ოთხ-ოთხი ეისი და ექვს-ექვსი ორმაგი შეცდომა დააგროვა. „ვინერსების" რაოდენობით კი დიდი უპირატესობა ჩინელს ჰქონდა - 39:20.

დანარჩენ სამ მატჩში ბრძოლა არ ყოფილა. **ვიქტორია აზარენკამ** საათსა და 17 წუთში თითო სეტში ორი ბრეიკი გააკეთა ჩეხ **ივეტა ბენეშოვას** წინააღმდეგ და 6:2, 6:2 გაიმარჯვა. ბელარუსის მეტოქე კიდევ უფრო ხანმოკლე შეხვედრაში გაირკვა. 54 წუთი დასჭირდა პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** გერმანელი **იულია გორგესის** დასამარცხებლად. პოლონელმა ექვსი ბრეიკი გააკეთა, თავად ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება და 6:1, 6:1 მოიგო.

დღის ბოლოს ირკვეოდა მეოთხედფინალში კიმ კლაისტერსის მეტოქე. კაროლინ ვოზნიაცკისა და ელენა იანკოვიჩის შეხვედრა დაახლოებით ჰგავდა მატჩს, რომელიც დანიელმა ჩოგბურთელმა მეორე წრეში ჩაატარა ქართველი ანა ტატიშვილის წინააღმდეგ. პირველი სეტი ვოზნიაცკიმ 6:0 მოიგო, მეორეში კი მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა იხილა. თუმცა აქაც შეეძლო დანიელს იოლი გამარჯვება, მაგრამ მეტოქეს 1:4-დან ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. ანგარიში 5:5 გახდა, თუმცა მანამდე სერბს ერთი მატჩბოლის მოგერიება მოუწია. ნერვიული დასასრული უკეთ ვოზნიაცკის გამოუვიდა, რომელმაც ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და მეორე სეტში 7:5 გაიმარჯვა.

■ ■ ■

პრაქტიკულად ანალოგიური სიტუაცია იყო მამაკაცების **მერვედფინალებში**. სამზე მეტი სეტი ჩეხი **ტომაშ ბერდიხისა** და ესპანელი **ნიკოლას ალმაგროს** შეხვედრაში გათამაშდა. პირველ სეტში ალმაგრომ ერთი ბრეიკის წყალობით გაიმარჯვა - 6:4. შემდეგ სამ სეტში კი სამი ტაი-ბრეიკი გათამაშდა და სამივეში პირველობა ბერდიხს დარჩა. ამასთან, ყოველ შემოკლებულ გეიმში ესპანელი თამაშს უკლებდა - მეორეში 5 ქულა აილო, მესამეში - სამი და მეოთხეში - ორი.

თამაში 3 საათი და 54 წუთი გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში ჩეხმა 28 ეისი ჩააწოდა. მატჩი სკანდალით დასრულდა. თამაშის დასრულების შემდეგ ბერდიხმა ხელი არ ჩამოართვა მეტოქეს და ეს იმით ახსნა, რომ ერთ-ერთი გათამაშების დროს ალმაგრომ სპეციალურად გაარტყა ბურთი, არადა, კორტი პრაქტიკულად ცარიელი იყო.

*„ვფიქრობ, ვისაც ჩოგბურთი უთამაშია, შესანიშნავად იცის, რომ კორტი საკმარისად დიდია და ყოველთვის მოიძებნება თავისუფალი ადგილი, სადაც შეიძლება ბურთი გაგზავნო. მან კი სამი-ოთხი მეტრიდან პირდაპირ სახეში დამიმიზნა. გამიმართლა, რომ აცილება შევძელი, თუმცა ბურთი ხელში მაინც მომხვდა. ეს ჩოგბურთი არ არის"*, - განაცხადა ბერდიხმა, რომელიც მაყურებელმა სტვენით გააცილა კორტიდან.

ბერდიხის მეტოქე **რაფაელ ნადალისა** და **ფელისიანო ლოპესის** შეხვედრაში ირკვეოდა. ტრადიციული მოწინააღმდეგეების მორიგი შეხვედრა ტრადიციული შედეგით დასრულდა - ნადალმა 2 საათსა და 25 წუთში გაიმარჯვა - 6:4, 6:4, 6:2. ლოპესმა მხოლოდ მეორე სეტში შეძლო ერთადერთი ბრეიკის აღება, მაგრამ თავად ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. დანარჩენ ორ სეტში რაფამ კიდევ სამჯერ აილო მეტოქის მოწოდება და იოლად გავიდა მეოთხედფინალში.


ბერდიხი და ალმაგრო მატჩის შემდეგ

გუშინვე დაკომპლექტდა სუპერწყვილი. სავარაუდოდ, მეოთხედფინალში **როჯერ ფედერერისა** და **ხუან მარტინ დელ პოტროს** დაპირისპირება ცენტრალური იქნება. მერვედფინალში შვეიცარიელმა და არგენტინელმა თითქმის ერთნაირი ანგარიშით მოიგეს თავიანთი მატჩები. ავსტრალიური პუბლიკისთვის სამწუხაროდ, 19 წლის **ბერნარდ ტომიჩს** ჯერ ბევრი უკლია როჯერის დონემდე. ფედერერმა ნამდვილი საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა ავსტრალიელ ვუნდერკინდს და პრაქტიკულად ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე. ტომიჩს არ წაუვიდა მოწოდება - არც ერთი ეისი არ ჩაუწოდებია (ფედერერს 12 ეისი ჰქონდა) და ექვსჯერ წააგო საკუთარი გეიმი - 4:6, 2:6, 2:6. როჯერმა საათსა და 44 წუთში მოამთავრა საქმე.

რაც შეეხება დელ პოტროს, მან ერთი გეიმით ნაკლები, მაგრამ 22 წუთით მეტი მოანდომა გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერის** დამარცხებას - 6:4, 6:2, 6:1. ეს ჩოგბურთელები მეექვსედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და არგენტინელმა მეხუთედ დაამარცხა გერმანელი.

### კაცები

#### 1/16 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:0, 6:1, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-მილოშ რაონიჩი (კან, 23) 4:6, 6:3, 7:6(5), 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 17)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 9) 6:3, 6:3, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ხუან-იგნასიო ჩელა (არგ, 27) 7:5, 6:2, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 6:2, 6:0; **მიხაილ კუკუშკინი (ყაზ)**-გაელ მონფილსი (საფ, 14) 6:2, 7:5, 5:7, 1:6, 6:4; **კეი ნიშიკორი (იაპ, 24)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 4:6, 7:6(3), 7:6(4), 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 6:2, 6:2, 6:2.

#### 1/8 ფინალი

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 11)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:4, 6:2, 6:1; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:4, 6:2, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10) 4:6, 7:6(5), 7:6(3), 7:6(2); **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 18) 6:4, 6:4, 6:2.

### ქალები

#### 1/16 ფინალი

**ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ვერა ზვონარევა (რუს, 7) 7:6(7), 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ, 12)**-გრეტა არნი (უნგ) 6:1, 6:1; **საბინ ლისიცკი (გერ, 14)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 18) 2:6, 6:4, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 30) 6:1, 6:2; **სარა ერანი (იტა)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:7(6), 6:0, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 9) 6:3, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 21)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 2)**-მარია კირილენკო (რუს, 27) 6:0, 1:0.

#### 1/8 ფინალი

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 13) 6:0. 7:5; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 11)**-ნა ლი (ჩინ, 5) 4:6, 7:6(6), 6:4; **ვიქტორა აზარენკა (ბლრ, 3)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 8)**-ჯულია გორგესი (გერ, 22) 6:1, 6:1.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### აფრიკის თასი

| | |
|---|---|
| ეკ. გვინეა-ლიბია | 1:0 |
| სენეგალი-ზამბია | 1:2 |
| კოტ დ'ივუარი-სუდანი | 1:0 |
| ბურკინა ფასო-ანგოლა | 1:2 |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კორეა (U23)-ნორვეგია | 3:0 |
| ტაილანდი-დანია | 1:3 |

### გერმანია

#### რეგიონალლიგა (დას)

| | |
|---|---|
| ფორტუნა II-ვუპერტალი | 0:0 |
| მაინცი II-ესენი | 1:2 |

### საფრანგეთის თასი

#### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ბურჟი-აიაჩო | 3:2 დ.დ. |
| ლიმოჟი-დრანსი | 0:2 |
| კომპიენი-ლილი | 0:1 დ.დ. |
| დიჟონი-ისტრი | 2:1 |
| კრეტეი-ბორდო | 2:2 პენ. 1:2 |
| ნიორი-ორლეანი | 1:2 |
| ოსერი-შატორუ | 1:2 |
| კევილი-ანჟერსი | 1:0 |
| ვალანსი-ევიანი | 0:2 |
| ნიცა-რენი | 0:0 პენ. 4:5 |
| გფკო აიაჩო-ტრუა | 1:0 |
| ლუკონი-ლიონი | 0:2 |
| ვალანსი-ბასტია | 3:1 |
| მარსელი-ჰავრი | 1:1 დ.დ. 3:1 |

### საფრანგეთი

#### ნასიონალი

| | |
|---|---|
| ლუზენაკი-შერბური | 3:2 |

### ჰოლანდია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| კამბური-იგლზი | 1:1 |
| ვოლენდამი-დენ ბოში | 0:2 |
| სპარტა-დორდრეხტი | 2:0 |

### ბელგია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-ვოლუვე | 0:2 |
| ლომელი-ტინენი | 3:1 |
| სტანდარდი (ვ)-რუზელარე | 1:1 |
| აალსტი-ოსტენდე | 3:1 |
| ვიზე-დენდერი | 1:1 |
| ბორინაჟი-ჰაისტი | 1:2 |
| სტ. ნიკლაასი-ანტვერპენი | 2:1 |

### პორტუგალია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ბელენენსეში | 0:2 |
| კოვილია-ეშტორილი | 0:1 |
| არუკა-სანტა კლარა | 1:0 |
| ავეში-მადეირა | 1:1 |
| ფრეამუნდე-ოლივეირენსე | 3:0 |
| პენაფიელი-ტროფენსე | 2:0 |
| ლეიქსოეში-ნავალი | 0:2 |

### შოტლანდია

#### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| ეირი-ჰემილტონი | 2:2 |
| ლივინგსტონი-ქუინი | 2:2 |
| პარტიკი-დანდი | 0:0 |
| რეითი-ფალკირკი | 2:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ეირდრი-დამბარტონი | 2:3 |
| არბროა-ალბიონი | 6:1 |
| ფორფარი-კოუდენბითი | 1:0 |
| სტირლინგი-ისტ ფაიფი | 0:1 |

#### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| ანანი-ქუინზ პარკი | 2:3 |
| კლაიდი-პიტერჰედი | 0:1 |
| ისტ სტირლინგი-მონროუზი | 3:1 |
| ელჯინი-ბერუიკი | 4:0 |
| სტრანრარი-ალოა | 0:4 |

### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| ასტერასი-იანინა | 2:1 |
| ერგოტელისი-აეკ | 1:1 |
| პაოკ-პანიონიოსი | 1:0 |
| დოქსა-არისი | 1:3 |
| პანაიტოლიკოსი-კერკირა | 1:1 |
| ლევადია-ოფი | 0:2 |
| ქსანტი-ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ატრომიტოსი | 1:0 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აგროტიკოსი-პანსერაიკოსი | 1:0 |
| ეთნიკოსი-კალონისი | 0:0 |
| ანაგენისი (ე)-დიაგორასი | 6:0 |
| ანაგენისი (ი)-პანახაიკი | 0:0 |
| ფოკიკოსი-ირაკლისი (პ) | 2:0 |
| კალითეა-ვერია | 1:1 |
| ლარისა-პლატანიასი | 0:1 |
| პანთრაკიკოსი-პიერიკოსი | 2:1 |

### თურქეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| [illegible] | 1:3 |
| [illegible] | 1:0 |
| ქასიმფაშა-ქონია | 3:1 |
| ახისარი-გიუნგორენი | 0:0 |
| ბოლუ-გირეშუნი | 2:0 |
| თავშანლი-საქარია | 1:0 |
| ადანა-ქარსიაქა | 0:1 |
| გიოზთეფე-დენიზლი | 1:1 |

### კვიპროსი

| | |
|---|---|
| ომონია-ანორთოსისი | 0:1 |
| არისი-აპოელ | 0:1 |
| ნეა სალამისი-ანაგენისი | 5:2 |
| ალკი-აელ | 1:2 |
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 2:0 |

### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| კერიკი-გლენტორანი | 2:2 |
| კოლრეინი-გლენავონი | 3:1 |
| ლინფილდი-დუნგანონი | 3:0 |
| ლისბურნი-კლიფტონვილი | 1:3 |

### მექსიკა

| | |
|---|---|
| მორელია-სან ლუისი | 2:0 |
| ტეკოსი-ამერიკა | 1:1 |
| კერეტარო-ატლასი | 2:1 |
| კრუს ასული-პაჩუკა | 1:1 |
| მონტერეი-პუმასი | 1:1 |
| ს. ლაგუნა-ხაგუარესი | 1:0 |
| გვადალახარა-ტიხუანა | 0:2 |
| პუებლა-ატლანტე | 1:2 |
| ტოლუკა-ტიგრესი | 2:1 |

## კალათბურთი

### NBA

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ბოსტონი | 94:100 |

### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| პაოკ-კავალა | 66:60 |
| ილისიაკოსი-პანიონიოსი | 76:78 |

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბარსელონა-სარაგოსა | 71:68 |
| მურსია-ლაგუნ არო | 85:89 |
| სევილია-გრან კანარია | 75:70 |
| ფუენლაბრადა-ვალიადოლიდი | 65:54 |
| ხუვენტუდი-ვალენსია | 81:73 |
| ესტუდიანტესი-ალიკანტე | 68:76 |
| რეალი-კახა ლაბორალი | 84:73 |

### იტალია

| | |
|---|---|
| აველინო-მონტეგრანარო | 93:84 |
| ვარეზე-მილანი | 74:64 |
| კანტუ-ვანოლი | 87:73 |
| მონტეპასკი-ტერამო | 79:58 |
| მონფერატო-სასარი | 75:78 |

## ხელბურთი

### ევ. ჩემპიონატი

#### კაცები

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ისლანდია | 21:27 |
| საფრანგეთი-ისლანდია | 28:26 |
| ესპანეთი-ხორვატია | 24:22 |

## ჰოკეი

### NHL

| | |
|---|---|
| პიტსბურგი-ვაშინგტონი | 4:3 (ო) |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰამბურგი | 3:0 |
| კრეფელდი-ინგოლშტადტი | 3:4 |
| მიუნხენი-დიუსელდორფი | 3:2 (ო) |
| აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 5:3 |
| იზერლონი-შტრაუბინგი | 3:4 (ო) |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-ფრისკ ასკერი | 10:1 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 5:0 |
| სტავანგერი-სტიერნენი | 4:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კოშიცე-პოპრადი | 2:3 (ო) |
| სკალიცა-ზვოლენი | 9:1 |
| სლოვანი-მარტინი | 2:3 (ო) |
| ტრენჩინი-ნიტრა | 3:2 |
| ბისტრიცა-ჟილინა | 3:1 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 2:3 |
| სპარტა-ლიბერეცი | 6:4 |
| კლადნო-ზლინი | 3:2 (ო) |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 0:2 |
| პლზენი-ბრნო | 4:3 |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 2:1 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბილი-ცუგი | 2:4 |
| დავოსი-სერვეტი | 2:3 (ო) |

● TV პროგრამა

### 23 იანვარი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტური. რეალი-ბილბაო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ჰამბურგი-დორტმუნდი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. ინტერი-ლაციო.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. უტრეხტი-პსვ.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. კაიზერსლაუტერნი-ვერდერი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. ნოვარა-მილანი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. არსენალი-მანჩესტერ იუნ.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-პარმა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. გლოსტერი-ტულუზა.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ბარსელონა.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.
**00:05** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**12:30** სპორტ NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**17:00** სპორტ NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. I ტური. ოლიმპიაკოსი-ცსკა.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი



ილკე ვილუდა

# ისტორიაში შესვლა უნდა

ლეგენდარული გერმანელი მძლეოსანი, ბადროს ტყორცნაში ევროპისა და ოლიმპიადის ჩემპიონი **ილკე ვილუდა** პარალიმპურ თამაშებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

ვილუდამ ინვალიდობა გასული წლის იანვარში მიიღო, როცა სეპსისის გამო მუხლის ზემოთ ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. ამჟამად გერმანელი ბევრს ვარჯიშობს იმისთვის, რომ ლონდონის პარალიმპურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მიიღოს. იქ ვილუდა ბირთვის კვრაში აპირებს გამოსვლას. პარალიმპიელებს ისეთი ფიზიკური შესაძლებლობებით, როგორიც ილკეს აქვთ, ბადროს ტყორცნა არ შეუძლიათ.

გერმანელმა მძლეოსანმა კარიერა 2000 წელს დაასრულა. მას ეკუთვნის გამარჯვებათა საოცარი სერია: 1989 წლიდან 1991 წლამდე ზედიზედ 41 ტურნირი მოიგო. ახლა ილკეს აქვს შანსი გახდეს პირველი ქალი სპორტსმენი, რომელსაც ოლიმპიური და პარალიმპური თამაშები ექნება მოგებული.

დღემდე მხოლოდ ერთ სპორტსმენს აქვს მოგებული მედლები ამ ორ შეჯიბრზე. უნგრელმა მოფარიკავემ **პალ სერკერეშმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სეულის ოლიმპიადაზე. მოგვიანებით, სპორტსმენი ავტოვარიაში მოხვდა და ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვა. სერკერეშმა პარალიმპურ თამაშებზე სამი ოქროსა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მიიღო.

## ამბები

მძლეოსნობა

### ბეკელე ნაკრებიდან გააგდეს

პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი 5000 და 10000 მეტრზე სირბილში **კენენისა ბეკელე** გარიცხულია ეთიოპიის ნაკრებიდან. ამის მიზეზი ის არის, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სტაიერი არ გამოცხადდა ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბანაკში.

მაგრამ ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბისრატ კაშატენმა** აღნიშნა, რომ გუნდის ლიდერის დისკვალიფიკაცია შეიძლება შეაჩერონ, თუ ბეკელე შემდეგ საწვრთნელ შეკრებას შეუერთდება.

სანქციების მიუხედავად, სპორტსმენის აგენტი ირწმუნება, რომ ბეკელე მაინც გამოვა ლონდონის ოლიმპიადაზე.

ბიატლონი

### ოლეს ანტირეკორდი

მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე სრული კრახი განიცადა ლეგენდარულმა ნორვეგიელმა ბიატლონისტმა **ოლე-ეინარ ბიორნდალენმა**. ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ინდივიდუალურ რბოლაში 56-ე ადგილი დაიკავა, რაც მისი პირადი ანტირეკორდია XXI საუკუნეში.

აქამდე, ამ საუკუნეში ნორვეგიელის ყველაზე დაბალი შედეგი იყო - 55-ე პოზიცია 2010 წელს, რომელიც მან ასევე ინდივიდუალურ რბოლაში დაიკავა. კარიერაში ყველაზე ცუდი შედეგი კი 95-ე ადგილია - 2000 წლის ნოემბერში გამართულ ეტაპზე ბიორნდალენმა სროლისას 12 შეცდომა დაუშვა, თუმცა მეორე დღეს სპრინტში გამარჯვება შეძლო.

ცხენოსნობა

### ტრაგედია ნიუ ჯერსიში

პრესტიჟული დოღებისთვის განკუთვნილი 22 ბედაური, რომელთა ღირებულება რამდენიმე ათეულ ათას დოლარს აღწევს, ნიუ ჯერსის შტატში, თავლაში გაჩენილი ხანძრის დროს დაიღუპა.

სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შემთხვევის ადგილზე მისულებს თავლა თითქმის დამწვარი დახვდათ. ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს, მაგრამ ცხენების გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დაიწყო გამოძიება, თუმცა ამ ტრაგიკული შემთხვევის ყველაზე რეალურ ვერსიად უბედურ შემთხვევას ასახელებენ.

კრივი

### მენიმ კოტო აირჩია?

ვებგვერდი BoxingScene.com სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონმა, 33 წლის ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** 9 ივნისისთვის მეტოქედ პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონი **მიგელ კოტო** აირჩია. ვარაუდობენ, რომ უახლოეს დღეებში ამ შეხვედრის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადებენ.

შეგახსენებთ, რომ პაკიაო და კოტო უკვე შეხვდნენ ერთმანეთს 2009 წლის 11 ნოემბერს. მაშინ ფილიპინელს მთელი ბრძოლის განმავლობაში დიდი უპირატესობა ჰქონდა და გამარჯვებას მე-12 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მიაღწია.

კრივი

# ახალი ვარსკვლავის დაბადება

გასული უქმეების მთავარი საკრივო ორთაბრძოლა ლას ვეგასის Palms Casino Resort-ში გაიმართა. ამერიკელი **რიკო რამოსი** (20-0, KO11) მეორე უმჩატეს წონაში იცავდა WBA-ის ტიტულს პროფესიული კრივის ამომავალი ვარსკვლავის, კუბელი **გილერმო რიგონდოს** (8-0, KO6) წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კუბელს პროფესიულ რინგზე მხოლოდ რვა ბრძოლა ჰქონდა გამართული, ფავორიტად სწორედ მას ასახელებდნენ. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან პროფესიონალებში გადასვლამდე (2009 წელს), რიგონდოს ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა მოყვარულებში. გილერმომ ორჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები (2000 და 2004 წლებში), ასევე ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ამ ტიტულების გამო მას XXI საუკუნეში სამოყვარულო კრივის საუკეთესო მებრძოლს უწოდებდნენ.

პროფესიულ რინგზე კუბელმა უკვე მოასწრო WBA-ის დროებითი ტიტულის მოპოვება და მისი ერთხელ დაცვა. რაც შეეხება რიკო რამოსს, ეს მისი პირველი ბრძოლა იყო ჩემპიონის რანგში. ტიტული მან გასული წლის 9 ივლისს, იაპონელი ჩემპიონის **აკიფუმი შიმოდუს** დამარცხების შემდეგ მოიპოვა.

გუშინ კუბელმა დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი, თანაც ეს ძალიან იოლად, ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე გააკეთა. უკვე პირველივე რაუნდში საჩემპიონო ქამრის მფლობელი ნოკდაუნში აღმოჩნდა. გილერმომ გააგრძელა საწყისი შტურმი, მაგრამ რამოსი გონგმა გადაარჩინა.

ნოკდაუნით შეშინებულმა ჩემპიონმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ყოველგვარი რისკი გამორიცხა. არც რიგონდო აპირებდა გადამწყვეტ იერიშებზე გადასვლას, რამაც პუბლიკის უკმაყოფილება გამოიწვია.

აქტიური მოქმედებისკენ მაყურებელთა მოწოდებამ მეექვსე რაუნდში გაჭრა. ერთ-ერთი შეტევის დროს რიგონდომ მეტოქეს ჯერ მუცლის ქვემოთ მოარტყა, შემდეგ კი ძლიერი აპერკოტი გამოუვიდა, რის გამოც გაფრთხილება მიიღო. ბრძოლის განხლებისთანავე ის მხეცივით ეტაკა რამოსს, თირკმლის არეში უძლიერესი დარტყმა შეასრულა და ამერიკელი ნოკაუტში გაგზავნა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ისეთ შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ რიგონდოს უფრო ადრე შეეძლო ბრძოლის დასრულება, უბრალოდ, მან ზედმეტი რისკი აიცილა თავიდან.

საინტერესო იქნება ამ ნიჭიერი მოკრივის კარიერისთვის თვალის მიდევნება. რაც შეეხება 24 წლის რამოსს, მასაც ყველაფერი წინ აქვს, მით უმეტეს, რომ ის აქამდე ასევე დაუმარცხებელი იყო პროფესიულ რინგზე.



გილერმო რიგონდო უტევს

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# წასვლა ხომ არ იჩქარა?

გასულ უქმეებზე გაგრძელდა სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება. სლოვენიის კურორტ კრანსკა გორაში ქალებმა გიგანტურ სლალომში გამოავლინეს გამარჯვებული. პირველობა ფრანგმა **ტესა ვორლიმ** მოიპოვა მას შემდეგ, რაც პირველი ცდის ლიდერი ავსტრიელი **ელიზაბეტ გიორგლი** მეორე დაშვებისას ტრასაზე დაეცა.

ვორლიმ ნახევარ წამზე მეტი მოუგო მეორე ადგილზე გასულ იტალიელ **ფედერიკა ბრინიონეს**, მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორია რებენსბურგი**, რომელმაც მეორე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა. ვორლისთვის ეს მეექვსე გამარჯვებაა (ექვსივე გიგანტურ სლალომში) მსოფლიოს თასის ეტაპებზე და პირველი თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ.

იმის გათვალისწინებით, რომ გიგანტური სლალომი არ არის მსოფლიოს თასის ჩათვლის ლიდერის, ამერიკელი **ლინდსი ვონის** სპეციალიზაცია (ამ დისციპლინაში პირველ გამარჯვებას მან მხოლოდ წელს მიაღწია), მეოთხე ადგილი მისთვის შესანიშნავი მაჩვენებელია. მით უმეტეს, რომ ვონმა უკან ჩამოიტოვა გენერალურ კლასიფიკაციაში უახლოესი მდევარი, სლოვენიელი **ტინა მაზე** და საერთო ჩათვლაში მასთან უპირატესობა 296 ქულამდე გაზარდა.

**გიგანტური სლალომი**

1. **ტესა ვორლი** (საფ) - 2:03.02 (1:00.81+1:02.21); 2. **ფედერიკა ბრინიონე** (იტა) - 2:03.58 (1:01.11+1:02.47); 3. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2:03.91 (1:01.40+1:02.51); 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 2:03.94 (1:01.38+1:02.56); 5. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 2:04.22 (1:01.48+1:02.74); 6. **მარია რიში** (გერ) - 2:04.27 (1:01.59+1:02.68)...

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 934; 2. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 638; 3. **მარლის შილდი** (ავსტრია) - 548; 4. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 516; 5. **მარია რიში** (გერ) - 506; 6. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 499...

■ ■ ■

რამდენიმე დღის წინ ცნობილმა შვეიცარიელმა მოთხილამურემ **დიდიე კუშმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამ სეზონის შემდეგ დიდი სპორტიდან წასვლას აპირებს. 37 წლის ვეტერანის ასაკის გათვალისწინებით, ეს სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილებაა, მაგრამ კუშმა ავსტრიის ქალაქ კიტცბუელში დაამტკიცა, რომ კვლავაც კარგ ფორმაში იმყოფება და ისევ შეუძლია გამარჯვებაზე ფიქრი.

კუშმა კიტცბუელში სწრაფდაშვება მოიგო და რეკორდიც დაამყარა. ავსტრიულ კურორტზე მან მეხუთედ გაიმარჯვა ამ დისციპლინაში, რაც აქამდე არავის გაუკეთებია. წინა რეკორდსმენი იყო ავსტრიელი ლეგენდა **ფრანც კლამერი**, რომელიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ბრწყინავდა. ფინიშის შემდეგ სწორედ მან მიულოცა პირველმა ეს წარმატება კუშს.

შვეიცარიელმა საკმაოდ რთულ ბრძოლაში გაიმარჯვა. ბოლო საშუალედო ფინიშის შემდეგ ის ჩამორჩებოდა ავსტრიელ **რომედ ბაუმანს**, მაგრამ დისტანციის უკანასკნელი მონაკვეთი იდეალურად გაიარა და საბოლოოდ, 24 მეასედი წამი მოუგო მასპინძელს.

კუშმა სწრაფდაშვებაში მე-11 ტრიუმფს მიაღწია, სულ კი კარიერაში 19 გამარჯვება აქვს მოპოვებული მსოფლიოს თასის ეტაპებზე. სწრაფდაშვების ჩათვლაში დიდიე მხოლოდ 23 ქულით ჩამორჩება ლიდერსა და თანაგუნდელ **ბიტ ფოიზს**, რომელმაც ეს ეტაპი მეექვსე ადგილზე დაასრულა.

**სწრაფდაშვება**

1. **დიდიე კუში** (შვეიც) - 1:13.28; 2. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 1:13.52; 3. **კლაუს კრიოლი** (ავსტრია) - 1:13.58; 4. **იოახიმ პუხნერი** (ავსტრია) - 1:13.64; 5. **იოჰან კლერი** (საფ) - 1:13.68; 6. **ბიტ ფოიზი** (შვეიც) - 1:13.73...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 725; 2. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 695; 3. **ბიტ ფოიზი** (შვეიც) - 585; 4. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 508; 5. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 493; 6. **ბოდე მილერი** (აშშ) - 450...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დიდიე კუში პოდიუმზე